

ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტი



*სახელმწიფო საწარმოები, PPP პროექტები, სასამართლო დავები,
გრძელვადიანი ფისკალური რისკები*

2022 წელი, ნოემბერი

შეჯამება	3
სიახლეები სახელმწიფო საწარმოებზე	4
სახელმწიფო საწარმოთა სექტორის მიმოხილვა (რეესტრი)	5
სახელმწიფო საწარმოების მიერ მიღებული დაფინანსება	8
სახელმწიფო საწარმოების მიერ გადახდილი დივიდენდები	11
სესხები სახელმწიფო საწარმოებს შორის	12
არაფინანსური ტრანსფერები	12
მეთოდოლოგია კვაზი-ფისკალური აქტივობების იდენტიფიცირების, მათი ანალიზისა და დაფინანსების მექანიზმების საუკეთესო პრაქტიკების დანერგვის შესახებ	13
რა არის კვაზი-ფისკალური აქტივობა?	13
კვაზი-ფისკალური აქტივობების ფორმები:	13
არაკომერციული მომსახურებები (NCSO)	15
არსებული პრაქტიკები	15
კვაზი-ფისკალური აქტივობების გავლენა სახელმწიფო საწარმოთა ფინანსურ შედეგებზე	15
სახელმწიფო საწარმოთა ფინანსური შედეგების მიმოხილვა	18
სახელმწიფო საწარმოთა ფინანსური შედეგები	23
<i>სს საქართველოს ფონდი</i>	23
<i>სს. საქართველოს რკინიგზა</i>	27
სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია	30
სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა	33
სს ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი	35
შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია	38
სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგო	41
შპს საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია	43
შპს ენგურჰესი	49
შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია	51
შპს საქართველოს ფოსტა	54
შპს საქართველოს მელიორაცია	57
შპს სახელმწიფო სამშენებლო კომპანია	59
შპს მარაბდა-კარწახის რკინიგზა	62
სახელმწიფო საწარმოთა სენსიტიურობის ანალიზი	65
შესავალი	65
სენსიტიურობის ანალიზის მიზნები	65

ეკონომიკური სცენარები	65
ანალიზის შედეგები	68
საბაზისო სცენარის პროგნოზები	68
დაბალი ზრდის სცენარი	69
გაცვლითი კურსის შოკის სცენარი	70
საპროცენტო განაკვეთის შოკის სცენარი	73
კომბინირებული შოკის სცენარი	74
დასკვნები	77
სახელმწიფო საწარმოთა სახელფასო პრაქტიკები	77
სასამართლო დავებიდან მომდინარე ფისკალური რისკები	79
გრძელვადიანი ფისკალური რისკები	81
შესავალი	81
გრძელვადიანი საბაზისო სცენარი	82
კლიმატის ცვლილების სცენარები	86
დემოგრაფიული ფისკალური რისკები	90
ჯანდაცვის დანახარჯები	90
საპენსიო რისკები	91
სტიქიური მოვლენებიდან მომდინარე ფისკალური რისკები	93
სტიქიური მოვლენები საქართველოში	93
სტიქიური მოვლენების გავლენის შეფასება მუნიციპალიტეტების დონეზე	96
განახლებადი ენერჯის მხარდაჭერა	98
წინამორბედი ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტები	98
ელექტროენერჯის ნაწილობრივ დერეგულირებული ბაზრის მოსალოდნელი ახალი სტრუქტურა	99
ფისკალური ხარჯებისა და რისკების მენეჯმენტი	100
მხარდაჭერის ენერგეტიკული სქემის ფისკალური ხარჯებისა და რისკების შეფასება	101
სტრატეგიული პროექტების გავლენა მიმდინარე შეფასებებზე	104
შეფასების ძირითადი დასკვნები	104
PPP ვალდებულებების შეფასება	105
პანდემიის ფისკალური რისკები	105
საქართველოს მაკრო-ფისკალური გამოცდილება COVID-19-ის პანდემიის დროს.	105
PANDA-T -ის მოდულის განახლება არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით	107
დანართები	108

შეჯამება

მაკროეკონომიკური რისკების შემდეგ სახელმწიფო საწარმოები და საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტები კვლავ რჩებიან ფისკალური რისკების ერთ-ერთ უმთავრეს წყაროდ ქვეყნისთვის, ასევე, გამოიკვეთა სასამართლო დავებიდან, კლიმატისა და დემოგრაფიული ცვლილებებიდან, სტიქიური მოვლენებიდან მომდინარე რისკები.

2021 წელს შესაძლოა ვუწოდოთ პოსტ-პანდემიური გაჯანსაღების პერიოდი. **სახელმწიფო საწარმოთა სექტორმა (მარაბდა-კარწახის რკინიგზის გარეშე) ბოლო წლებში განცილილი დრამატული ზარალის შემდეგ 2021 წელს აჩვენა წმინდა მოგება 413 მლნ ლარი, რაც წარმოადგენს ისტორიულ მაქსიმუმს.** იგივე მაჩვენებელი მარაბდა-კარწახის რკინიგზის ჩათვლით შეადგენს 537 მლნ ლარს.

ეს შედეგი დადგა რისკის პოზიტიური მიმართულებით რეალიზების შედეგად, კერძოდ, **კურსთაშორისი სხვაობით წარმოქმნილმა მოგებამ მარაბდა-კარწახის რკინიგზის გარეშე სექტორისთვის შეადგინა 515 მლნ ლარი.** შესაბამისად, კურსთაშორისი სხვაობის ეფექტის გარეშე საანგარიშო წელი 102 მლნ ლარის ოდენობით ზარალით დასრულდებოდა.

გაცვლითი კურსის რისკი, მიუხედავად 2021 წლის დადებითი შედეგისა, კვლავ ერთ-ერთი უმთავრესი გადასაჭრელი საკითხია. მიზანშეწონილია, მიღწეულ იქნას სახელმწიფო საწარმოთა სესხების პორტფელში ეროვნული და უცხოური ვალუტის ისეთი თანაფარდობა ან დაინერგოს ისეთი ფინანსური გადაწყვეტა, რომელიც თავიდან აგვარიდებს გასული წლების მასშტაბის ზარალს ვალუტის გაუფასურების შემთხვევაში.

პარალელურ რეჟიმში, სექტორის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია, აქტიურ ფაზაში გადავიდეს სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის თითოეული კომპონენტის დანერგვა.

გასული წლებისგან განსხვავებით, საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტებიდან, კერძოდ ენერჯეტიკის სექტორის პროექტებიდან, მომდინარე ფისკალური რისკების კუთხით სრულიად განსხვავებული გამოწვევების წინაშე ვდგავართ. შეიძლება ითქვას, სექტორიდან მომდინარე ფისკალური რისკები ეტაპობრივად მცირდება, თუმცა, მნიშვნელოვანია მეტი აქცენტირება მხარდაჭერის სქემის გრძელვადიან ეკონომიკურ ეფექტიანობაზე, რაც გრძელვადიან პერიოდში შეამცირებს აღნიშნული სექტორის შემდგომი წახალისების, მათ შორის ფისკალურ რისკებთან დაკავშირებული წახალისების ღონისძიებების საჭიროებას. ფინანსთა სამინისტროს მხრიდან პანდემიის დაწყებისთანავე ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებების (PPA) გაცემის მორატორიუმით შეწყდა პირობითი ვალდებულებების აკუმულირება, ამასთან შემცირდა არსებული პირობითი ვალდებულებების დონეც, ეს გადაწყვეტილება იყო ცალსახად სწორი. ამავე პერიოდში დაინტერესებული მხარეების ჩართულობით დაიწყო მუშაობა სექტორის წახალისების ალტერნატიულ და უფრო ეფექტური მექანიზმების შემუშავებასა და დანერგვაზე. ელექტროენერჯის ბაზრის დერეგულირებამდე (გახსნამდე) რჩება რამდენიმეთვიანი გარდამტეხი პერიოდი, რამაც პრაქტიკულად უნდა განსაზღვროს ენერჯეტიკის სექტორის შემდეგი წლების განვითარების მიმართულება. აუცილებელია, პროცესი წარიმართოს მაქსიმალურად გამჭვირვალედ, წახალისდეს კონკურენცია, დროთა განმავლობაში კი სრულად აიკრძალოს პირდაპირი მოლაპარაკებების მექანიზმი, რომელიც საჯარო-კერძო თანამშრომლობის კანონმდებლობით მხოლოდ ენერჯეტიკის სექტორშია ნებადართული და შეიცავს გარკვეულ რისკებს.

- 2021 წლის ბოლოს ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტის ფარგლებში გასაჯაროვდა სახელმწიფო საწარმოთა ყოვლისმომცველი რეფორმის სტრატეგიის პროექტი, რომელიც ეფუძნება საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტებსა და პრაქტიკებს. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერითა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან აქტიური თანამშრომლობით აგრძელებს მუშაობას სახელმწიფო საწარმოთა ყოვლისმომცველი რეფორმის სტრატეგიის დასრულებაზე „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N629 დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისად. დოკუმენტი ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით განსაზღვრავს სექტორის მთავარ გამოწვევებს და მათი დაძლევის გზებს და მისი დამტკიცება დაგეგმილია მიმდინარე წლის ბოლომდე. სტრატეგია ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისა და საჯარო ფინანსების გაძლიერების უზრუნველსაყოფად მიზნად ისახავს სახელმწიფო კორპორაციების ეფექტიანობის გაზრდას რეფორმის ფარგლებში დაგეგმილი ინსტიტუციური და საკანონმდებლო დონეზე გასატარებელი ღონისძიებების საფუძველზე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო საწარმოთა რეფორმა წარმოადგენს მიმდინარე წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდთან (IMF) გაფორმებული 3-წლიანი პროგრამის (Stand-by Arrangement) ერთ-ერთ უმთავრეს ქვაკუთხედს.
- საქართველოს მთავრობის 2022 წლის 10 ივნისის N1012 განკარგულებით დამტკიცდა სახელმწიფო საწარმოთა ფინანსური ზედამხედველობის განხორციელების წესი. აღნიშნული განკარგულებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 7 ძირითად სახელმწიფო საწარმოსთან მიმართებით მიენიჭა ფინანსური ზედამხედველის როლი, რაც გულისხმობს გადაწყვეტილებათა ერთობლიობას, რომლებსაც არსებითი გავლენა აქვთ კომპანიის ფინანსურ შედეგებსა და ფინანსურ პოზიციასზე. ფინანსური ზედამხედველობის ფუნქციების განხორციელების მიზნით, ფინანსთა სამინისტრო შეითანხმებს საწარმოთა ბიუჯეტის ძირითად პარამეტრებს, დივიდენდების პოლიტიკას, კორპორაციული განზრახვის განაცხადს (დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს დადგენილი რისკების ფარგლებში საწარმოს მიერ მისაღწევ ფინანსურ და არაფინანსური მიზნებს), კვაზი-ფისკალურ აქტივობებს. ასევე, საწარმოთა საინვესტიციო და სესხის აღების გადაწყვეტილებებს. აღსანიშნავია, რომ ფინანსთა სამინისტროსთვის აღნიშნული ფუნქციების დამატების ვალდებულება წარმოადგენდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ახალი პროგრამის დაწყების წინაპირობას.
- საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციები აქტიურად უჭერენ მხარს საქართველოს რეფორმების დღის წესრიგს, მათ შორის, სახელმწიფო საწარმოების ყოვლისმომცველი რეფორმის მიმართულებით. მიმდინარე წელს მსოფლიო ბანკის მიერ გამოქვეყნდა ანგარიში კორპორაციული მართვის სფეროში „სტანდარტებისა და კოდექსების შესრულების შესახებ (ROSC)“. ევროკავშირის მხარდაჭერით, მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) ერთობლივი პროგრამის ფარგლებში მომზადებული აღნიშნული ანგარიში 2021 წლის დეკემბრის მდგომარეობით განიხილავს და აანალიზებს საქართველოში კორპორაციული მართვის პრაქტიკებს და პოლიტიკის ჩარჩოს, მათ შორის, სახელმწიფო საწარმოებთან მიმართებით. სახელმწიფო საწარმოთა კორპორაციული მართვის ROSC შეფასება ეყრდნობა კვლევის ფარგლებში 13 ძირითადი სახელმწიფო საწარმოს გამოკითხვის შედეგებს და მიუთითებს სექტორში მიღწეულ პროგრესსა და გამოწვევებზე. ამასთან, შეიმუშავებს პოლიტიკის რეკომენდაციებს მართვის პრაქტიკების გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად. აღნიშნული შეფასებაც ხაზს უსვამს კორპორაციული მართვის ჩარჩოს მოწესრიგებისა და სახელმწიფოს ფლობის ფუნქციის

გაპლიერების მნიშვნელობას, რაც, ფაქტობრივად, წარმოადგენს სექტორის მთავარ გამოწვევებს.

სახელმწიფო საწარმოთა სექტორის მიმოხილვა (რეესტრი)

ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტი ფარავს სახელმწიფო საწარმოთა 88%-ს (სახელმწიფოს, მუნიციპალიტეტის წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოები) ბრუნვის მიხედვით, მათ შორის სახელმწიფო კორპორაციების¹ 100%-ს.

სახელმწიფო საწარმოების ერთიანი რეესტრი მოიცავს სახელმწიფო სტრუქტურების, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის და სხვა ადმინისტრაციული წყაროების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, ცენტრალური მთავრობისა და ადგილობრივი მთავრობების წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებს, რომლებიც კლასიფიცირდებიან, როგორც ფისკალური რისკების ანალიზისთვის მნიშვნელოვანი საწარმოები. ასეთ საწარმოებად განხილულია:

- ა) ცენტრალური მთავრობის ყველა საწარმო;
- ბ) მუნიციპალური საწარმოები, რომელშიც სახელმწიფოს წილი 25%-ზე მეტია და რომელთა წლიური ბრუნვა აღემატება 200 ათას ლარს, ან გაცემული წლიური ხელფასი აღემატება 15 ათას ლარს.

საწარმოების აღნიშნულ მაჩვენებლებთან მიმართებით შეფასებისათვის გამოყენებულ იქნა სხვადასხვა ადმინისტრაციული წყაროებიდან მიღებული ფინანსური მონაცემები. აღნიშნული მონაცემების საფუძველზე ამ საწარმოთათვის შეიქმნა 2021 წლის ფინანსური მონაცემების ბაზა.

ზემოთ მითითებული კრიტერიუმებიდან გამომდინარე, ფისკალური რისკების ანალიზისთვის წარმოდგენილია 316 სახელმწიფო საწარმო, 154 ცენტრალური ხელისუფლების, ხოლო 162 ადგილობრივი ხელისუფლების საკუთრებაშია, ასევე, ჩამოთვლილ საწარმოებს ჯამურად გააჩნიათ 96 შვილობილი საწარმო.

ფინანსურ მონაცემების კონსოლიდების შედეგად ანალიზი ეყრდნობა 316 სახელმწიფო საწარმოს მონაცემებს, ხოლო 96 შვილობილი კომპანიის მონაცემები დამატებითი ინფორმაციის სახით არის წარმოდგენილი.

ცხრილი 1. ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მართვაში არსებულ სახელმწიფო საწარმოთა რაოდენობა

დასახელება	რაოდენობა
სახელმწიფოს საწარმოთა ჯამური რიცხვი	316

¹ სახელმწიფო კორპორაცია არის საწარმო, რომელიც საქონლისა და მომსახურების რეალიზაციას ახდენს ეკონომიკურად მნიშვნელოვანი ფასით, აქვს უნარი მესაკუთრისთვის მოიტანოს მოგება ან სხვა ფინანსური სარგებელი და ამასთან გადაწყვეტილებების მიღებაში არის დამოუკიდებელი.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 24 აპრილის N96 ბრძანებით „სახელმწიფო საწარმოთა სექტორიზაციის სიის დამტკიცების შესახებ“ 52 საწარმო მიჩნეულ იქნა სახელმწიფო კორპორაციად,

დასახელება	რაოდენობა
მათ შორის:	
ადგილობრივი ხელისუფლების საკუთრებაშია	162
ცენტრალური ხელისუფლების საკუთრებაშია მათ შორის:	154
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მართვაში	102
შექმნილი საპარტნიორო ფონდის წილობრივი მონაწილეობით	25
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მართვაში	7
იურიდიული პირების მართვაში	3
საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მართვაში	8
საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მართვაში	2
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მართვაში	2
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მართვაში	2
საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მართვაში	1
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	1
სახელმწიფოს მიერ შექმნილი საინვესტიციო ფონდი	1

მუნიციპალიტეტების მფლობელობაში არსებულ სახელმწიფო საწარმოებიდან 44 კომპანია არის თბილისისა და ბათუმის მუნიციპალიტეტების საკუთრებაში და მათი წილი მუნიციპალიტეტების საკუთრებაში არსებული საწარმოების მთლიანი ბრუნვის 93 პროცენტს შეადგენს.

ცხრილი 2

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მუნიციპალური საწარმოების მონაცემები მუნიციპალიტეტების მიხედვით

	საწარმოთა რაოდენობა	წილი მუნიციპალური ხელისუფლების საწარმოების ჯამურ რაოდენობაში	წილი მუნიციპალური ხელისუფლების საწარმოების მუნიციპალურ საწარმოთა ჯამურ რაოდენობაში	2021 ერთობლივი შემოსავალი (ათასი ლარი)	წილი მუნიციპალური ხელისუფლების საწარმოების ჯამურ რაოდენობაში	წილი მუნიციპალური ხელისუფლების საწარმოების მუნიციპალურ საწარმოთა ჯამურ რაოდენობაში
სულ	316			3,632,572.1		100%
მათ შორის:						

	საწარმოთ ა რაოდენო ბა	წილი მუნიციპალური ხელისუფლების საწარმოების ჯამურ რაოდენობაში	წილი მუნიციპალური ხელისუფლების საწარმოების მუნიციპალურ საწარმოთა ჯამურ რაოდენობაში	2021 ერთობლივი შემოსავალი (ათასი ლარი)	წილი მუნიციპალური ხელისუფლებ ის საწარმოების ჯამურ რაოდენობაში ო	წილი მუნიციპალური ხელისუფლების საწარმოების მუნიციპალურ საწარმოთა ჯამურ რაოდენობაში
მუნიციპალიტეტები	162	51.3%		348,901.8		9.6%
თბილისის მუნიციპალიტეტი	19	6.0%	11.7%	271,260.6	7.47%	77.75%
ბათუმის მუნიციპალიტეტი	25	7.9%	15.4%	52,944.7	1.46%	15.17%
საჩხერის მუნიციპალიტეტი	2	0.6%	1.2%	7,379.9	0.20%	2.12%
ქუთაისის მუნიციპალიტეტი	9	2.8%	5.6%	2,700.1	0.07%	0.77%
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი	1	0.3%	0.6%	2,316.5	0.06%	0.66%
მარნეულის მუნიციპალიტეტი	3	0.9%	1.9%	1,853.4	0.05%	0.53%
თელავის მუნიციპალიტეტი	2	0.6%	1.2%	1,717.0	0.05%	0.49%
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	6	1.9%	3.7%	1,416.5	0.04%	0.41%
ბოლნისის მუნიციპალიტეტი	10	3.2%	6.2%	1,675.5	0.05%	0.48%
ქედის მუნიციპალიტეტი	6	1.9%	3.7%	889.1	0.02%	0.25%
მესტიის მუნიციპალიტეტი	3	0.9%	1.9%	704.1	0.02%	0.20%
სახელმწიფო ორგანო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა	9	2.8%	5.6%	544.3	0.01%	0.16%
საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	4	1.3%	2.5%	665.8	0.02%	0.19%
ონის მუნიციპალიტეტი	1	0.3%	0.6%	638.5	0.02%	0.18%
რუსთავის მუნიციპალიტეტი	6	1.9%	3.7%	507.4	0.01%	0.15%
დუშეთის მუნიციპალიტეტი	6	1.9%	3.7%	306.5	0.01%	0.09%
ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	2	0.6%	1.2%	298.0	0.01%	0.09%
სენაკის მუნიციპალიტეტი	5	1.6%	3.1%	185.5	0.01%	0.05%
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	2	0.6%	1.2%	177.3	0.00%	0.05%
ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	1	0.3%	0.6%	154.3	0.00%	0.04%
ახალციხის მუნიციპალიტეტი	1	0.3%	0.6%	147.0	0.00%	0.04%
ჭიათურის მუნიციპალიტეტი	3	0.9%	1.9%	134.0	0.00%	0.04%
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	1	0.3%	0.6%	65.1	0.00%	0.02%
სხვა დანარჩენი	35	11.1%	21.6%	220.9	0.01%	0.06%

ცხრილი 3

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების ანალიზი სექტორების მიხედვით

დარგი	სულ საწარმო ს რაოდენ ობა	მათ შორის:		სულ საწარმოთა ერთობლივი შემოსავალი 2021 (ათასი ლარი)	მათ შორის:		დარგობრივ საწარმოთა წილი მთლიან ერთობლივ შემოსავალში	
		ცენტრალური	ადგილობრივი		ცენტრალური	ადგილობრივი	ცენტრალური	ადგილობრივი
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა	7	7	0	22,698.6	22,698.6	0.0	0.7%	0.0%
სამთომშპოვებითი მრეწველობა	2	2	0	601.8	601.8	0.0	0.0%	0.0%

დარგი	სულ საწარმო ს რაოდენ ობა	მათ შორის:		სულ საწარმოთა ერთობლივი შემოსავალი 2021 (ათასი ლარი)	მათ შორის:		დარგობრივ საწარმოთა წილი მთლიან ერთობლივ შემოსავალში	
		ცენტრა ლური	ადგილო ბრივი		ცენტრალუ რი	ადგილობ რივი	ცენტრა ლური	ადგილობ რივი
დამამუშავებელი მრეწველობა	20	17	3	137,592.6	137,574.8	17.8	4.2%	0.0%
ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	21	9	12	1,972,247.9	1,946,527.5	25,720.4	59.3%	7.4%
მშენებლობა	16	11	5	84,681.1	83,168.5	1,512.7	2.5%	0.4%
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	14	10	4	193,391.9	193,040.7	351.2	5.9%	0.1%
სასტუმროები და რესტორნები	9	7	2	31,093.0	31,055.9	37.0	0.9%	0.0%
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	23	6	17	916,216.2	751,745.6	164,470.6	22.9%	47.1%
საფინანსო საქმიანობა	8	8	0	720.8	720.8	0.0	0.0%	0.0%
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	49	27	22	39,853.6	31,014.1	8,839.5	0.9%	2.5%
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	78	37	41	35,172.0	29,372.4	5,799.6	0.9%	1.7%
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	69	13	56	198,302.7	56,149.6	142,153.1	1.7%	40.7%
სულ	316	154	162	3,632,572.1	3,283,670.3	348,901.8		

სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების რეესტრის მონაცემებზე დაყრდნობით, ლიდერობს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების დარგში მოქმედი საწარმოთა რაოდენობა (316 საწარმოთა რეესტრიდან - 78 საწარმო, აქედან 41 ადგილობრივი). ჯანდაცვის და სოციალური დახმარების დარგში მოქმედი საწარმოები ლიდერობენ რაოდენობრივად, თუმცა მათი ჯამური ერთობლივი შემოსავლის წილი საწარმოთა მთლიან ერთობლივ შემოსავალში 1%-ს არ აღემატება.

სახელმწიფო საწარმოების მიერ მიღებული დაფინანსება

სახელმწიფოს მიერ სახელმწიფო საწარმოებისათვის გაწეული ფინანსური დახმარების დეტალური ინფორმაცია 2020-2022 წლებისთვის მოცემულია ცხრილებში 2-3.

ცხრილი 1. სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახელმწიფო საწარმოებზე მიმართული სახსრები და მიღებული დივიდენდები (მლნ ლარი)

დასახელება	2020	2021	2022 წელი 8 თვე
------------	------	------	-----------------

კაპიტალური ტრანსფერი			
სესხი			
სუბსიდია	-88.3	-246.4	-33.6
დივიდენდი		59.0	
წმინდა ფულადი ნაკადი	-88.3	-187.4	-33.6

ცხრილი 2. 2020-2021 წწ სუბსიდია სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ათასი ლარი)

კომპანიის დასახელება	2020	2021	2022 8 თვე
შპს საქართველოს ფოსტა	2,188	1,000	
შპს საქართველოს მელიორაცია	18,500	24,175	12,000
შპს აკად ნ.ყიფშიძის სახ. ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა	786		0
სს აკურა	16,000	28,000	0
შპს ადამ ბერიძის სახ. ნიად. და სურს. დიაგნ ცენტრი ანასეული	12	134	212
შპს საქართველოს აეროპორტების გაერთიანება	1,350	3,883	2,021
შპს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია	13,800	14,000	15,000
სს უნივერსალური სამედიცინო ცენტრი	2,150		0
შპს ბლექ სი არენა ჯორჯია	3,518	6,850	3,155
შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია	30,000	60,000	0
შპს ვ. სანიკიძის სახ ომის ვეტერანთა კლინიკური ჰოსპიტალი		800	523
შპს საქართველოს ტელერადიოცენტრი		973	0
შპს ემ თი ეი		13,374	128
შპს მთის კურორტების განვითარების კომპანია		800	0
შპს თოლია 2020		63	80
შპს პერსპექტივა		72	0
შპს მოსავლის მართვის კომპანია		91,073	0
სს ინფექც. პათოლ. შიდსისა და კლინიკ. იმუნოლ.სამეცნ.-პრაქტიკული ცენტრი		1,173	439
სულ	88,304	246,369	33,558

კომპანიები შპს საქართველოს მელიორაცია, შპს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია, შპს საქართველოს აეროპორტების გაერთიანება, შპს ბლექ სი არენა ჯორჯია, შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია დამოკიდებული არიან სახელმწიფო ბიუჯეტიდან რეგულარულ ფინანსურ დახმარებაზე. ბიუჯეტიდან სუბსიდიის სახით მიღებული თანხები

მიიმართება როგორც ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაზე ასევე საოპერაციო ხარჯების დასაფარად.

შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაზე 2020 წელს სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სუბსიდია გამოყენებულ იქნა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებიდან მიღებული სასესხო ვალდებულების დასაფარად. ანალოგიურად, 2021 წელს სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სუბსიდიიდან 20 მილიონი ლარი განკუთვნილი იყო 2021 წლის სასესხო ვალდებულების და საოპერაციო ხარჯების დასაფინანსებლად, ხოლო 40 მილიონი ლარი - 2022 წლის სასესხო ვალდებულებისა და საოპერაციო ხარჯების დასაფინანსებლად.

ადგილობრივი მთავრობების წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოები, რომლებიც საქმიანობას ახორციელებენ ჯანმრთელობის დაცვის კომუნალური სერვისების, მშენებლობის და სხვა სექტორებში თავისი საქმიანობის განხორციელების მიზნით ასევე მუდმივად საჭიროებენ ადგილობრივი ბიუჯეტიდან მხარდაჭერას. 2020-2021 წელს მუნიციპალიტეტების მიერ გამოყოფილ იქნა 101 და 262 მლნ ლარი, შესაბამისად. მათ შორის მხოლოდ თბილისის მუნიციპალიტეტის საწარმოებზე მოდის მთლიანი მოცულობის 80%.

შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიაზე გაცემულმა სუბსიდიამ 2020-2022წწ გადააჭარბა 260 მლნ ლარს, რაც სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებების, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაციის და რეკონსტრუქციის პროექტების დასაფინანსებლად არის გამოყოფილი.

ცხრილი 3. 2020-2022 წწ სუბსიდია თბილისის ბიუჯეტიდან (ათასი ლარი)

კომპანიის დასახელება	2020	2021	2022 8 თვე
შპს ქ.თბილისის კარდიოლოგიური საავადმყოფო		5	0
შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია	40,106	119,366	105,717
შპს წყალთა სახეობის ცენტრი-ტონუსი	94	209	33
შპს თბილსერვის ჯგუფი	32,480	82,409	65,720
შპს ეკოსერვის ჯგუფი	6,500	16,763	11,400
სულ	79,179	218,752	184,625

ცხრილი 4. სახელმწიფო საწარმოებზე გადასესხებული თანხები (მლნ) (2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით)

კომპანია	ვალუტა	შეთანხმებული თანხა	ათვისებული თანხა	ძირითადი ვალის გადახდილი ნაწილი	დარიცხული პროცენტი ს გადახდილი ნაწილი	ვალის ნაშთი	ვალის ნაშთი ლარში
სს სახელმწიფო ელექტროსისტემა	EUR	378.3	101.7	47.4	14.6	50.8	178.1
	SDR	31.0	31.0	2.6	1.9	28.4	123.1
	USD	59.0	58.2	0.0	5.2	58.2	180.3
შპს ენგურჰესი	EUR	88.6	83.4	1.6	2.3	72.1	252.6
	GEL	37.0	37.0	5.8	5.6	31.2	31.2
შპს ენერგოტრანსი	EUR	218.5	218.5	74.1	35.5	144.4	506.1
შპს საქერონავიგაცია	EUR	4.7	4.7	2.5	0.6	2.2	7.6
შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია	EUR	394.3	90.4	15.1	6.9	68.6	240.4
	SDR	188.5	170.6	22.3	1.0	118.4	513.4
	USD	249.7	150.8	0.0	0.0	146.1	452.5
შპს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია	EUR	55.4	4.9	3.7	1.4	1.2	4.3
სულ		1,705.1	951.1	175.1	75.0	721.7	2,489.7

სახელმწიფო საწარმოების მიერ გადახდილი დივიდენდები

სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წმინდა მოგების განაწილებისა და გამოყენების შესახებ წინადადებების განხილვისა და გადაწყვეტილების მიმღები კომისიის შემადგენლობისა და საქმიანობის წესის განსაზღვრის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2011 წლის 12 აპრილის №174 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შექმნილი სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წმინდა მოგების განაწილებისა და გამოყენების შესახებ წინადადებების განხილვისა და გადაწყვეტილების მიმღები კომისია განიხილავს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წმინდა მოგების განაწილების საკითხს. აღნიშნულის თაობაზე წინადადებებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წინასწარ უგზავნის შესაბამისი უწყება, მის მართვაში მოქმედ საწარმოსთან შეთანხმებით. ხოლო წარმოდგენილი წინადადებების განხილვა ხდება ზემოთ აღნიშნული კომისიის სხდომაზე. კომისია წარმოდგენილი, დასაბუთებული წინადადების შესაბამისად იღებს გადაწყვეტილებას დივიდენდი მთლიანად/ნაწილობრივ მიმართოს ბიუჯეტში, თუ დაუტოვოს კომპანიას განვითარებისათვის.

ამასთან, სახელმწიფო საწარმოების ნაწილს საპარტნიორო ფონდი განკარგავს და მათგან მიღებულ დივიდენდებს ინვესტირებისთვის და სესხის მომსახურებისთვის დამოუკიდებლად იყენებს.

2020 წლის 21 აგვისტოს ჩატარებულ სხდომაზე განხილულ იქნა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ წარმოდგენილი წინადადება სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის“ 2017-2018 წლების მოგების (1 307,8

ათასი ლარი) საწარმოს განკარგულებაში რეინვესტირებისთვის დატოვების თაობაზე. კომისიის მიერ მხედველობაში მიღებულ იქნა რომ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 ივლისის №1341 განკარგულება სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრს“ სამედიცინო საქმიანობის შეუზღუდავად და უსაფრთხოდ განხორციელებისთვის პროფილური უძრავი ქონების შეძენის ან აშენების უზრუნველყოფის მიზნით, კაპიტალური ტრანსფერის სახით ფინანსური რესურსის გამოყოფის თაობაზე და მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, კომპანიის 2017-2018 წლების წმინდა მოგებიდან 300 ათასი ლარის საწარმოს განკარგულებაში დატოვება, რეინვესტირებისთვის, მიმდინარე ეტაპზე აუცილებელი სამკურნალო ტექნიკური შესაძლებლობების განვითარებისთვის. ხოლო საწარმოს 2017-2018 წლების წმინდა მოგების დარჩენილ ნაწილზე კომისია იმსჯელებს დამატებით.

2020 წლის 29 ოქტომბერს და 2020 წლის 30 დეკემბერს ჩატარებულ სხდომებზე განხილულ იქნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ წარმოდგენილი წინადადება სს სახელმწიფო ელექტროსისტემის 2018-2019 წწ მოგების განაწილების თაობაზე (2018-2019 წწ კომპანიის მოგებამ შეადგინა 77 175 ათას ლარი, აქედან 2018 წელს წმინდა მოგებამ შეადგინა 30 432 ათასი ლარი, ხოლო 2019 წელს - 46 743 ათასი ლარი). კომისიის გადაწყვეტილებით, კომპანიის 2018 და 2019 წლების წმინდა მოგებიდან 8 175 ათასი ლარი დარჩა საწარმოს განკარგულებაში, რეინვესტირებისთვის, ხოლო 69 000 ათასი ლარი - გადასახდელი სახელმწიფო ბიუჯეტში, მათ შორის 10 350.0 ათასი ლარი - მოგების გადასახადის სახით და 58.650 ათასი ლარი სახელმწიფოს კუთვნილი დივიდენდის სახით. აღნიშნული თანხა ჩაირიცხა 2021 წლის დეკემბერში.

2021 წლის 25 მარტის სხდომაზე განხილულ იქნა სს გეს საქრუსენერგოს 2017-2019 წწ წმინდა მოგების 32 406 ათასი ლარის განაწილების საკითხი. კომისიის გადაწყვეტილებით წმინდა მოგებიდან 31 806 ათასი ლარი დარჩა კომპანიის განკარგულებაში, ხოლო 600 ათასი ლარი განაწილდა აქციონერთა შორის წილების პროპორციულად. შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილ თანხად განისაზღვრა 300 ათასი ლარი, რომელიც ჩაირიცხა 2021 წლის მარტში.

სულ 2021 წელს დივიდენდის სახით სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხა 59 000 ათასი ლარი.

სესხები სახელმწიფო საწარმოებს შორის

სახელმწიფო საწარმოებს შორის გადასესხება და მათ მიერ ერთობლივი სესხის აღება სხვადასხვა პროექტების დაფინანსებისათვის ქმნის მთავრობაზე რისკის გადატანის საშიშროებას. საქართველოში ასეთი სესხების პრაქტიკა არ არის გავრცელებული და 2021 წელს ასეთი ტიპის სესხება სახელმწიფო კომპანიებს შორის არ მომხდარა.

არაფინანსური ტრანსფერები

ფინანსური ტრანსფერების გარდა, საქართველოს მთავრობასა და სახელმწიფო საწარმოებს შორის ადგილი აქვს აქტივების ტრანსფერებსაც, მათ შორის გაზი, მიწა, დანადგარები, ინვენტარი და სხვა ფიქსირებული აქტივები. ასეთი ტრანსფერები ძირითადად იმ მიზნით ხორციელდება, რომ სახელმწიფო საწარმოები გახდნენ აქტივების მფლობელები და მათზე დაკისრებული ფუნქციები და პროექტები, სრულად და უკეთესად განახორციელონ. ეს არ იწვევს ფისკალურ რისკებს.

2021 წლისთვის საწარმოებისგან მოწოდებული ინფორმაციაზე დაყრდნობითი არსებითი არაფინანსური ტრანსფერი არ იკვეთება.

მეთოდოლოგია კვაზი-ფისკალური აქტივობების იდენტიფიცირების, მათი ანალიზისა და დაფინანსების მექანიზმების საუკეთესო პრაქტიკების დანერგვის შესახებ

რა არის კვაზი-ფისკალური აქტივობა?

კვაზი-ფისკალურია აქტივობა, რომელსაც სახელმწიფო საწარმო ახორციელებს ცხადად, მთავრობის დავალებით ან ფარულად და ამ საქონლის/მომსახურების მიწოდებისთვის გადახდილი თანხა, საბაზრო ფასზე ან არსებულ პრაქტიკაზე დაბალია. უფრო რომ განვაზოგადოთ, კვაზი-ფისკალურია ნებისმიერი აქტივობა, რომელსაც მოგებაზე ორიენტირებული/კომერციული საწარმო არ განახორციელებდა. ასეთი აქტივობები ძირითადად ემსახურება სოციალურ და პოლიტიკურ მიზნებს.

კვაზი-ფისკალური აქტივობის მაგალითია მოსახლეობისთვის წყლის მიწოდება საბაზრო ფასზე ან თვითღირებულებაზე დაბალ ფასად, ასევე, სახელმწიფო საწარმოში დასაქმებულთა შეუსაბამოდ დიდი რაოდენობა ან/და სახელფასო ფონდი.

იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო არ ახდენს საწარმოებისთვის ასეთი ტიპის აქტივობების კომპენსირებას ბიუჯეტიდან, სახელმწიფო საწარმოებს თავად უწევთ კვაზი-ფისკალურ აქტივობებთან დაკავშირებული ტვირთის საკუთარ თავზე აღება, რაც აუარესებს მათ ფინანსურ შედეგებს.

კვაზი-ფისკალური აქტივობებიდან მომდინარე ფისკალური რისკების ეფექტიანი მართვისთვის მნიშვნელოვანია სახელმწიფომ შეიმუშაოს პოლიტიკა, რომელიც საწარმოთათვის არაკომპენსირებულ კვაზი-ფისკალურ აქტივობებთან დაკავშირებულ ტვირთს შეამსუბუქებს ან ნულამდე დაიყვანს. ასევე, თავიდან უნდა იქნას აცილებული სახელმწიფო საწარმოთათვის ასეთი ტვირთის შემდგომი წარმოშობაც. ამასთან, აღნიშნულის განხორციელება მიზანშეწონილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს დონეზე აღმოფხვრილია ნებისმიერი სხვა სახის არაეფექტურობა და პრაქტიკულად კვაზი-ფისკალური აქტივობის დაფინანსებისთვის გამოყოფილი თანხა შემდგომი საანგარიშო წლისთვის სახელმწიფო ბიუჯეტს უბრუნდება საწარმოს მიერ გადახდილი დივიდენდის სახით.

კვაზი-ფისკალური აქტივობების ფორმები:

კვაზი-ფისკალური აქტივობა შესაძლოა იყოს **ცხადი** (კომპანიის წესდებით, ან მთავრობის/სამინისტროს/უწყების სამართლებრივი აქტით განსაზღვრული) და **ფარული** (კომპანია ახორციელებს კვაზი-ფისკალურ აქტივობებს ამ ფუნქციის სამართლებრივი აქტით დაკისრების გარეშე). ფარული კვაზი-ფისკალური აქტივობის მაგალითია სახელმწიფო საწარმოში დასაქმებულთა საჭიროზე მეტი რაოდენობა სოციალური ან/და პოლიტიკური მიზნებისთვის.

ფარული კვაზი-ფისკალური აქტივობა უნდა იყოს აკრძალული. დაუშვებელია სახელმწიფო საწარმოს მიერ არაკომერციული მომსახურებების (NCSSO-ები) განხორციელება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ისინი არიან ცხადი და მათი ღირებულება სრულადაა კომპენსირებული სახელმწიფო ბიუჯეტიდან;

გარდა ამისა არსებობს შემდეგი სახის კვაზი-ფისკალური აქტივობები:

არაკომერციული მომსახურება (NCSO): კომერციულ ფასზე ნაკლები ტარიფის დაწესება. მაგალითად, ხელოვნურად დაბალი ტარიფის დაწესება კომუნალურ სერვისებზე, როგორცაა ელექტროენერჯია, წყალი;

არაძირითადი ფუნქციების განხორციელება: მთავრობის მიერ დაკისრებული ვალდებულებები, მაგალითად კაპიტალური ხარჯის გაწევა, რომელიც არაა დაკავშირებული კომპანიის ძირითად საქმიანობასთან;

სუბსიდირებული შესყიდვები: საბაზროზე მაღალი ფასის გადახდა, მაგალითად, სოფლის მეურნეობის პროდუქტების შეძენა ადგილობრივი ფერმერებისაგან საბაზრო ფასზე მაღალ ფასად, ფერმერების წახალისების მიზნით

მონოპოლიური პოზიციის გამოყენება: მომხმარებლებისაგან კომერციულად არასამართლიანი საფასურის მიღება (იმაზე მეტი ვიდრე ეს გამართებული იქნებოდა კომერციული თვალსაზრისით). დამატებითი შემოსავლების გამოყენება კომპანიის სხვა საქმიანობების ჯვარედინი სუბსიდირების მიზნით. (ერთი საქმიანობის დაფინანსების პრაქტიკა, სხვა საქმიანობიდან მიღებული მოგებით);

სუპერ-დივიდენდები: საწარმოს მიერ იმაზე მეტი დივიდენდის გადახდა, ვიდრე საანგარიშო პერიოდის მოგებით იყო შესაძლებელი. ასეთი გადახდები ხორციელდება ძირითადად საწარმოს აქტივების გაყიდვით (ერთჯერადი ოპერაცია) ან სხვა აკუმულირებული რეზერვებიდან.

ფასის კორექტირება შემოსავლების ზრდის მოკლევადიანი მიზნებისათვის: საქონლისა და მომსახურებისათვის უფრო მაღალი ფასის დაწესება, რათა მოკლევადიან პერიოდში გაიზარდოს სახელმწიფო საწარმოს მოგება და დივიდენდები, იმ შემთხვევაშიც კი თუ ეს შეამცირებს საწარმოს წილს ბაზარზე და მის მოგებას საშუალოვადიან პერიოდში.

გარდა ზემოაღნიშნულისა, გამოიყოფა სახელმწიფო საწარმოს კომერციული და არაკომერციული მომსახურებები.

სახელმწიფო საწარმოს კომერციული მომსახურებები (CSO) წარმოადგენენ ისეთ მომსახურებებს, რომლებიც სრულად ანაზღაურდება საწარმოს მომხმარებლების მიერ,

სახელმწიფო საწარმოს თითოეული კომერციული ფუნქცია ასახულ უნდა იქნეს კომპანიის კორპორაციული მართვის განაცხადში ან სხვა მსგავსი ტიპის დოკუმენტში, რომელიც წარმოადგენს აქციონერის მიერ სამეთვალყურეო საბჭოსთვის განსაზღვრულ სტრატეგიულ მიზნებს, მიზნობრივ ფინანსურ და არაფინანსურ კოეფიციენტებსა და სხვა KPI-ებს, რისკების ლიმიტებს და ა.შ.

კორპორაციის კომერციული ფუნქციები უნდა იყოს გასაჯაროვებული სახელმწიფო საწარმოს წლიურ რეპორტში. გასაჯაროვებული ინფორმაცია უნდა შეიცავდეს: (1) თითოეული კომერციული ფუნქციის აღწერას; (2) თითოეული მათგანიდან გენერირებულ შემოსავალს/მოგებას; და (3) აღწერასა და ანგარიშს, თუ როგორ ხდება ღირებულების ანაზღაურება მომხმარებლებისაგან.

კომერციული ფუნქციების რეზიუმეები ასევე, უნდა იყოს გასაჯაროვებული ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტში, სადაც შეფასდება ამ ფუნქციების კვაზი-ფისკალურ აქტივობებად გარდაქმნის რისკები.

არაკომერციული მომსახურებები (NCSO)

სახელმწიფო საწარმომ ყველა არაკომერციული მომსახურება უნდა ასახოს, როგორც შესაბამისი ბიუჯეტიდან ტრანსფერი სრული ღირებულებით, მათ შორის შესაბამისი უკუგებით. თავის მხრივ, აღნიშნული თანხა საქართველოს საბიუჯეტო კანონმდებლობის შესაბამისად უნდა გაიწეროს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში.

ყველა არაკომერციული მომსახურება შესაბამისი საზომებით უნდა აისახოს კომპანიების კორპორაციული მართვის განაცხადში (SCI).

არაკომერციული აქტივობების შესაბამისობა SCI-სთან უნდა გასაჯაროვდეს სახელმწიფო საწარმოთა ანგარიშში ყოველწლიურად. ანგარიში სულ მცირე უნდა ფარავდეს:

- თითოეული არაკომერციული მომსახურების აღწერას;
- მასზე გაწეულ ფაქტიურ ხარჯს ბიუჯეტირებულთან შედარებით;
- არაფინანსური შედეგების შედარებას დაგეგმილ შედეგებთან.

არაკომერციულ მომსახურებებზე ინფორმაცია ასევე უნდა გასაჯაროვდეს ფისკალური რისკების დოკუმენტში.

ცნობისთვის, ერთი მხრივ საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების 203-206 მუხლების მიხედვით, მხარეები აცნობიერებენ თავისუფალი და შეუზღუდავი კონკურენციის მნიშვნელობას თავიანთ სავაჭრო ურთიერთობებში და აღიარებენ, რომ სახელმწიფოს ქმედებები, რომლებიც აზიანებენ კონკურენტულ ნეიტრალურობას (მაგ. სუბსიდირება), აზიანებენ მთლიანად ბაზარს, რაც ამცირებს ვაჭრობის ლიბერალიზაციიდან მომდინარე სარგებელს.

არსებული პრაქტიკები

კვაზი-ფისკალური აქტივობების იდენტიფიცირება, ანალიზი და გამოქვეყნება საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2017 წლიდან დაიწყო. უკანასკნელი გამოცდილებით 3 საწარმოში იდენტიფიცირებული ცხადი კვაზი-ფისკალური აქტივობები. თუმცა, ფარული კვაზი-ფისკალური აქტივობები გაცილებით დიდი მოცულობის უნდა იყოს.

ფარული კვაზი-ფისკალური აქტივობის მაგალითია ჭარბი დასაქმება.

კვაზი-ფისკალური აქტივობების გავლენა სახელმწიფო საწარმოთა ფინანსურ შედეგებზე

მლნ ლარი

შპს ენგურჰესი	2020	2021
---------------	------	------

	კვაზი ფისკალური აქტივობის გარეშე	კვაზი ფისკალური აქტივობა	კვაზი ფისკალური აქტივობის გარეშე	კვაზი ფისკალური აქტივობა
სულ შემოსავალი	51.6		133.6	
საოპერაციო შემოსავალი	39.2		96.1	
არასაოპერაციო შემოსავალი	12.4		37.5	
სულ ხარჯები	105.5	31.6	91.2	29.6
საოპერაციო ხარჯები	59.3	31.6	88.0	29.6
არასაოპერაციო ხარჯები	46.3		3.2	
მიუღებელი მოგება				
მოგება დაბეგვრამდე	-22.4	-31.6	72.0	-29.6
მოგების გადასახადი				
წმინდა მოგება	-22.4	-31.6	72.0	-29.6

- კომპანიის ელექტროენერჯის ტარიფი სხვა კომპანიებთან შედარებით, რომლებიც ოპერირებენ საქართველოს ბაზარზე, არის მნიშვნელოვნად დაბალი. ამასთან, საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის ბრძანებისა N77 – „ელექტროენერჯის ბაზრის წესების“ შესაბამისად, კომპანია ანაზღაურებას ვერ იღებს აფხაზეთის ტერიტორიაზე მიწოდებული ელექტროენერჯიდან.
- 2021 წლის განმავლობაში აფხაზეთის ტერიტორიაზე მიწოდებული ელექტროენერჯის წილმა მთლიან გამომუშავებაში შეადგინა 45%. ცხრილში წარმოდგენილია შპს ენგურჰესის ფინანსური მონაცემები კვაზი-ფისკალური აქტივობების გარეშე და განცალკევებით მხოლოდ კვაზი-ფისკალური აქტივობის გავლენა მოგება-ზარალის ანგარიშგების ძირითად მაჩვენებლებზე.
- ცხრილიდან ჩანს, რომ შპს ენგურჰესმა ოკუპირებული აფხაზეთის მოსახლეობისთვის ელექტროენერჯის უსასყიდლოდ მიწოდებით საშუალოდ 30 მილიონი ლარის შემოსავალი დაკარგა.

მლნ ლარი

სს საქართველოს რკინიგზა	2020		2021	
	კვაზი ფისკალური აქტივობის გარეშე	კვაზი ფისკალური აქტივობა	კვაზი ფისკალური აქტივობის გარეშე	კვაზი ფისკალური აქტივობა
სულ შემოსავალი	528.4	12.8	664.7	15.3
საოპერაციო შემოსავალი	501.9	11.2	556.8	14.8
არასაოპერაციო შემოსავალი	26.5	1.6	107.9	0.5
სულ ხარჯები	692.6	63.0	611.5	37.8
საოპერაციო ხარჯები	372.7	47.1	391.4	37.7
არასაოპერაციო ხარჯები	319.9	15.9	220.1	0.1

მიუღებელი მოგება				
მოგება დაბეგვრამდე	-114.0	-50.2	75.7	-22.5
მოგების გადასახადი	-0.5		-0.5	
წმინდა მოგება	-114.5	-50.2	75.2	-22.5

- სს საქართველოს რკინიგზა ყოველწლიურად ტვირთბრუნვიდან მიღებული შემოსავლის ხარჯზე ასუბსიდირებს მგზავრების გადაყვანას, რაც კომპანიას ყოველწლიურად საშუალოდ 40 მილიონი ლარი უჯდება. ცხრილში მოცემულია კომპანიის ფინანსური მაჩვენებლები კვაზი ფისკალური აქტივობებითა და მათ გარეშე. ენგურჰესის მსგავსად, კვაზი-ფისკალური აქტივობის არ არსებობის პირობებში, საქართველოს რკინიგზა 2021 წელს დახურავდა 22,5 მლნ ლარით გაზრდილი მოგებით.

მლნ ლარი

სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია	2020		2021	
	კვაზი ფისკალური აქტივობის გარეშე	კვაზი ფისკალური აქტივობა	კვაზი ფისკალური აქტივობის გარეშე	კვაზი ფისკალური აქტივობა
სულ შემოსავალი	1024.1		1250.6	
საოპერაციო შემოსავალი	997.2		1114.6	
არასაოპერაციო შემოსავალი	26.9		136.0	
სულ ხარჯები	1020.9		1113.0	
საოპერაციო ხარჯები	863.1		1065.9	
არასაოპერაციო ხარჯები	157.8		47.1	
მიუღებელი მოგება		198.9		302.1
მოგება დაბეგვრამდე	202.1	-198.9	439.7	-302.1
მოგების გადასახადი				
წმინდა მოგება	202.1	-198.9	439.7	-302.1

- 2013 წლიდან სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია ახდენს საყოფაცხოვრებო გაზის სექტორის მომხმარებელთა ტარიფის სუბსიდირებას, რაც კომპანიის შესაძლო მისაღებ მოგებას ამცირებს. მისაღები მოგება წარმოდგენს სხვაობას კომერციული ტარიფით გაყიდვის შესაძლებლობასა და ფაქტობრივად მიღებულ შემოსავალს შორის.
- ცხრილი ასახავს სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ფინანსურ მაჩვენებლებს კომერციული ტარიფით გაყიდვის შემთხვევაში და განცალკევებით კვაზი-ფისკალური აქტივობის შედეგად წარმოქმნილ მიუღებელ შემოსავალს, რაც 2021 წლისთვის აღემატება 302 მილიონ ლარს. აღნიშნული პანდემიის გამო მოსახლეობის მხარდაჭერისთვის სოციალური ტარიფის საშუალო გასაყიდი ფასის 52.5 აშშ დოლარით ათას კუბ. მეტრზე შემცირების შედეგია. 2020 წელს სოციალური ტარიფი შემცირებული იყო 40.5 აშშ დოლარით ათას კუბ. მეტრზე, ხოლო ანალოგიური მაჩვენებელი 2019 წელს 25.4 აშშ დოლარით ათას კუბ. მეტრზე.

- 2022 წლისთვის კომპანიის მიერ საყოფაცხოვრებო სექტორის გაზის მომხმარებლის ტარიფის სუბსიდირების შედეგად მოსალოდნელია 220 მლნ ლარით ნაკლები შემოსავლის მიღება.

სახელმწიფო საწარმოთა ფინანსური შედეგების მიმოხილვა

2021 წლის ფინანსური ანგარიშგებები წარმოადგინა 147-მა საწარმომ.

- მარაბდა-კარწახის რკინიგზის გარეშე სახელმწიფო საწარმოების წმინდა მოგებამ 2021 წელს 413 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო მარაბდა-კარწახის რკინიგზის ჩათვლით წმინდა მოგებამ მიაღწია 537 მლნ ლარს;
- სახელმწიფო საწარმოთა 2021 წლის წმინდა მოგების მაჩვენებელი უმთავრესად განპირობებულია კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგებით.

ქვემოთ მოცემულია სახელმწიფო საწარმოთა ჯამური ფინანსური შედეგები მარაბდა-კარწახის რკინიგზის ჩათვლით და გარეშე².

ბალანსი

მლნ ლარი

ნაერთი (მარაბდა-კარწახის რკინიგზის ჩათვლით)	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
აქტივები	11,890	12,045	12,031	11,951	12,575	13,394	14,457
მიმდინარე აქტივები	2,499	2,670	2,903	2,623	2,464	2,465	2,481
გრძელვადიანი აქტივები	9,391	9,374	9,128	9,328	10,112	10,930	11,975
კაპიტალი	5,589	4,972	4,826	4,302	4,322	3,570	4,928
საწესდებო კაპიტალი	3,707	4,103	5,045	5,418	5,216	6,721	7,042
კაპიტალში შენატანები	2,376	2,647	2,700	2,772	2,765	2,148	2,147
გაუნაწილებელი მოგება	34	91	52	70	45	188	338
დაუფარავი ზარალი	0	-1,464	-2,988	-3,828	-4,174	-6,166	-5,490
სხვა დანარჩენი კაპიტალი	-528	-406	16	-130	471	679	891
ვალდებულებები	6,301	7,073	7,206	7,650	8,253	9,824	9,528
მიმდინარე ვალდებულებები	808	1,066	1,271	1,691	1,047	2,203	1,893
გრძელვადიანი ვალდებულებები	5,493	6,007	5,935	5,958	7,207	7,621	7,635
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	11,890	12,045	12,031	11,951	12,575	13,394	14,457

² მარაბდა-კარწახის რკინიგზის საქმიანობა არ მოიაზრებს მოგების გენერირებას, ასევე, აღნიშნული კომპანია არ შედის სახელმწიფო კორპორაციების ან სამთავრობო სექტორში. ამიტომ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სახელმწიფო საწარმოთა ჯამური ფინანსური შედეგების მარაბდა-კარწახის რკინიგზის გარეშე განხილვა. ამასთან, გამჭვირვალობისთვის ვურთავთ ორივე ვერსიას.

მოგება-ზარალის ანგარიშგება

მლნ ლარი

ნაერთი (მარაბდა-კარწახის რკინიგზის ჩათვლით)	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
შემოსავალი	2,316	2,555	2,954	2,958	3,242	3,801	4,757
საოპერაციო შემოსავალი	2,196	2,339	2,605	2,636	2,943	3,064	3,688
არასაოპერაციო შემოსავალი	120	216	349	322	299	737	1,069
მ.შ. კურსთაშორისი სხვაობით მილ.მოგება	0	48	184	140	109	218	800
ხარჯი	3,104	3,089	3,683	3,771	3,477	4,940	4,257
საოპერაციო ხარჯი	2,085	2,358	3,154	3,264	2,828	3,292	3,680
ცვეთა/ამორტიზაცია	182	291	314	317	278	354	315
არასაოპერაციო ხარჯი	1,019	731	529	507	650	1,648	577
მ.შ.საპროცენტო ხარჯი	138	221	208	171	171	431	360
მ.შ. კურსთაშორისი სხვაობით მილ. ზარალი	423	465	227	272	436	1,171	137
სხვა დანარჩენი არასაოპერაციო ხარჯი	459	45	95	64	43	50	40
მოგება დაბეგრამდე	-788	-533	-729	-813	-235	-1,138	500
მოგების გადასახადი	-1	1	3	3	2	2	2
წმინდა მოგება	-786	-535	-732	-816	-237	-1,075	537

ფინანსური კოეფიციენტები

ნაერთი (მარაბდა-კარწახის რკინიგზის ჩათვლით)	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
რენტაბელობა							
შემოსავლების ცვლილება	22%	10%	16%	0%	10%	12%	19%
ხარჯების ცვლილება	57%	0%	19%	2%	-8%	21%	-17%
Operating Margin	5%	-1%	-21%	-24%	4%	-7%	0%
ROA	-7%	-4%	-6%	-7%	-2%	-8%	4%
ROE	-14%	-11%	-15%	-19%	-5%	-30%	11%
Cost Recovery	134%	121%	125%	127%	107%	115%	129%
ლიკვიდურობა							
Current Ratio	309%	250%	229%	155%	235%	112%	131%
გადახდისუნარიანობა							
Debt to Equity	113%	142%	149%	178%	191%	275%	193%
Interest Coverage	-571%	-242%	-353%	-478%	-139%	-250%	149%

ბალანსი

მლნ ლარი

ნაერთი (მარაბდა-კარწახის რკინიგზის გარეშე)	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
აქტივები	10,721	10,759	10,638	10,490	11,040	11,715	12,607
მიმდინარე აქტივები	2,190	2,410	2,622	2,365	2,216	2,220	2,235
გრძელვადიანი აქტივები	8,531	8,350	8,016	8,125	8,824	9,495	10,372
კაპიტალი	6,003	5,588	5,391	4,966	5,169	4,799	6,034
საწესდებო კაპიტალი	3,654	4,050	4,991	5,361	5,159	6,663	6,985
კაპიტალში შენატანები	2,376	2,618	2,671	2,742	2,765	2,148	2,147
გაუნაწილებელი მოგება	34	91	52	70	45	188	338

ნაერთი (მარაბდა-კარწახის რკინიგზის გარეშე)	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
დაუფარავი ზარალი	0	-765	-2,339	-3,077	-3,241	-4,850	-4,298
სხვა დანარჩენი კაპიტალი	-61	-406	16	-130	441	650	861
ვალდებულებები	4,717	5,171	5,247	5,524	5,871	6,916	6,573
მიმდინარე ვალდებულებები	785	1,056	1,257	1,673	1,023	2,175	1,864
გრძელვადიანი ვალდებულებები	3,932	4,115	3,990	3,851	4,848	4,741	4,710
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	10,721	10,759	10,638	10,490	11,040	11,715	12,607

მოგება-ზარალის ანგარიშგება

მლნ ლარი

ნაერთი (მარაბდა-კარწახის რკინიგზის გარეშე)	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
შემოსავალი	2,316	2,513	2,776	2,824	3,170	3,599	4,472
საოპერაციო შემოსავალი	2,196	2,339	2,605	2,636	2,943	3,064	3,688
არასაოპერაციო შემოსავალი	120	173	171	188	227	535	784
მ.შ.კურსთაშორისი სხვაობით მიღ. მოგება	0	5	7	5	37	15	515
ხარჯი	2,771	2,841	3,518	3,534	3,223	4,355	4,095
საოპერაციო ხარჯი	2,069	2,340	3,134	3,244	2,806	3,270	3,656
ცვეთა/ამორტიზაცია	182	289	313	315	277	352	314
არასაოპერაციო ხარჯი	702	500	384	290	417	1,085	440
მ.შ.საპროცენტო ხარჯი	131	213	200	160	162	415	343
მ.შ. კურსთაშორისი სხვაობით მიღ. ზარალი	423	243	90	70	212	623	16
სხვა დანარჩენი არასაოპერაციო ხარჯი	148	45	95	60	43	50	40
მოგება დაბეგრამდე	-455	-328	-742	-710	-53	-756	376
მოგების გადასახადი	-1	5	3	3	2	2	2
წმინდა მოგება	-454	-333	-746	-713	-55	-692	413

ფინანსური კოეფიციენტები

ნაერთი (მარაბდა-კარწახის რკინიგზის გარეშე)	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
რენტაბელობა							
შემოსავლების ცვლილება	22%	8%	10%	2%	12%	9%	18%
ხარჯების ცვლილება	47%	3%	24%	0%	-9%	14%	-9%
Operating Margin	6%	0%	-20%	-23%	5%	-7%	1%
ROA	-4%	-3%	-7%	-7%	0%	-6%	3%
ROE	-8%	-6%	-14%	-14%	-1%	-14%	7%
Cost Recovery	121%	115%	80%	77%	115%	110%	122%
ლიკვიდურობა							
Current Ratio	279%	228%	209%	141%	216%	102%	120%
გადახდისუნარიანობა							
Debt to Equity	79%	93%	97%	111%	114%	144%	109%
Interest Coverage	-346%	-156%	-373%	-446%	-34%	-167%	120%

სახელმწიფო საწარმოთა რისკის რეიტინგი

N	საწარმოს დასახელება	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
1	სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია	დაბალი	საშუალო	საშუალო	დაბალი	დაბალი	მაღალი ³	მაღალი	მაღალი
2	სს საქართველოს რკინიგზა	საშუალო	საშუალო	საშუალო	ძალიან მაღალი	ძალიან მაღალი	მაღალი	მაღალი	საშუალო
3	სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა	ძალიან მაღალი	ძალიან მაღალი	ძალიან მაღალი	ძალიან მაღალი	ძალიან მაღალი	ძალიან მაღალი	საშუალო	საშუალო
4	მპს ენერგოტრანსი	ძალიან მაღალი	ძალიან მაღალი	ძალიან მაღალი	ძალიან მაღალი	ძალიან მაღალი	ძალიან მაღალი		
5	მპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია	საშუალო	ძალიან მაღალი	ძალიან მაღალი	ძალიან მაღალი	ძალიან მაღალი	ძალიან მაღალი	მაღალი	საშუალო
6	მპს ენგურჰესი	საშუალო	საშუალო	ძალიან მაღალი	საშუალო	საშუალო	საშუალო	ძალიან მაღალი	საშუალო

³ 2021 წლის ფინანსურ კოეფიციენტებზე დაყრდნობით სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია არის საშუალო რისკიანი, თუმცა მას მიენიჭა მაღალი რისკის სტატუსი დიდი მოცულობის კვაზი-ფისკალური რისკების გამო. კერძოდ, უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში მკვეთრად იზრდება ფინანსური ტვირთი, რომელიც კორპორაციის მიერ საყოფაცხოვრებო სექტორში ბუნებრივი გაზის სამომხმარებლო ტარიფების შენარჩუნებას უკავშირდება.

N	საწარმოს დასახელება	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
7	ას ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი	საშუალო	ძალიან მაღალი	საშუალო	საშუალო	საშუალო	ძალიან მაღალი ⁴	ძალიან მაღალი	ძალიან მაღალი
8	მკს საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია	ძალიან მაღალი	ძალიან მაღალი	საშუალო	საშუალო	დაბალი	დაბალი	დაბალი	დაბალი
9	მკს მარაბდა-კარწახის რკინიგზა	ძალიან მაღალი	ძალიან მაღალი	ძალიან მაღალი	ძალიან მაღალი	ძალიან მაღალი	ძალიან მაღალი	ძალიან მაღალი	ძალიან მაღალი
10	მკს სახელმწიფო სამშენებლო კომპანია	ძალიან მაღალი	საშუალო	ძალიან მაღალი	საშუალო	საშუალო	დაბალი	საშუალო	საშუალო
11	ას საპარტნიორო ფონდი	საშუალო	საშუალო	საშუალო	ძალიან მაღალი	ძალიან მაღალი	საშუალო	საშუალო	საშუალო
12	მკს საქართველოს ფოსტა	მაღალი	საშუალო	საშუალო	მაღალი	მაღალი	საშუალო	დაბალი	დაბალი
13	ას გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგო	საშუალო	საშუალო	საშუალო	საშუალო	დაბალი	დაბალი	დაბალი	დაბალი
14	ას საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი	საშუალო	ძალიან მაღალი	დაბალი	საშუალო	საშუალო	დაბალი	დაბალი	საშუალო

⁴ 2021 წლის ფინანსურ კოეფიციენტებზე დაყრდნობით სს ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი (ესკო) არის საშუალო რისკიანი, თუმცა მას მიენიჭა ძალიან მაღალი რისკის სტატუსი, რადგან ესკოს ვალდებულება ახლად აშენებული ელექტროსადგურებიდან გამომჟღავნებული ელექტროენერგიის გარანტირებულად შესყიდვა (PPA), მიუხედავად იმისა, მომხმარებლებისგან მიიღებს თუ არა გაყიდული ელექტროენერგიის საფასურს, რაც კომპანიისათვის წარმოადგენს რისკს.

N	საწარმოს დასახელება	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
15	მკს თბილისის სატრანსპორტო კომპანია	საშუალო	საშუალო	მაღალი	მაღიან მაღალი	მაღიან მაღალი	საშუალო	საშუალო	საშუალო

სახელმწიფო საწარმოთა ფინანსური შედეგები

სს საპარტნიორო ფონდი



სახელმწიფოს წილი: 100%

ეკონომიკური საქმიანობის დასახელება: საფინანსო მომსახურების სხვა საქმიანობები, სადაზღვევო და საპენსიო ფონდების გარდა, სხვა ჯგუფებში ჩაურთველი

პირითადი საქმიანობა:

- **აქტივების მართვა** - აქტივების პორტფელი შედგება სტრატეგიული მნიშვნელობის კომპანიებისგან: სს „საქართველოს რკინიგზა“, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“;
 - **საინვესტიციო საქმიანობა** - ინვესტიციების განხორციელება პრიორიტეტულ სექტორებში: ენერჯეტიკა, სოფლის მეურნეობა, წარმოება, უძრავი ქონება და ტურიზმი, ინფრასტრუქტურა და ლოგისტიკა.
- საპარტნიორო ფონდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესი ამ ეტაპზე დასრულებული არ არის, თუმცა, წინასწარი მონაცემებით ცხადია, რომ ფონდის კონსოლიდირებულმა პორტფელმა 2021 წელი დაასრულა წმინდა მოგებით, წმინდა მოგებაში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებულ მოგებას.
 - საკურსო რისკი რჩება საწარმოთა ერთ-ერთ უმთავრეს რისკად, მხოლოდ 2021 წლის შთამბეჭდავი შედეგებით არ შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ შეინიშნება გაჯანსაღების ტენდენცია.
 - სს საპარტნიორო ფონდის ინდივიდუალური ანგარიშგების მიხედვითაც, კომპანიამ 2021 წელი დაასრულა მოგებით;

ბალანსი

მლნ ლარებში

სს საპარტნიორო ფონდი (კონსოლიდირებული)	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
აქტივები	6,281	6,867	6,337	5,815	6,037	4,601	4,528
მიმდინარე აქტივები	1,400	1,662	1,503	1,178	1,093	916	865
გრძელვადიანი აქტივები	4,880	5,205	4,834	4,637	4,943	3,685	3,663
კაპიტალი	2,557	2,731	2,292	1,771	1,939	1,426	1,622
საწესდებო კაპიტალი	100	100	100	100	100	100	100
კაპიტალში შენატანები	2,376	2,601	2,654	2,726	2,749	2,146	2,147
გაუნაწილებელი მოგება	34	0	0	0	0	0	0
დაუფარავი ზარალი	0	-18	-505	-1,084	-930	-833	-638
სხვა დანარჩენი კაპიტალი	46	48	42	29	20	13	12
ვალდებულებები	3,724	4,135	4,045	4,044	4,098	3,175	2,906
მიმდინარე ვალდებულებები	449	743	991	1,378	698	1,315	1,097
მ.შ. მიმდინარე სესხები	0	0	0	0	2	1,080	795
გრძელვადიანი ვალდებულებები	3,275	3,392	3,054	2,665	3,400	1,860	1,809
მ.შ. გრძელვადიანი სესხები	0	0	0	0	3	1,759	1,707
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	6,281	6,867	6,337	5,815	6,037	4,601	4,528

მოგება-ზარალის ანგარიშგება

მლნ ლარებში

სს საპარტნიორო ფონდი (კონსოლიდირებული)	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
შემოსავალი	1,494	1,644	1,819	1,831	1,371	1,575	1,967
საოპერაციო შემოსავალი	1,437	1,566	1,742	1,760	1,332	1,528	1,722
არასაოპერაციო შემოსავალი	57	78	77	71	39	48	245
მ.შ. კურსთაშორის სხვაობით მიღ. მოგება							217.7
ხარჯი	1,699	1,630	2,298	2,414	1,447	1,843	1,787
საოპერაციო ხარჯი	1,113	1,212	2,036	2,200	1,222	1,315	1,511
ცვეთა/ამორტიზაცია	182	204	210	205	137	148	143
არასაოპერაციო ხარჯი	586	418	262	214	226	529	276
მ.შ.საპროცენტო ხარჯი	119	163	154	142	186	529	276
მ.შ. კურსთაშორის სხვაობით მიღ. ზარალი	423	227	74	66	144	330	0
სხვა დანარჩენი არასაოპერაციო ხარჯი	44	28	35	6	0	4	0
მოგება დაბეგვრამდე	-204	15	-479	-583	-76	-268	180
მოგების გადასახადი	-10	-10	3	3	2	2	1
წმინდა მოგება	-195	24	-482	-585	87	-196	179

ფინანსური კოეფიციენტები

სს საპარტნიორო ფონდი (კონსოლიდირებული)	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
რენტაბელობა							
შემოსავლების ცვლილება	-	10%	11%	1%	-25%	15%	25%
ხარჯების ცვლილება	-	-4%	41%	5%	-40%	27%	-3%
Operating Margin	23%	23%	-17%	-25%	8%	14%	12%
ROA	-3%	0%	-8%	-10%	1%	-4%	4%
ROE	-8%	1%	-21%	-33%	5%	-14%	11%
Cost Recovery	134%	136%	89%	83%	112%	120%	130%
ლიკვიდურობა							
Current Ratio	312%	224%	152%	85%	157%	70%	79%
გადახდისუნარიანობა							
Debt to Equity	146%	151%	176%	228%	211%	223%	179%
Interest Coverage	-163%	15%	-314%	-412%	47%	-37%	65%

ბალანსი

მლნ ლარებში

სს საპარტნიორო ფონდი (ინდივიდუალური)	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
აქტივები	2 839	2 946	2 496	1 786	1 736	1 605	1 583
მიმდინარე აქტივები	288	305	258	105	12	67	35
გრძელვადიანი აქტივები	2 551	2 642	2 239	1 681	1 724	1 537	1 548
კაპიტალი	2 474	2 524	2 117	1 507	1 563	1 408	1 416
საწესდებო კაპიტალი	100	100	100	100	100	100	100
კაპიტალში შენატანები	2 376	2 539	2 592	2 664	2 675	2 084	0
გაუნაწილებელი მოგება	0	0	0	0	0	0	0
დაუფარავი ზარალი	-2	-115	-575	-1 256	-1 212	-775	-769
სხვა დანარჩენი კაპიტალი	0	0	0	0	0	0	2 085
ვალდებულებები	365	422	379	279	173	196	167
მიმდინარე ვალდებულებები	6	60	124	245	133	146	59
მ.შ. მიმდინარე სესხები	0	0	0	239	127	144	57
გრძელვადიანი ვალდებულებები	359	362	256	34	40	51	108
მ.შ. გრძელვადიანი სესხები	0	0	0	34	40	51	108
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	2 839	2 946	2 496	1 786	1 736	1 605	1 583

მოგება-ზარალის ანგარიშგება

მლნ ლარებში

სს საპარტნიორო ფონდი (ინდივიდუალური)	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
შემოსავალი	59	30	51	99	100	74	36
საოპერაციო შემოსავალი	45	14	31	88	90	50	12
არასაოპერაციო შემოსავალი	14	16	19	11	10	25	25
მ.შ. კურსთაშორის სხვაობით მიღ. მოგება	0	0	4	0	0	0	8

ხარჯი	57	143	501	778	55	69	29
საოპერაციო ხარჯი	7	97	469	744	21	40	17
ცვეთა/ამორტიზაცია	0	0	1	1	1	1	1
არასაოპერაციო ხარჯი	50	46	32	34	33	29	12
მ.შ.საპროცენტო ხარჯი	50	30	32	32	20	13	12
მ.შ. კურსთაშორის სხვაობით მიღ. ზარალი	0	15	0	2	14	14	0
სხვა დანარჩენი არასაოპერაციო ხარჯი	0	0	0	0	0	1	0
მოგება დაბეგვრამდე	2	-113	-450	-680	45	5	7
მოგების გადასახადი	0	0	0	1	1	2	1
წმინდა მოგება	2	-113	-450	-681	44	4	7

ფინანსური კოეფიციენტები

სს სავარტნიორო ფონდი (ინდივიდუალური)	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
რენტაბელობა							
შემოსავლების ცვლილება	-	-49%	69%	95%	1%	-26%	-51%
ხარჯების ცვლილება	-	150%	250%	55%	-93%	26%	-58%
Operating Margin	84%	-574%	-1395%	-747%	76%	20%	-45%
ROA	0%	-4%	-18%	-38%	3%	0%	0%
ROE	0%	-4%	-21%	-45%	3%	0%	0%
Cost Recovery	842%	31%	11%	13%	472%	186%	217%
ლიკვიდურობა							
Current Ratio	5108%	508%	208%	43%	9%	46%	60%
გადახდისუნარიანობა							
Debt to Equity	15%	17%	18%	18%	11%	14%	12%
Interest Coverage	3%	-371%	-1394%	-2144%	227%	28%	54%

წელი	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
მომგებიანობა							
Return on Assets	საშუალო რისკიანი	მაღალ რისკიანი	მაღალ რისკიანი	მაღალ რისკიანი	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი
Current Ratio	მაღალ რისკიანი	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი	დაბალ რისკიანი	დაბალ რისკიანი	დაბალ რისკიანი	დაბალ რისკიანი

გადახდისუნარიანობა							
Debt to Equity	ძალიან დაბალ რისკიანი	ძალიან დაბალ რისკიანი	ძალიან დაბალ რისკიანი	დაბალ რისკიანი	დაბალ რისკიანი	ძალიან დაბალ რისკიანი	ძალიან დაბალ რისკიანი

Interest Coverage	მალიან დაბალ რისკია ნი	მალიან დაბალ რისკია ნი	მალიან დაბალ რისკია ნი	მალიან დაბალ რისკია ნი	მალიან დაბალ რისკია ნი	მალიან დაბალ რისკია ნი	მალიან დაბალ რისკია ნი
რისკის საერთო რეიტინგი	საშუა ლო რისკია ნი	დაბალ რისკია ნი	საშუა ლო რისკია ნი	საშუა ლო რისკია ნი	დაბალ რისკია ნი	დაბალ რისკია ნი	დაბალ რისკია ნი

შპს საქართველოს მელიორაცია



ბალანსი

მლნ ლარებში

შპს საქართველოს მელიორაცია	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
აქტივები	665	83	107	72	81	101	100
მიმდინარე აქტივები	159	24	51	18	31	26	29
გრძელვადიანი აქტივები	506	59	55	55	50	74	70
კაპიტალი	634	69	90	56	46	69	62
საწესდებო კაპიტალი	762	840	910	907	900	922	897
კაპიტალში შენატანები	0	0	0	0	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება	0	0	0	0	0	0	0
დაუფარავი ზარალი	0	0	-820	-851	-854	-854	-834
სხვა დანარჩენი კაპიტალი	-129	-771	0	0	0	0	0
ვალდებულებები	32	14	16	16	35	32	37
მიმდინარე ვალდებულებები	26	13	16	16	17	17	14
მ.შ. მიმდინარე სესხები	0	0	0	0	0	14	0
გრძელვადიანი ვალდებულებები	5	1	1	0	18	15	23
მ.შ. გრძელვადიანი სესხები	0	0	0	0	0	0	0
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	665	83	107	72	81	101	100

მოგება-ზარალის ანგარიშგება

მლნ ლარებში

შპს საქართველოს მელიორაცია	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
შემოსავალი	17	19	21	23	25	30	32
საოპერაციო შემოსავალი	5	5	5	5	6	3	6
არასაოპერაციო შემოსავალი	13	14	16	18	19	27	26

მ.შ. კურსთაშორის სხვაობით მიღ. მოგება	0	0	0	0	0	0	0
ხარჯი	41	59	69	62	56	119	39
საოპერაციო ხარჯი	41	58	68	61	53	118	39
ცვეთა/ამორტიზაცია	0	20	7	7	6	6	6
არასაოპერაციო ხარჯი	0	1	1	1	3	1	0
მ.შ.საპროცენტო ხარჯი	0	1	1	1	1	0	0
მ.შ. კურსთაშორის სხვაობით მიღ. ზარალი	0	0	0	0	0	0	0
სხვა დანარჩენი არასაოპერაციო ხარჯი	0	0	0	0	1	1	0
მოგება დაბეგვრამდე	-24	-40	-48	-39	-31	-89	-7
მოგების გადასახადი	0	0	0	0	0	0	0
წმინდა მოგება	-24	-40	-48	-39	-31	-89	-7

ფინანსური კოეფიციენტები

შპს საქართველოს მელიორაცია	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
რენტაბელობა							
შემოსავლების ცვლილება	-	12%	11%	8%	8%	21%	7%
ხარჯების ცვლილება	-	45%	17%	-10%	-11%	113%	-67%
Operating Margin	-757%	-1051%	-1200%	-1066%	-791%	-3943%	-561%
ROA	-4%	-48%	-45%	-54%	-38%	-88%	-7%
ROE	-4%	-58%	-53%	-70%	-67%	-129%	-11%
Cost Recovery	43%	33%	31%	38%	47%	25%	83%
ლიკვიდურობა							
Current Ratio	605%	184%	328%	114%	179%	160%	207%
გადახდისუნარიანობა							
Debt to Equity	5%	21%	18%	28%	77%	47%	60%
Interest Coverage	-	-4235%	-5082%	-2859%	-2376%	-	-

წელი	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
მომგებიანობა							
Return on Assets	მაღალ რისკია წი	მაღალ რისკია წი	მაღალ რისკია წი	მაღალ რისკია წი	მაღალ რისკია წი	მაღალ რისკია წი	მაღალ რისკია წი
Return on Equity	მაღალ რისკია წი	მაღალ რისკია წი	მაღალ რისკია წი	მაღალ რისკია წი	მაღალ რისკია წი	მაღალ რისკია წი	მაღალ რისკია წი
Cost Recovery	ძალიან მაღალ რისკია წი	ძალიან მაღალ რისკია წი	ძალიან მაღალ რისკია წი	ძალიან მაღალ რისკია წი	ძალიან მაღალ რისკია წი	ძალიან მაღალ რისკია წი	მაღალ რისკია წი

ლიკვიდურობა

Current Ratio	მალიან დაბალ რისკია ნი	დაბალ რისკია ნი	მალიან დაბალ რისკია ნი	მაღალ რისკია ნი	დაბალ რისკია ნი	დაბალ რისკია ნი	მალიან დაბალ რისკია ნი
გადახდისუნარიანობა							
Debt to Equity	მალიან დაბალ რისკია ნი	მალიან დაბალ რისკია ნი	მალიან დაბალ რისკია ნი	მალიან დაბალ რისკია ნი	დაბალ რისკია ნი	მალიან დაბალ რისკია ნი	დაბალ რისკია ნი
Interest Coverage	მალიან მაღალ რისკია ნი	მალიან მაღალ რისკია ნი	მალიან მაღალ რისკია ნი	მალიან მაღალ რისკია ნი	მალიან მაღალ რისკია ნი	მალიან დაბალ რისკია ნი	მალიან დაბალ რისკია ნი
რისკის საერთო რეიტინგი	საშუა ლო რისკია ნი	მაღალ რისკია ნი	საშუა ლო რისკია ნი	მაღალ რისკია ნი	მაღალ რისკია ნი	საშუა ლო რისკია ნი	საშუა ლო რისკია ნი

შპს სახელმწიფო სამშენებლო კომპანია



სახელმწიფოს წილი: 100%

ეკონომიკური საქმიანობის დასახელება: გზების და ავტობანების მშენებლობა

ძირითადი საქმიანობა:

- სამშენებლო პროექტების განხორციელება, მათ შორის, საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების, ხიდების, გვირაბების რეაბილიტაცია, მოდერნიზაცია, რეკონსტრუქცია და სხვა საგზაო-სამშენებლო სამუშაოების შესრულება; სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო/სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება.
- კომპანიას 2021 წელს არ განუხორციელებია ახალი საინვესტიციო და სამშენებლო პროექტები. შესაბამისად, შემცირებულია კომპანიის შემოსავლები და ხარჯები წინა წლებთან შედარებით.

ბალანსი

მლნ ლარებში

შპს სახელმწიფო სამშენებლო კომპანია	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
აქტივები	101	98	120	96	91	89	84
მიმდინარე აქტივები	82	81	110	88	87	86	84
გრძელვადიანი აქტივები	19	17	10	8	4	3	1
კაპიტალი	92	85	94	89	90	88	84
საწესდებო კაპიტალი	115	118	132	142	133	134	127
კაპიტალში შენატანები	0	0	0	0	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება	0	0	0	0	0	0	0
დაუფარავი ზარალი	0	-34	-40	-54	-44	-47	-45
სხვა დანარჩენი კაპიტალი	-22	1	1	1	1	1	1
ვალდებულებები	9	13	27	7	1	1	1
მიმდინარე ვალდებულებები	9	13	27	7	1	1	1
მ.შ. მიმდინარე სესხები	0	0	0	0	0	0	0
გრძელვადიანი ვალდებულებები	0	0	0	0	0	0	0
მ.შ. გრძელვადიანი სესხები	0	0	0	0	0	0	0
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	101	98	120	96	91	89	84

მოგება-ზარალის ანგარიშგება

მლნ ლარებში

შპს სახელმწიფო სამშენებლო კომპანია	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
შემოსავალი	22	16	20	44	15	1	0
საოპერაციო შემოსავალი	21	16	20	44	2	0	0
არასაოპერაციო შემოსავალი	1	0	0	0	13	0	0
მ.შ. კურსთაშორის სხვაობით მიღ. მოგება	0	0	0	0	0	0	0
ხარჯი	28	27	26	51	5	3	1
საოპერაციო ხარჯი	28	26	25	51	5	2	1
ცვეთა/ამორტიზაცია	0	1	0	0	1	0	0
არასაოპერაციო ხარჯი	0	0	1	0	0	1	0
მ.შ.საპროცენტო ხარჯი	0	0	0	0	0	0	0
მ.შ. კურსთაშორის სხვაობით მიღ. ზარალი	0	0	0	0	0	0	0
სხვა დანარჩენი არასაოპერაციო ხარჯი	0	0	1	0	0	1	0
მოგება დაბეგვრამდე	-6	-10	-6	-7	10	-2	-1
მოგების გადასახადი	0	0	0	0	0	0	0
წმინდა მოგება	-6	-10	-6	-7	10	-2	-1

ფინანსური კოეფიციენტები

შპს სახელმწიფო სამშენებლო კომპანია	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
რენტაბელობა							
შემოსავლების ცვლილება	-	-24%	21%	122%	-66%	-96%	-43%
ხარჯების ცვლილება	-	-5%	-3%	96%	-91%	-37%	-55%
Operating Margin	-32%	-63%	-28%	-15%	-159%	-406%	-1467%
ROA	-6%	-10%	-5%	-7%	11%	-3%	-1%
ROE	-7%	-12%	-7%	-8%	11%	-3%	-1%
Cost Recovery	78%	63%	78%	87%	312%	29%	25%

ლიკვიდურობა							
Current Ratio	957%	623%	414%	1304%	8573%	15599%	16651%
გადახდისუნარიანობა							
Debt to Equity	9%	15%	28%	8%	1%	1%	1%
Interest Coverage	-	-	-	-	-	-	-

წელი	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
მომგებიანობა							
Return on Assets	მაღალ რისკიანი	მაღალ რისკიანი	მაღალ რისკიანი	მაღალ რისკიანი	საშუალო რისკიანი	მაღალ რისკიანი	მაღალ რისკიანი
Return on Equity	მაღალ რისკიანი	მაღალ რისკიანი	მაღალ რისკიანი	მაღალ რისკიანი	საშუალო რისკიანი	მაღალ რისკიანი	მაღალ რისკიანი
Cost Recovery	მაღალ რისკიანი	ძალიან მაღალ რისკიანი	მაღალ რისკიანი	მაღალ რისკიანი	ძალიან დაბალ რისკიანი	ძალიან მაღალ რისკიანი	ძალიან მაღალ რისკიანი
ლიკვიდურობა							
Current Ratio	ძალიან დაბალ რისკიანი	ძალიან დაბალ რისკიანი	ძალიან დაბალ რისკიანი	ძალიან დაბალ რისკიანი	ძალიან დაბალ რისკიანი	ძალიან დაბალ რისკიანი	ძალიან დაბალ რისკიანი
გადახდისუნარიანობა							
Debt to Equity	ძალიან დაბალ რისკიანი	ძალიან დაბალ რისკიანი	ძალიან დაბალ რისკიანი	ძალიან დაბალ რისკიანი	ძალიან დაბალ რისკიანი	ძალიან დაბალ რისკიანი	ძალიან დაბალ რისკიანი
Interest Coverage	ძალიან დაბალ რისკიანი	ძალიან დაბალ რისკიანი	ძალიან დაბალ რისკიანი	ძალიან დაბალ რისკიანი	ძალიან დაბალ რისკიანი	ძალიან დაბალ რისკიანი	ძალიან დაბალ რისკიანი
რისკის საერთო რეიტინგი	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი	დაბალ რისკიანი	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი

შპს მარაბდა-კარწახის რკინიგზა



სახელმწიფოს წილი: 100%

ეკონომიკური საქმიანობის დასახელება: მიწისზედა და მიწისქვეშა რკინიგზის მშენებლობა

ძირითადი საქმიანობა: საქართველოს ტერიტორიაზე, ბაქო-თბილისი-ყარსის შემაერთებელი ახალი სარკინიგზო ხაზის მარაბდა - თურქეთის რესპუბლიკის საზღვრამდე (კარწახი) პროექტის რეალიზაცია, რომელიც ერთმანეთთან დააკავშირებს აზერბაიჯანის რესპუბლიკისა და თურქეთის რესპუბლიკის სარკინიგზო ქსელებს.

- სახელმწიფო საწარმოთა სექტორიზაციის ეტაპზე კომპანია არ მიეკუთვნა არც სახელმწიფო კორპორაციების, არც სამთავრობო სექტორებს. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სარკინიგზო ხაზის გაყვანა საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც ერთმანეთთან დააკავშირებს აზერბაიჯანის და თურქეთის სარკინიგზო ქსელებს და მისი საქმიანობა არ მოიაზრებს მოგების გენერირებას. ამიტომ, მიზანშეწონილად არ ვთვლით სახელმწიფო საწარმოთა პორტფელის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებში მარაბდა-კარწახის რკინიგზის გათვალისწინებას. თუმცა, გამჭვირვალობის მიზნებისთვის, მაინც ვურთავთ.
- 2021 წელს კომპანიის წმინდა მოგება შეადგენდა 123,912 ათას ლარს, რაც განპირობებულია 2021 წელს საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგებით
- პროექტი სრულად ფინანსდება საკრედიტო ხაზის მეშვეობით (სესხი მიღებულია აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტროსგან - საკრედიტო ხაზი შეადგენს 775 მლნ აშშ დოლარს) და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასათვისებელი დარჩა 41,355 ათასი აშშ დოლარის ოდენობის ფულადი რესურსი. სესხი გაცემულ იყო 2 ტრანშად:
 - პირველი ტრანში - 200 მლნ აშშ დოლარი; წლიური საპროცენტო განაკვეთი - 1%; ტრანში სრულად ათვისებულია;
 - მეორე ტრანში - 575 მლნ აშშ დოლარი; წლიური საპროცენტო განაკვეთი 5%; 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ასათვისებელი დარჩა 41,355 ათასი აშშ დოლარის ოდენობის ფულადი რესურსი საკრედიტო ხაზის მეორე ტრანშის ფარგლებში (2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 79,095 ათასი აშშ დოლარი).
- კომპანიის სესხი არ წარმოადგენს სახელმწიფო ვალის ნაწილს.

ბალანსი

მლნ ლარებში

შპს მარაბდა-კარწახის რკინიგზა	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
აქტივები	1 170	1 285	1 393	1 461	1 535	1 679	1 850
მიმდინარე აქტივები	310	261	281	258	248	245	246
გრძელვადიანი აქტივები	860	1 025	1 112	1 203	1 288	1 434	1 604
კაპიტალი	-414	-616	-565	-664	-847	-1 229	-1 105
საწესდებო კაპიტალი	53	53	53	57	57	57	57
კაპიტალში შენატანები	0	30	30	30	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება	0	0	0	0	0	0	0
დაუფარავი ზარალი	0	-699	-648	-751	-933	-1 316	-1 192
სხვა დანარჩენი კაპიტალი	-467	0	0	0	30	30	30
ვალდებულებები	1 584	1 902	1 959	2 126	2 382	2 908	2 955
მიმდინარე ვალდებულებები	23	10	14	19	23	28	29
მ.შ. მიმდინარე სესხები	0	0	0	0	0	0	0
გრძელვადიანი ვალდებულებები	1 561	1 891	1 945	2 107	2 359	2 881	2 926
მ.შ. გრძელვადიანი სესხები	0	0	0	2 107	2 359	2 881	2 926
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	1 170	1 285	1 393	1 461	1 535	1 679	1 850

მოგება-ზარალის ანგარიშგება

მლნ ლარებში

შპს მარაბდა-კარწახის რკინიგზა	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
შემოსავალი	0	43	178	134	72	202	285
საოპერაციო შემოსავალი	0	0	0	0	0	0	0
არასაოპერაციო შემოსავალი	0	43	178	134	72	202	285
მ.შ. კურსთაშორის სხვაობით მიღ. მოგება	0	43	177	134	72	202	285
ხარჯი	332	248	164	237	254	585	161
საოპერაციო ხარჯი	16	18	20	20	22	22	24
ცვეთა/ამორტიზაცია	0	2	2	2	2	2	2
არასაოპერაციო ხარჯი	317	230	144	217	233	563	137
მ.შ.საპროცენტო ხარჯი	6	8	8	11	9	15	17
მ.შ. კურსთაშორის სხვაობით მიღ. ზარალი	0	223	137	202	224	547	121
სხვა დანარჩენი არასაოპერაციო ხარჯი	311	0	0	4	0	0	0
მოგება დაბეგვრამდე	-332	-205	14	-103	-183	-383	124
მოგების გადასახადი	0	-3	0	0	0	0	0
წმინდა მოგება	-332	-202	14	-103	-183	-383	124

ფინანსური კოეფიციენტები

შპს მარაბდა-კარწახის რკინიგზა	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
რენტაბელობა							
შემოსავლების ცვლილება	-	177683 %	317%	-24%	-46%	181%	41%
ხარჯების ცვლილება	-	-25%	-34%	44%	7%	130%	-72%
Operating Margin	64963%	-	-	-	-	-	-
ROA	-28%	-16%	1%	-7%	-12%	-23%	7%
ROE	80%	33%	-2%	15%	22%	31%	-11%

Cost Recovery	0%	242%	899%	660%	334%	910%	1189%
ლიკვიდურობა							
Current Ratio	1353%	2579%	2071%	1365%	1077%	882%	844%
გადახდისუნარიანობა							
Debt to Equity	-382%	-309%	-346%	-320%	-281%	-237%	-267%
Interest Coverage	-5341%	-2626%	173%	-935%	-1973%	-2514%	745%

წელი	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
მომგებიანობა							
Return on Assets	მაღალ რისკიანი	მაღალ რისკიანი	საშუალო რისკიანი	მაღალ რისკიანი	მაღალ რისკიანი	მაღალ რისკიანი	საშუალო რისკიანი
Return on Equity	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი	მაღალ რისკიანი	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი	მაღალ რისკიანი
Cost Recovery	მაღიან მაღალ რისკიანი	მაღიან დაბალ რისკიანი	მაღიან დაბალ რისკიანი	მაღიან დაბალ რისკიანი	მაღიან დაბალ რისკიანი	მაღიან დაბალ რისკიანი	მაღიან დაბალ რისკიანი
ლიკვიდურობა							
Current Ratio	მაღიან დაბალ რისკიანი	მაღიან დაბალ რისკიანი	მაღიან დაბალ რისკიანი	მაღიან დაბალ რისკიანი	მაღიან დაბალ რისკიანი	მაღიან დაბალ რისკიანი	მაღიან დაბალ რისკიანი
გადახდისუნარიანობა							
Debt to Equity	მაღიან დაბალ რისკიანი	მაღიან დაბალ რისკიანი	მაღიან დაბალ რისკიანი	მაღიან დაბალ რისკიანი	მაღიან დაბალ რისკიანი	მაღიან დაბალ რისკიანი	მაღიან დაბალ რისკიანი
Interest Coverage	მაღიან მაღალ რისკიანი	მაღიან მაღალ რისკიანი	დაბალ რისკიანი	მაღიან მაღალ რისკიანი	მაღიან მაღალ რისკიანი	მაღიან მაღალ რისკიანი	მაღიან დაბალ რისკიანი
რისკის საერთო რეიტინგი	მაღიან მაღალ რისკიანი	მაღიან მაღალ რისკიანი	მაღიან მაღალ რისკიანი	მაღიან მაღალ რისკიანი	მაღიან მაღალ რისკიანი	მაღიან მაღალ რისკიანი	მაღიან მაღალ რისკიანი

სახელმწიფო საწარმოთა სენსიტიურობის ანალიზი

შესავალი

ამ თავში მოცემულია 6 ძირითადი სახელმწიფო საწარმოს ფინანსური რისკების ანალიზი. თავი მოიცავს: ანალიზის მიზანს, ანალიზში გამოყენებულ ძირითად დაშვებებს და მოდელირებულ მაკრო-ეკონომიკურ სცენარებს, ასევე რისკების ანალიზის ძირითად მიგნებებს და დასკვნებს.

ანალიზში განხილულ ექვს საწარმოს წარმოადგენს:

1. ენგურჰესი;
2. საქართველოს რკინიგზა;
3. ნავთობისა და გაზის კორპორაცია;
4. საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა;
5. მარაბდა-კარწახის რკინიგზა;
6. საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია.

ეს სახელმწიფო საწარმოები შეირჩა მათი ფინანსური მნიშვნელობიდან გამომდინარე, ამ კომპანიების 2021 წლის ჯამური მთლიანი აქტივები ფისკალური რისკების ანალიზში განხილულ სახელმწიფო საწარმოთა ჯამური მთლიანი აქტივების 65%-ს შეადგენს.

სენსიტიურობის ანალიზის მიზნები

სენსიტიურობის ანალიზის მიზანია შეაფასოს საქართველოს მთავრობის წინაშე მდგარი ფისკალური რისკების ფინანსური შედეგები „ზედა დონეზე“ შემდგომი ხუთი წლისთვის, რომლებიც მომდინარეობს რამდენიმე მსხვილი სახელმწიფო საწარმოდან. ძირითადი ამოცანა, რომელსაც ანალიზი პასუხს სცემს არის: რა ფინანსური გავლენა ექნება მწვავე ეკონომიკურ შოკებს სახელმწიფო საწარმოებზე და მათ მფლობელზე - სახელმწიფოზე. მოდელირებული სცენარები მოიცავს მშპ-ს ზრდის, გაცვლითი კურსისა და საპროცენტო განაკვეთების შოკებს.

ანალიზი განხორციელებულია ზედა-დონეზე და რისკების რაოდენობრივი გამოსახულების დანიშნულებათა იყოს მიმანიშნებელი და არა ზუსტი, რადგან ანალიზი დაფუძნებულია ფინანსური მაჩვენებლების და გარე ფაქტორების პროგნოზებზე, ასევე ამ გარე ფაქტორების ფინანსურ მაჩვენებლებზე გავლენის დაშვებებზე და გარდაუვლად არსებობს განუსაზღვრელობა პროგნოზებთან და დაშვებებთან დაკავშირებით.

მოდელი მოიცავს სამწლიან ისტორიულ (2019-2021) და ხუთწლიან პრო-ფორმა (2022-2026) ფინანსურ პროგნოზებს. ფინანსური უწყისები მოიცავს საანგარიშო პერიოდისთვის ზედა დონის მოგება-ზარალის, ბალანსისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებებიდან დაანგარიშებულია ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები.

ეკონომიკური სცენარები

მოდელი განიხილავს საქართველოს მაკროეკონომიკური პერსპექტივის 5 სცენარს.

- სცენარი 1 - საბაზისო სცენარი, ეყრდნობა თითოეული საწარმოს ფინანსურ პროგნოზებს მიმდინარე და მომდევნო წლებისთვის (2022-2026);
- სცენარი 2 - უშვებს მშპ-ს მწვავე შოკს, რაც შეადგენს 2023 და 2024 წლებისთვის მშპ-ს ზრდას მხოლოდ 0,7%-ით და 0,9%-ით შესაბამისად (საბაზისო სცენართან შედარებით, რომელიც 2023 წლისთვის ითვალისწინებს 5%-იან, 2024 წლისთვის 5.2%-იან ზრდას), სხვა დაშვებების უცვლელად დატოვების პირობებში;
- სცენარი 3 - უშვებს გაცვლითი კურსის მწვავე შოკს ლარის დაახლოებით 30%-ით გაუფასურებით 2023 წლისთვის და შემდგომ წლებში აღნიშნული მაჩვენებლის შენარჩუნებით, სხვა დაშვებების უცვლელად დატოვების პირობებში;
- სცენარი 4 - უშვებს საპროცენტო განაკვეთის შოკს, 2023-2026 წლებში 0.5 სტანდარტული გადახრით, სხვა დაშვებების უცვლელად დატოვების პირობებში;
- სცენარი 5 - უშვებს სამივე მაკროეკონომიკური ცვლადის შოკს ერთდროულად (მშპ, გაცვლითი კურსი, საპროცენტო განაკვეთი), შოკების მაგნიტუდისა და ხანგრძლივობის 2-4 სცენარებში აღწერილის შესაბამისად;

სცენარებში დაშვებები ეყრდნობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ამ ანალიზის მიზნებისთვის მომზადებულ სცენარებს

აუცილებელია ხაზი გაესვას, რომ 2-5 სცენარებში მოცემული დაშვებები არ წარმოადგენს სამინისტროს ხედვას საქართველოს ეკონომიკის განვითარების პროგნოზების შესახებ მომავალ წლებში, ნაცვლად ამისა, სცენარები იძლევა საშუალებას (საქართველოს უახლეს წარსულზე დაყრდნობით), გამოისახოს ის შედეგები რაც შეიძლება დადგეს მწვავე შოკების ეკონომიკაზე ზეგავლენის შედეგად. სცენარების მიზანია გაზომოს აღნიშნული მწვავე შოკების რეალიზების შემთხვევაში გავლენა სახელმწიფო საწარმოებზე და მათ ფაქტიურ მფლობელზე - სახელმწიფოზე.

მომზადებული საბაზისო სცენარის ეკონომიკური დაშვებების რიცხოვრივი მაჩვენებლები პროგნოზების გათვალისწინებით მოცემულია ცხრილში 1.

ცხრილი 1. საბაზისო სცენარის დაშვებები: 5 წლის პროგნოზები

საბაზისო სცენარის დაშვებები	2022	2023	2024	2025	2026
მშპ-ს რეალური ზრდა	8.5%	5.0%	5.2%	5.2%	5.0%
გაცვლითი კურსი ლარი/დოლარი	2.8	2.8	2.8	2.8	2.8
საპროცენტო განაკვეთები					
საპროცენტო განაკვეთი ლარში აღებულ სესხებზე	9.3%	9.7%	8.3%	8.3%	8.3%
საპროცენტო განაკვეთი უცხოურ ვალუტაში აღებულ სესხებზე	1.0%	2.2%	2.1%	2.0%	1.8%

საბაზისო სცენარში საქართველოს ეკონომიკის ზრდის პროგნოზი მცირდება 2023 წლისთვის და შემდეგი წლისთვის მცირედით ზრდის ტენდენციით ხასიათდება, გაცვლითი კურსი უცვლელია და საპროცენტო განაკვეთები ვარირებს და მეტ-ნაკლებად სტაბილურად რჩება ერთ დონეზე.

ეკონომიკური დაშვებები სტრეს სცენარებისთვის (სცენარები 2-5) მოცემულია ქვემოთ,

ცხრილში 2:

ცხრილი 2. ალტერნატიული სცენარების მაკროეკონომიკური დაშვებები

DSA დაშვებები	2022	2023	2024	2025	2026
სცენარი 2: მშპ-ს რეალური ზრდის შოკი	8.5%	0.7%	0.9%	5.2%	5.0%
სცენარი 3: გაცვლის კურსი ლარი/დოლარი შოკი	2.8	4.07	4.07	4.07	4.07
სცენარი 4: საპროცენტო განაკვეთების შოკი					
საპროცენტო განაკვეთები ლარში აღებულ სესხებზე	9.3%	10.5%	9.1%	9.1%	9.1%
საპროცენტო განაკვეთები უცხოურ ვალუტაში აღებულ სესხებზე	1.0%	3.0%	2.9%	2.8%	2.6%
სცენარი 5: კომბინირებული შოკი - მშპ-ს, გაცვლითი კურსის, საპროცენტო განაკვეთების					

ფინანსური რისკების ანალიზი ეყრდნობა საშუალო-ვადიან (5 წლიან) პროგნოზების პერიოდს და იყენებს წლიურ მონაცემებს. მოცემული ანალიზის დანიშნულება არ არის გამოავლინოს ყველა ფინანსური რისკი, რომლის წინაშეც დგანან ანალიზში გამოყენებული საწარმოები. მაგალითად, ანალიზი არ მოიცავს ქვემოთ მოცემულ რისკებს, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ან ყველა საწარმო შეიძლება იდგეს ამ რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკები, რომლებიც წარმოიშობა საწარმოს მომხმარებლების მიერ მომსახურების საფასურის გადაუხდელობით, ან გვიანი გადახდებით;
- სექტორისთვის დამახასიათებელი რისკები, როგორცაა ბუნებრივი აირისა და ელექტროენერჯის სამომხმარებლო ფასების და მოცულობების ცვლილების ზემოქმედება ენგურჰესისთვის, ნავთობისა და გაზის კორპორაციისთვის და საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისთვის;
- ბაზრის წილის რისკები, როგორცაა კონკურენტების მხრიდან ბაზრის წილის გაზრდა, მაგალითად, ტრანსპორტირების ალტერნატიული ფორმების გაჩენამ შესაძლოა შეამციროს საქართველოს რკინიგზისა და მარაბდა-კარწახის ტვირთის ბრუნვის მოცულობები;
- მშენებლობასა და პროექტების მენეჯმენტთან დაკავშირებული რისკები, რომელიც შესაძლოა იყოს ძირითადი ფინანსური რისკი ისეთი სახელმწიფო საწარმოებისათვის, როგორცაა საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია და მარაბდა-კარწახის რკინიგზა.

როგორც ნებისმიერი მოდელი, ეს მოდელიც არის იმდენად ზუსტი, რამდენადაც მოდელში გამოყენებული ძირითადი საპროგნოზო მონაცემები და დაშვებები. საწარმოების მიერ მოწოდებული ინფორმაციის აუდიტი არ განხორციელებულა.

ანალიზის შედეგები

საბაზისო სცენარის პროგნოზები

სცენარების ანალიზის შედეგების წარდგენამდე, ქვემოთ მოცემულ ცხრილში 3 მოცემულია საბაზისო სცენარის ნაერთი ფინანსური მაჩვენებლები ექვსივე საწარმოსთვის. როგორც ცხრილი მიუთითებს:

- 2022 წლის გადასახადების შემდეგ წმინდა მოგების საპროგნოზო მოცულობა შეადგენს 700 მილიონ ლარს. საპროგნოზო წმინდა მოგება მნიშვნელოვნად მცირდება 2023 წლისთვის, ხოლო შემდგომ წლებში უმთავრესად ზრდის ტენდენციით ხასიათდება;
- მოსალოდნელი კაპიტალის უკუგება (ROE) 2022 წლისთვის შეადგენს 40%-ს. რაც შეეხება აქტივების უკუგებას (ROA), აღნიშნული მაჩვენებელი ვარირებს 3%-დან 5%-მდე 2023-2026 წლებში.
- ვალდებულებების აქტივების ჯამურ მოცულობაზე შეფარდების კოეფიციენტი სახელმწიფო საწარმოების მოცემული ჯგუფისთვის, მაღალია და შეადგენს 82%-ს 2022 წლისთვის, რაც შეეხება ამ მონაცემის ჩაშლას, შესამჩნევი ვარიაციაა საწარმოებს შორის, მაგალითად ნავთობისა და გაზის კორპორაციისთვის შეადგენს დაახლოებით 40%-ს, ენგურჰესისთვის 65%-ს, საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისთვის 74%-ს, ხოლო მარაბდა-კარწახის რკინიგზისთვის აღნიშნული მაჩვენებელი 100%-ზე მაღალია. როგორც წესი, ვალის აქტივებთან თანაფარდობის კოეფიციენტის მაღალი მაჩვენებლის მქონე საწარმოებს მწირი შესაძლებლობები აქვთ გაუმკლავდნენ მწვავე ეკონომიკურ შოკებს.

ცხრილი 3. ძირითადი ფინანსური ინდიკატორები – საბაზისო სცენარი

საბაზისო სცენარი	2022	2023	2024	2025	2026
წმინდა მოგება გადასახადების შემდეგ (მლნ ლარი)	700	-33	198	253	229
წმინდა ღირებულება (მლნ ლარი)	1 771	2 004	2 517	3 140	3 595
ამონაგები კაპიტალზე (ROE) (%)	40%	-2%	8%	8%	6%
ამონაგები აქტივებზე (ROA) (%)	3%	3%	5%	5%	5%
ვალის ჯამურ აქტივებზე შეფარდება (D/(D+E)) (%)	82%	76%	73%	69%	67%
პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი	0,7	0,9	1,8	2,0	1,9
მიმდინარე კოეფიციენტი (CR)	1,7	1,1	1,3	1,7	2,1
სწრაფი კოეფიციენტი (QR)	1,6	1,0	1,2	1,6	2,0

მოცემული ექვსი საწარმოს საბაზისო სცენარის ფინანსურ პროგნოზებზე სხვადასხვა ეკონომიკური შოკების გავლენა აღწერილია ქვემოთ. მოცემულ მსჯელობაში აქცენტი კეთდება ეკონომიკური შოკების სახელმწიფო საწარმოების 3 ძირითად ფინანსურ მაჩვენებელზე/კოეფიციენტზე გავლენაზე:

- გადასახადების შემდეგ წმინდა მოგების ნაერთი მაჩვენებელი;
- სახელმწიფო საწარმოების ნაერთი წმინდა ღირებულება; და
- საწარმოთა მოცემული ჯგუფის ვალის ჯამურ აქტივებთან თანაფარდობის კოეფიციენტი.


დაბალი ზრდის სცენარი

დაბალი ეკონომიკური ზრდა ითვალისწინებს მშპ-ს ზრდას 0.7% 2023 წელს, 0.9% 2024 წლისთვის, ხოლო 2025-2026 წლებისთვის შეადგენს 5.2%-სა და 5.0%-ს, საბაზისო სცენარის სხვა დაშვებები რჩება უცვლელი.

დაბალი ეკონომიკის ზრდის გავლენები ზემოთ აღწერილ საწარმოთა ნაერთ 3 ძირითად ფინანსურ მაჩვენებელზე მოცემულია ქვემოთ გრაფიკი 1-3-ში. გავლენა არსებითია, თუმცა, არა იმდენად დიდი, როგორც გაცვლითი კურსის შოკის გავლენა, რომელიც აღწერილია შემდეგ სცენარში.

გრაფიკი 1. საწარმოთა წმინდა მოგების კლება დაბალი ეკონომიკური ზრდის სცენარისთვის

მოცემულ სცენარში ზრდა ამცირებს საწარმოთა დაგეგმილ წმინდა მოგებას გადასახადების შემდეგ დაახლოებით 43 და 48 მილიონი ლარის ოდენობით 2023 და 2024 წლებისთვის.



გრაფიკი 2. სახელმწიფო საწარმოთა წმინდა ღირებულების შემცირება დაბალი ეკონომიკური ზრდის სცენარის პირობებში

დაბალი ეკონომიკური ზრდის

პირობებში სახელმწიფო

საწარმოთა წმინდა

ღირებულება საბაზისო

სცენართან შედარებით 2023

წლისთვის მცირდება

დაახლოებით 43 მილიონი

ლარით.


წმინდა ღირებულებით

გამოწვეული დანაკარგი

იზრდება 2024 წელს და

ნარჩუნდება მომდევნო

წლებში.



გრაფიკი 3. სახელმწიფო საწარმოთა ვალის ჯამურ აქტივებთან თანაფარდობა დაბალი ეკონომიკური ზრდის პირობებში

დაბალი ეკონომიკური

ზრდის პირობებში ვალის


ჯამურ აქტივებთან

თანაფარდობის

კოეფიციენტი მცირედით

იზრდება მომდევნო წლებში

კლების ტენდენციით.



გაცვლითი კურსის შოკის სცენარი


გაცვლითი კურსის შოკის სცენარში ლარის გაუფასურება 2023 წლისთვის შეადგენს დაახლოებით 30%-ს და შემდგომ წლებში შენარჩუნებულია 2023 წლის მაჩვენებელი.

გაცვლითი კურსის შოკის გავლენა საწარმოთა ფინანსურ შედეგებზე და პოზიციებზე ძალიან მნიშვნელოვანია, აღნიშნული ასახულია ქვემოთ მოცემულ 4-6 გრაფიკებში. ვინაიდან საწარმოებს 7,745 მილიონ ლარამდე ვალი აქვთ და მათი უდიდესი წილი დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში (ძირითადად დოლარსა და ევროში), გაცვლითი კურსის შოკის ნეგატიური ეფექტი ძალიან დიდია. როდესაც ლარი უფასურდება, სესხების მომსახურების ხარჯებიც პროპორციულად იზრდება.

ვინაიდან, რამდენიმე საწარმო შემოსავალს იღებს უცხოურ ვალუტაში (მაგ. ნავთობისა და გაზის კორპორაცია), გაცვლითი კურსის გაუფასურების ნეგატიური ეფექტი გარკვეულწილად შერბილებულია.

გრაფიკი 4. საწარმოთა წმინდა მოგების შემცირება გაცვლითი სავალუტო კურსის შოკის პირობებში


გაცვლითი კურსის შოკს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს საწარმოთა წმინდა მოგებაზე გადასახადების შემდეგ. აღნიშნული შოკის პირობებში მოსალოდნელია, რომ წმინდა მოგება გადასახადების შემდეგ შემცირდება თითქმის 3 199 მილიონ ლარამდე. ასეთი მოცულობის ეფექტი გამოწვეულია სახელმწიფო საწარმოების სესხების უცხოურ ვალუტაში დენომინირებით. სახელმწიფო საწარმოების გადასახადების შემდეგ წმინდა მოგების შემცირებული მოცულობა შეადგენს მშპ-ს დაახლოებით 5%-ს.



გრაფიკი 5. საწარმოთა წმინდა ღირებულების შემცირება გაცვლითი კურსის შოკის პირობებში

გაცვლითი კურსის შოკი იწვევს საწარმოთა წმინდა ღირებულების შემცირებას იმავე მოცულობით, რითაც გადასახადების შემდეგ წმინდა მოგების და შეადგენს დაახლოებით 3 199 მილიონ ლარს.


წმინდა ღირებულების შემცირების უდიდესი ნაწილი მუდმივია. წმინდა ღირებულების მაჩვენებლის ნაწილობრივი გაუმჯობესება მოსალოდნელია.



გრაფიკი 6. სახელმწიფო საწარმოთა ვალის ჯამურ აქტივებთან თანაფარდობის ზრდა გაცვლითი კურსის შოკის პირობებში

სახელმწიფო საწარმოთა ვალის ჯამურ აქტივებთან თანაფარდობის კოეფიციენტი გაცვლითი კურსის შოკის რეალიზების პირობებში იზრდება 38%-ზე მეტად.

საბაზისო სცენარში, ვალის ჯამურ აქტივებთან თანაფარდობის კოეფიციენტის მაჩვენებელი სახელმწიფო საწარმოთათვის შეადგენს



82%-ს 2022 წლისთვის.
 გაცვლითი კურსის შოკი
 იწვევს ამ მაჩვენებლის
 ზრდას 100%-ზე მეტად, რაც
 მიანიშნებს რომ
 სახელმწიფო საწარმოების
 ვალი აჭარბებს მათი
 აქტივების მოცულობას.


საპროცენტო განაკვეთის შოკის სცენარი

საპროცენტო განაკვეთის სცენარი უშვებს საპროცენტო განაკვეთის შოკს, 2023-2026 წლებში 0.5 სტანდარტული გადახრით, სხვა დაშვებების უცვლელად დატოვების პირობებში.

საპროცენტო განაკვეთის შოკის გავლენა სახელმწიფო საწარმოთა ფინანსურ მაჩვენებლებზე ასახულია ქვემოთ მოცემულ 7-9 გრაფიკებში. უარყოფითი შედეგი ცხადია, თუმცა, არაარსებითია გაცვლითი კურსის შოკით გამოწვეულ შედეგებთან შედარებით. ვინაიდან საწარმოთა უმეტეს ნაწილს სესხების პორტფელის უდიდესი წილი აქვთ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით, საპროცენტო განაკვეთის ზრდის ნეგატიური ეფექტი გარკვეულწილად შერბილებულია და შესაბამისად საწარმოები დაცულები არიან საპროცენტო განაკვეთების ზრდის რისკისგან.


გრაფიკი 7. საწარმოთა გადასახადების შემდეგ წმინდა მოგების კლება საპროცენტო განაკვეთის შოკის გამო

საპროცენტო განაკვეთის ზრდა ამცირებს საწარმოთა დაგეგმილ წმინდა მოგებას გადასახადების შემდეგ დაახლოებით 10-14 მილიონი ლარის ფარგლებში.




გრაფიკი 8. საწარმოთა წმინდა ღირებულების შემცირება საპროცენტო განაკვეთის შოკის გამო

საპროცენტო განაკვეთის შოკის რეალიზების გამო საწარმოთა ჯამური წმინდა ღირებულება მცირდება დაახლოებით 14-36 მილიონი ლარის ფარგლებში. შოკის შედეგად გამოწვეული დანაკარგი წმინდა ღირებულებაში მუდმივია.



გრაფიკი 9. საწარმოთა ვალის ჯამურ აქტივებთან თანაფარდობის ზრდა საპროცენტო განაკვეთის შოკის სცენარის გათვალისწინებით

საპროცენტო განაკვეთის შოკი იწვევს საწარმოთა ვალის ჯამურ აქტივებთან თანაფარდობის კოეფიციენტის უმნიშვნელო ზრდას 2023 წელს.




კომბინირებული შოკის სცენარი

კომბინირებული შოკის პირობებში, სამივე მაკროეკონომიკური მაჩვენებელი (მშპ, გაცვლითი კურსი, საპროცენტო განაკვეთები) ერთდროულად განიცდის შოკს, თითოეული შოკის დიაპაზონი და ხანგრძლივობა იგივეა, რაც აღწერილია წინა სცენარებში.

კომბინირებული შოკების გავლენა სახელმწიფო საწარმოების ფინანსურ მახასიათებლებზე და პოზიციებზე ძალიან მნიშვნელოვანია, უმეტესწილად, როგორც უკვე აღვწერეთ, გაცვლითი კურსის ცვლილების გამო. შედეგები ასახულია ქვემოთ მოცემულ 10-12 გრაფიკებში.


გრაფიკი 10. გადასახადების შემდეგ წმინდა მოგების კლება კომბინირებული შოკების სცენარისთვის

დაბალი ეკონომიკური ზრდის, ვალუტის გაუფასურების და საპროცენტო განაკვეთის კომბინაციას მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ საწარმოთა წმინდა მოგებაზე. კომბინირებული შოკის პირობებში დაგეგმილი წმინდა მოგება გადასახადების შემდეგ მცირდება დაახლოებით 3 261 მილიონი ლარით. აღნიშნული კლება შეადგენს მშპ-ს დაახლოებით 5%-ს.




გრაფიკი 11. საწარმოთა წმინდა ღირებულებების შემცირება კომბინირებული შოკის სცენარისთვის

კომბინირებული შოკის
 სცენარის პირობებში
 საწარმოთა ჯამური წმინდა
 ღირებულება მცირდება
 იგივე მოცულობით, რითაც
 გადასახადების შემდეგ
 წმინდა მოგების
 მაჩვენებელი, დაახლოებით
 3 261 მილიონი ლარით.
 წმინდა ღირებულების
 დანაკარგის გაჯანსაღება
 შემდგომ პერიოდში
 მოსალოდნელი არ არის.



გრაფიკი 12. საწარმოთა ვალის ჯამურ აქტივებთან თანაფარდობის ზრდა კომბინირებული შოკის სცენარისთვის

კომბინირებული შოკის სცენარის
 პირობებში საწარმოთა ვალის ჯამურ
 აქტივებთან თანაფარდობის
 მაჩვენებელი იზრდება დაახლოებით
 40%-მდე.
 საბაზისო სცენარში, საწარმოთა
 ვალის ჯამურ აქტივებთან
 თანაფარდობის კოეფიციენტი
 შეადგენს 82%-ს 2022 წლისთვის.
 კომბინირებული ეკონომიკური შოკი
 იწვევს ამ მაჩვენებლის ზრდას 100%-
 ზე მეტად.



დასკვნები

მიუხედავად იმისა, რომ საწარმოები გეგმავენ მაჩვენებლების გაუმჯობესებას შემდგომი 5 წლისთვის, მათი ვალების ჯამურ აქტივებთან თანაფარდობის (საშუალოდ 73%) მაღალი მაჩვენებელი მიუთითებს, რომ მათზე არსებით ზემოქმედებას ახდენენ ეკონომიკური შოკები. მათი ჯამური ვალის - 7,745 მლნ ლარის უმეტესი წილი დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, რაც ნიშნავს, რომ საწარმოები და მათი მფლობელი (სახელმწიფო) ვალუტის გაუფასურების შოკის მიმართ ძალიან მოწყვლადები არიან.

წარმოდგენილი ანალიზი ხაზს უსვამს, რომ სავალუტო კურსის რისკი ამ მომენტისთვის არის უმნიშვნელოვანესი მაკროეკონომიკური რისკი, რომლის წინაშეც მოცემულ საწარმოთა ჯგუფი დგას. განხილული ექვსივე საწარმო მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული გაცვლითი კურსის ცვლილებაზე. მოცემული ანალიზი მიუთითებს, რომ გაცვლითი კურსის შოკის გავლენა ძალიან დიდია საწარმოთა ჯამურ მაჩვენებლებზე: გადასახადების შემდეგ წმინდა მოგების შემცირება და წმინდა ღირებულების შემცირება შეადგენს დაახლოებით 3,199 მლნ ლარს, ხოლო კომპანიების ვალის ჯამურ აქტივებთან თანაფარდობის კოეფიციენტი იზრდება 38%-ზე მეტად. გადასახადების შემდეგ წმინდა მოგების უარყოფითი ცვლილება შეადგენს საქართველოს მშპ-ს დაახლოებით 5%-ს.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს, რომ გაცვლითი კურსის შოკის რეალიზაციის შემთხვევაში გარდა დაგეგმილი საბიუჯეტო შენატანებისა, სახელმწიფოს მოუწევს დაახლოებით 3,199 მლნ ლარის შენატანების განხორციელება აღნიშნულ საწარმოებში, რაც დამატებითი ფინანსურ ტვირთად დააწვება სახელმწიფოს.

ანალიზი მიუთითებს, რომ სახელმწიფო საწარმოები გაცვლითი კურსის გაუფასურებისგან განსხვავებით გაცილებით ნაკლებად რეაგირებენ ეკონომიკურ დადმასვლებზე და გაზრდილ საპროცენტო განაკვეთებზე. ასევე, მოსალოდნელია, რომ ეკონომიკური დადმასვლა, საპროცენტო განაკვეთის ზრდა კორელირებული და კომბინირებული იქნება ვალუტის გაცვლითი კურსის გაუფასურებასთან, რაც საბოლოოდ გამოიწვევს დიდ ნეგატიურ ეფექტებს, როგორც აღწერილია მოცემულ ანალიზში.

სახელმწიფო საწარმოთა სახელფასო პრაქტიკები

- სახელმწიფო საწარმოებისთვის, სხვა საჯარო დაწესებულებებისგან განსხვავებით, არ არსებობს შრომის ანაზღაურების შესახებ ერთიანი ჩარჩო. სახელმწიფო საწარმოთა რეფორმამ უნდა უზრუნველყოს საკითხის დარეგულირება. ამ ნაწილში რეფორმის ამოცანას არ წარმოადგენს სახელფასო ფონდის შემცირება, რაციონალური იქნება მიზნობრივ მაჩვენებლად კერძო სექტორის ცალკეული მონათესავე საწარმოების სახელფასო დონეებთან დაახლოება, პარალელურ რეჟიმში კი აუცილებელია სახელმწიფო საწარმოებში ანაზღაურების ცენტრალიზებული მკაფიო ჩარჩოს შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს ეფექტიანობას, ანგარიშვალდებულებას, და მაქსიმალურ გამჭვირვალობას.
- სახელმწიფო საწარმოებში ჭარბი დასაქმება რჩება ისტორიულ არაეფექტიანობად, აღნიშნული მეტად გამოკვეთილია ისეთ ქვეყნებში, სადაც არ განხორციელებულია სახელმწიფო საწარმოთა კორპორატიზაცია, კორპორატიზაციის შემთხვევაშიც კი კერძო სექტორი ინარჩუნებს უფრო მეტ ეფექტიანობას. ამასთან, ჭარბი დასაქმება ყველა შემთხვევაში არ გულისხმობს ასეთივე პროპორციით ჭარბ სახელფასო ხარჯებს.


- სახელმწიფო საწარმოთა სექტორში 2020 წლის დეკემბრის თვის მდგომარეობით დასაქმებული იყო 57460-მდე ადამიანი, ხოლო 2021 წლის ბოლოსთვის - 59300-მდე;
- სექტორში 2020 წლის დარიცხულმა წლიურმა ხელფასმა შეადგინა 800 მლნ ლარი, ხოლო 2021 წლის ამავე მაჩვენებელმა - 907 მლნ ლარი.
- ჯამური დასაქმების 60%-მდე მოდის TOP-10 საწარმოზე;

ცხრილი 1

TOP - 10 დამსაქმებელი (დასაქმებულთა რიცხოვნობა, დეკემბრის ბოლო)	2020	2021
სს საქართველოს რკინიგზა	12273	12119
შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია	6426	6496
შპს თბილსერვის ჯგუფი	4990	5062
შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია	2880	2859
შპს საქართველოს ფოსტა	2384	2126
შპს საქართველოს მელიორაცია	1543	1453
სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა	1455	1573
შპს სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა	1221	1218
შპს რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი	1046	1137
შპს ენგურჰესი	1016	1037
სულ	35234	35080
წილი სექტორის ჯამურ დასაქმებაში	61%	59%

- სახელმწიფო საწარმოებში არსებული საშუალო ხელფასი არსებითად არ განსხვავდება ქვეყანაში არსებული საშუალო ხელფასისგან.

დიაგრამა 1



- სახელმწიფო საწარმოებში დასაქმებულთა დაახლოებით 65% მამაკაცია. გამონაკლისია ჯანდაცვის სექტორის სახელმწიფო საწარმოები, სადაც დასაქმებულთა 75%-მდე მოდის ქალებზე;
- გაცემული ანაზღაურების დაახლოებით 70%-ზე მეტი მოდის მამაკაცებზე;
- აღმასრულებელ პოზიციებზე მომუშავე პირების დაახლოებით 80% მამაკაცია;

- სახელმწიფო საწარმოებში დასაქმებული ქალების საშუალო ხელფასი დაახლოებით 300 ლარით ნაკლებია დასაქმებული კაცების ხელფასზე.

სასამართლო დავებიდან მომდინარე ფისკალური რისკები

სახელმწიფოს წინააღმდეგ წარმოებული სასამართლო დავები ფისკალური რისკების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, სპეციალიზებული დეპარტამენტის მეშვეობით, წამყვან როლს ასრულებს საერთაშორისო არბიტრაჟებში საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმდინარე საერთაშორისო საარბიტრაჟო დავების გადაწყვეტაში. ამასთან, ადგილობრივ სასამართლოში იუსტიციის სამინისტრო შეიძლება წარმოადგენდეს ერთ-ერთ მოპასუხე მხარეს სხვა სამინისტროებსა თუ სააგენტოებთან დაკავშირებულ სასამართლო დავებში. თუმცა, მაშინაც კი, როდესაც ერთი დავის ფარგლებში რამდენიმე სახელმწიფო უწყებაა მოპასუხე მხარე, თითოეულ მათგანს აკისრია პასუხისმგებლობა საკუთარი პოზიციის სამართლებრივ დაცვაზე. საქართველოში სახელმწიფოს წინააღმდეგ წარმოებული სასამართლო დავები, ზომის მიხედვით, ძირითადად, წარმოიქმნება ინფრასტრუქტურისა და ენერჯეტიკის სექტორებში და ძირითადად უკავშირდება წარუმატებელ და შეწყვეტილ მასშტაბურ პროექტებსა და კონტრაქტებს (მაგალითად, ანაკლის ღრმაწყლოვანი პორტის წარუმატებელი პროექტი, რომლის აქციონერებმაც საჯაროდ განაცხადეს სახელმწიფოსგან კომპენსაციის მოთხოვნის განზრახვის თაობაზე), ხშირად დავის საგანს წარმოადგენს საჯარო საინვესტიციო პროექტებისთვის, ძირითადად, გზების პროექტებისთვის ექსპროპრირებული მიწები. ასევე, დავები უკავშირდება სხვადასხვა სექტორის კომპანიების უცხოელი ინვესტორების სარჩელს მათი უფლებების არასათანადოდ დაცვის შესახებ, აგრეთვე, აღსანიშნავია უცხოელი თუ ადგილობრივი ინვესტორების დავები, რომლებიც დაკავშირებულია ლიცენზიებსა და ნებართვებზე უარის თქმასთან ან იმ პროექტების გაუქმებასთან, რომლებსაც უკვე ჰქონდათ მოპოვებული ნებართვები და ლიცენზიები.

გარდა მასშტაბური დავებისა, საკმაოდ დიდია იმ სასამართლო დავების რაოდენობა, სადაც შედარებით მცირეა დავის თანხის ოდენობა. ასეთია, ძირითადად, საჯარო უწყებებიდან გათავისუფლებული თანამშრომლების შრომითი დავები.

ფისკალური რისკების შეფასების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო იუსტიციის სამინისტროსთან თანამშრომლობით მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე განიხილავს აღნიშნულ სასამართლო დავებს. პირველ რიგში, იმ სასამართლო დავებს, სადაც დავის თანხის ოდენობა აღემატება 5 მილიონ ლარს.

მოსალოდნელია, რომ უმეტეს შემთხვევაში სასამართლო დავა სრულდება სახელმწიფოს გამარჯვებით, პირველი ინსტანციის სასამართლოში, ან სააპელაციო ან საკასაციო დონეზე, ანდა სახელმწიფოს უწევს მოთხოვნილზე მნიშვნელოვნად ნაკლები თანხის გადახდა. რიგ შემთხვევაში მოთხოვნილი თანხები, ან სასარჩელო მოთხოვნის გარკვეული ნაწილი, როგორც უმნიშვნელო და დაუსაბუთებელი, განუხილველი რჩება სასამართლოების მიერ.

მომავალში შესაძლოა სტატისტიკურად გაანალიზდეს აღნიშნული შემთხვევები, რასაც დასჭირდება სოლიდური მონაცემთა ბაზის შექმნა დავების შესახებ საკმარის ინფორმაციასთან ერთად. როგორც საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, ამ მიზნის მიღწევა უფრო მარტივია თანხობრივად დიდი

ოდენობის მცირე რაოდენობის საქმეების ანალიზის დაწყებით. მასშტაბურ საქმეებთან დაკავშირებული საერთო მახასიათებლების და ტენდენციების პროგნოზირება რთულია, ზოგჯერ ასეთი დავები წყდება სასამართლოს გარეშე მორიგების გზით.

საერთაშორისო საარბიტრაჟო დავების გამოკლებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მოახდინა 17 მსხვილი სასამართლო დავის იდენტიფიკაცია, რომელთა დიდი ნაწილის დავის თანხა გამოსახულია უცხოურ ვალუტაში (ანალიზის მიზნებისთვის გამოყენებულია გაცვლითი კურსი: 1USD = 2.8GEL). მოთხოვნილი თანხის მთლიანი ოდენობა შეადგენს დაახლოებით 487.5 მილიონ ლარს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ასევე მოახდინა 26 სასამართლო დავის იდენტიფიკაცია, სადაც დავის თანხის ოდენობა მერყეობს 1-5 მლნ ლარს შორის (თანხის მთლიანი ოდენობა 70 მილიონ ლარამდეა), ასევე, გამოავლინა 11 დავა, სადაც სადავო თანხის ოდენობა 0.5 მილიონი ლარიდან 1 მილიონ ლარამდეა (თანხის მთლიანი ოდენობა 8 მილიონ ლარამდეა). დავები, უმეტეს შემთხვევაში, დაკავშირებულია სადავო ექსპორტპოლიტიკასთან, სამედიცინო და ფარმაცევტულ ინდუსტრიაში სადავო მარეგულირებელ ქმედებებთან და შესყიდვის ხელშეკრულებების აღსრულებასთან.

ადგილობრივ სასამართლოში მიმდინარე, ამ ეტაპზე იდენტიფიცირებული აღნიშნული დავების (მოსამიებელია ზოგიერთი უწყების, ასევე, მცირე მასშტაბის დავები) სადავო თანხის ოდენობა შეადგენს დაახლოებით 565.5 მილიონ ლარს, რაც 2021 წლის მშპ-ს (60.23 მლრდ ლარი) 1%-ზე მცირედით ნაკლებია.

რაც შეეხება საერთაშორისო არბიტრაჟს, საყურადღებოა, რომ დავების ფარგლებში, განსაკუთრებით იმ დავების, რომლებიც მასშტაბურია დავის თანხის თვალსაზრისით და უკავშირდებიან მსხვილ პროექტებს, გათვალისწინებულია კონფიდენციალურობის ვალდებულებები მხარეებისთვის სპეციალიზებული სასამართლოების მიერ, როგორებიცაა - საინვესტიციო დავების განმხილველი საერთაშორისო ცენტრი (ICSID) ან საერთაშორისო სავაჭრო პალატის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლო (ICC). ამასთან, ძალიან ხშირად შეთანხმება მიიღწევა ისეთ თანხაზე, რაც მნიშვნელოვნად ნაკლებია თავდაპირველ მოთხოვნასთან შედარებით. ასევე, სახელმწიფომ შესაძლოა მოამზადოს შემხვედრი სარჩელი და მოიპოვოს გამარჯვება შესაბამისი კომპენსაციით. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2022 წლის 23 სექტემბრის მდგომარეობით საერთაშორისო არბიტრაჟებში 7 მიმდინარე დავის ფარგლებში სადავო თანხის პოტენციური მაქსიმალური ოდენობა შეადგენს დაახლოებით 2.81 მლრდ აშშ დოლარს (7.87 მლრდ ლარს), რაც 2021 წლის მშპ-ს 13%-ს შეადგენს.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად, იმ შემთხვევაშიც თუ ასანაზღაურებელი დავის თანხის მოცულობა არის მოთხოვნილზე ბევრად ნაკლები, მსხვილი და მასშტაბური სასამართლო დავის წაგება წარმოადგენს შემთხვევას, რომელიც არ შეიძლება დარჩეს ყურადღების მიღმა. რაც შეეხება საერთაშორისო არბიტრაჟებში საქართველოს სახელმწიფოს წინააღდეგ წარმოებული დასრულებელი დავების სტატისტიკას (4 დავა), 2 დავა დასრულდა სახელმწიფოს გამარჯვებით, 1 დავა - სახელმწიფოს ნაწილობრივი გამარჯვებით (თითოეულ მხარეს დაეკისრა კომპენსაციის გადახდა), 1 დავა დასრულდა მოსარჩელის გამარჯვებით.

საქართველოს მთავრობა ყოველწლიურად გამოყოფს ასიგნებებს შესაძლო წაგებული საქმეებისთვის. გასულ წლებში წაგებული გადახდილი ფაქტობრივი თანხის ოდენობა იყო არაარსებითი,

სავარაუდოდ, მოსარჩელებისთვის ასანაზღაურებელი თანხების სიმცირის ან/და საანგარიშო წელს დაუსრულებელი დავების გამო, რაც განპირობებული იყო სხვადასხვა ზოგადი გარემოებით, მაგალითად, COVID-19-ის პანდემიამ შეანელა სასამართლოების მუშაობა 2020 წელს.

ცხრილი 1-ში მოცემულია საქართველოს მთავრობის მიერ 2019 წლიდან დავების ფარგლებში გადახდილი თანხები (მლნ. ლარი)⁵

ცხრილი 1

2019	2020	2021	08/2022
3.67	3.45	4.98	5.27

მოსალოდნელია სასამართლო დავებზე ფაქტობრივად გადახდილი თანხების ზრდადი ტენდენციის შენარჩუნება, ეს არ ნიშნავს, რომ სახელმწიფო პროპორციულად უფრო მეტ საქმეს აგებს ვიდრე მანამდე. ასეთი ტენდენცია შეინიშნება სხვა ქვეყნებშიც, სპეციალიზირებული იურიდიული კომპანიების რაოდენობის ზრდისა და ამ დრომდე აკუმულირებული მსხვილი დავების ფონზე.

გრძელვადიანი ფისკალური რისკები

შესავალი

ფისკალური რისკების მართვის პროცესში რისკების შესაძლო რეალიზების დროის პერიოდი (*მოკლევადიანი, გრძელვადიანი*) მნიშვნელოვანი ასპექტია. ფისკალური რისკების მართვის პერსპექტივიდან, გრძელვადიანი ფისკალური რისკები თვისობრივად განსხვავდება მოკლევადიანი (რისკები, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს ერთიდან ორ წლამდე საბიუჯეტო პერიოდში) და საშუალოვადიანი (ორიდან ხუთ წლამდე) მაკრო-ფისკალური რისკებისგან.

გრძელვადიანი ფისკალური რისკები არის ის რისკები, რომლებიც შესაძლოა რეალიზდესათწლეულების განმავლობაში. იმ შემთხვევაში თუ ხსენებული რისკები კრისტალიზდება, გრძელვადიან პერსპექტივაში დასაშვებია რისკებმა ფისკალური ტრაექტორია არამდგრადი გახადონ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ არსებული ფისკალური პარამეტრები მდგრადია და რისკები საფუძვლიანად იმართებოდა, როგორც მოკლე, ასევე საშუალოვადიან პერიოდში.

ფისკალური წესები და სხვა ფისკალური ინსტიტუტები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ გრძელვადიანი ფისკალური რისკების მართვის პროცესში, ისევე როგორც გრძელვადიანი ფისკალური მდგრადობის ანალიზი, მათ შორის რისკების შეფასების ანგარიშების გამოქვეყნება, განსაკუთრებით რეგულარული გრძელვადიანი ფისკალური მდგრადობის ანგარიშების სახით.

ასეთი ანალიზს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პრიორიტეტული მიმართულებებით პოლიტიკის ფორმირებისას გრძელვადიან პერსპექტივაში, ფისკალურ სივრცეზე „გავლენის შეფასების მიზნით. მსგავსი ანალიზი, არა მხოლოდ ხელს უწყობს გრძელვადიანი ფისკალური ზეწოლის იდენტიფიცირებასა და რაოდენობრივ ჭრილში შეფასებას, არამედ ასევე თვალსაჩინოს ხდის,

⁵ ცხრილში წარმოდგენილ მონაცემებში არ არის გათვალისწინებული საერთაშორისო არბიტრაჟში წაგებული საქმისთვის 2021 წელს გადახდილი 11 მლნ აშშ.დოლარი (30.8 მლნ.ლარი). ამ დავის ფარგლებში სახელმწიფოს 2023 წლის თებერვლამდე კიდევ მოუწევს 6.7 მლნ აშშ.დოლარის (18.8 მლნ. ლარის) გადახდა.

გრძელვადიანი ფისკალური რისკების შეფასების პრიორიტეტული მიმართულებების უფრო ღრმა შესწავლის საჭიროებებს. ძალიან ხშირად, რისკების მართვის შესაძლო ვარიანტები რთულ პოლიტიკურ არჩევანს მოითხოვს. სწორედ ამიტომ, გრძელვადიანი ფისკალური რისკების ანალიზის გამოქვეყნება მიზნად ისახავს მათთვის საჯაროობის უზრუნველყოფას, რასაც ხშირად საკმაოდ დიდი დრო სჭირდება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის ფონზე, ეს კონკრეტული თავი მოიცავს ფისკალურ პროგნოზებს ახალი საბაზისო სცენარის მიხედვით, რომლის საშუალებითაც ფასდება გრძელვადიანი ფისკალური რისკები.

ეკონომიკურ ზრდასთან და საპროცენტო განაკვეთებთან დაკავშირებული სავარაუდო დაშვებებით, როდესაც პირველადი ბალანსი სტაბილურია მშპ-ს 1 პროცენტთან მიმართებით, მთავრობის ვალის მშპ-სთან თანაფარდობა ამ საბაზისო სცენარში სტაბილური რჩება.

კლიმატის ცვლილების სცენარები:

ყველაზე ექსტრემალურ შემთხვევა - რომელიც ითვალისწინებს არა მხოლოდ მაღალ ტემპერატურას, განუსაზღვრელი და გამწვავებადი კლიმატის კრიზისის პირობებში, არამედ ასევე ექსტრემალური და არაპროგნოზირებადი ამინდის გავლენებს, ისეთი როგორცაა ძლიერი წყალდიდობები და გვალვები - მთავრობის ვალის მშპ-სთან თანაფარდობამ შესაძლოა 2050-იანი წლებისთვის ფისკალური წესით დაწესებული 60 პროცენტთან ზღვარი დაარღვიოს.

საბაზისო პროგნოზი აერთიანებს ზოგიერთი დემოგრაფიული ეფექტის პროგნოზს, რომლებიც გავლენას ახდენენ მშპ-ს ზრდის მაჩვენებელზე, რომელიც გადადის ბიუჯეტის შემოსავლებში. დამატებით, საქართველოს მოსახლეობის დაბერების მაჩვენებელი გავლენას მოახდენს ხარჯებზე. მოცმული თავის ბოლო სექცია აღწერს სწორედ იმ დემოგრაფიულ ფაქტორებს, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინონ ქვეყნის საჯარო ფინანსებზე. ყოველივე ეს წარმოადგენს 2023 წელს საქართველოს პირველი სრულმასშტაბიანი რეგულარული გრძელვადიანი ფისკალური მდგრადობის ანგარიშის (LTFS-ის) მომზადების წინაპირობას.

გრძელვადიანი საბაზისო სცენარი

გრძელვადიანი ფისკალური მდგრადობის ანალიზი მოითხოვს ფისკალური მაჩვენებლების - შემოსავლების, ხარჯებისა და ვალების - გამომავლარავებას ათწლეულების განმავლობაში სხვადასხვა სცენარის მიხედვით. ნებისმიერი ასეთი ანალიზის პირველი ნაბიჯი არის საბაზისო სცენარის ჩვენება ნომინალური მშპ-სთვის. დროთა განმავლობაში ნომინალური მშპ-ს ზრდა ასახავს ინფლაციას და ასევე რეალური მშპ-ს ზრდას.

საბაზისო სცენარში, ისევე როგორც ამ თავში გამოქვეყნებულ ყველა სცენარში, წლიური ინფლაცია (განისაზღვრება, როგორც მშპ-ის დეფლატორის ზრდა) შეფასებულია, როგორც მუდმივი - 3 პროცენტი. ეს კი შეესაბამება საქართველოს ეროვნული ბანკის შეფასებას, რომლის მიხედვითაც, 3 პროცენტთან ინფლაციის მაჩვენებელი იდეალურია მაკროეკონომიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად.


დროთა განმავლობაში, მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა დამოკიდებულია ეკონომიკაში პოტენციურ დასაქმებულთა რაოდენობაზე და თითოეული დასაქმებულის საშუალო პროდუქტიულობაზე. მაგალითად, 2010 წლიდან 2019 წლამდე ათწლეულში საქართველომ მიაღწია მშპ-ს წლიურ რეალურ ზრდას 4,7 პროცენტით. ამ დროის განმავლობაში დასაქმება წელიწადში 1,2 პროცენტით გაიზარდა, ხოლო შრომის პროდუქტიულობის წლიურმა ზრდამ 3,5 პროცენტი შეადგინა.

უახლოეს პერსპექტივაში, ბიზნესის ციკლების ეტაპებმა შესაძლოა გავლენა მოახდინონ დასაქმების ზრდაზე. მაგალითად, როდესაც საქართველოს ეკონომიკა გაჯანსაღდება პანდემიით გამოწვეული რეცესიიდან, დასაქმების მაჩვენებლის რაოდენობრივი ზრდა შესაძლოა უფრო სწრაფად მზარდი გახდეს, ვიდრე ეს იქნებოდა გრძელვადიან პერსპექტივაში. გრძელვადიან პერიოდში, როგორც კი ეკონომიკა სრული დასაქმების მაჩვენებელს აღწევს, დასაქმების მაჩვენებელი და სამუშაო ასაკის მქონე მოსახლეობის მაჩვენებელი ერთმანეთს უნდა დაემთხვეს.

საბაზისო სცენარის დაშვების მიხედვით საქართველოს ეკონომიკა მიაღწევს სრული დასაქმების მაჩვენებელს 2026 წლისთვის, ხოლო 2027 წლიდან დასაქმების მაჩვენებელი გაიზრდება გაეროს (გაეროს) პროგნოზების შესაბამისად (საშუალო ვარიანტი) 15 დან 64 წლამდე მოსახლეობისთვის. გაეროს პროგნოზით, საქართველოს სამუშაო ასაკის მოსახლეობა მომდევნო ოთხი ათწლეულის განმავლობაში მეხუთედით შემცირდება, საშუალო სცენარის მიხედვით და მესამედით შემცირდება დაბალი ვარიანტის (დიაგრამა Xa) სცენარის მიხედვით. შესაბამისად, მოსალოდნელია, რომ დასაქმების მაჩვენებელმა გრძელვადიან პერსპექტივაში შეამციროს მშპ-ს რეალური ზრდა.

გარდა ამისა, ნებისმიერი სცენარის მიხედვით, მომდევნო ათწლეულების განმავლობაში, დამოკიდებული ასაკის მქონე - ბავშვებისა და მოხუცების რაოდენობის ფარდობა, სამუშაო ასაკის მქონე მოსახლეობის რაოდენობასთან გაიზრდება (დიაგრამა Xb). მაშინ, როცა 2010-იანი წლების დასაწყისში თითოეულ დამოკიდებულ ასაკის მქონე მოქალაქეზე ზრუნავდა ორი სამუშაო ასაკის მოქალაქე, 2060-იანი წლების დასაწყისის პროგნოზის მიხედვით, ყოველი 2, დამოკიდებული ასაკის მქონე პირზე იზრუნებს 3 სამუშაო ასაკის მოქალაქე. მშპ-ს რეალური ზრდის შემცირების გარდა, მოსახლეობის დაბერებას ექნება ფისკალური გავლენაც, რომელიც აისახება ბიუჯეტის ხარჯების ნაწილში. ყოველივე ეს განხილულია მოცემული თავის ბოლო ნაწილში.

დიაგრამა X დემოგრაფიული პროგნოზები საქართველოსთვის 2012-2062




დასაქმების მსგავსად, ბიზნესის ციკლის დონეს ასევე შეუძლია გავლენა მოახდინოს შრომის პროდუქტიულობის მაჩვენებელზე. მაგალითად, საქართველომ შესაძლოა განიცადოს შრომის პროდუქტიულობის ძლიერი ზრდა პოსტ-პანდემიური ეკონომიკური გაჯანსაღების ფონზე. გრძელვადიან პერსპექტივაში, განვითარებადი ეკონომიკის პროდუქტიულობის ზრდა თვალსაჩინოს ხდის მის უნარს დაეწიოს მოწინავე ეკონომიკებს.

გასული მეოთხედი საუკუნის განმავლობაში, საქართველოს შრომის პროდუქტიულობა უტოლდებოდა OECD-ის საშუალო მაჩვენებელს. 1990-იანი წლების შუა პერიოდში, საშუალო ქართველი დასაქმებული დაახლოებით 10 პროცენტით ისევე პროდუქტიული იყო, როგორც OECD-ის ქვეყნების საშუალო დასაქმებული მაცხოვრებელი. ამჟამად, საქართველოს შრომის პროდუქტიულობა OECD-ის საშუალო მაჩვენებლის დაახლოებით 40 პროცენტია. ამის საპირისპიროდ, გასული მეოთხედი საუკუნის განმავლობაში, ბალტიისპირეთის ეკონომიკებში შრომის პროდუქტიულობა გაიზარდა OECD-ის საშუალო 40 პროცენტზე ნაკლებიდან დაახლოებით ამჟამინდელ 80 პროცენტამდე.

ბალტიისპირეთის გამოცდილება შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც ამბიციური და ამავდროულად მიღწევადი მაგალითი საქართველოსთვის. თუ საქართველო გრძელვადიან პერსპექტივაში გაიზარებს ბალტიისპირეთის პროდუქტიულობის მიღწევის გამოცდილებას, 2050-იანი წლების ბოლოს საშუალო ქართველი დასაქმებული პროდუქტიული იქნება დაახლოებით 95 პროცენტით. რა თქმა უნდა, ვინაიდან პროდუქტიულობის დონე მიაღწევს OECD-ის საშუალო დონეს, პროდუქტიულობის ზრდის ტემპი შენელებს OECD-ის სავარაუდო საშუალო წლიურ 1.2 პროცენტამდე, რაც სტაბილურად რჩება წლიურ საშუალო მაჩვენებლად ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში.

ამ საფუძველზე, საბაზისო სცენარი ვარაუდობს, რომ პროდუქტიულობის ზრდა 2026 წლიდან 2050-იანი წლების ბოლომდე, 4.6 პროცენტიდან (იგულისხმება საშუალოვადიანი ფისკალური ჩარჩო) 1.2 პროცენტამდე შემცირდება. დიაგრამა 1 გვიჩვენებს მშპ-ს ნომინალურ ზრდას მომდევნო ოთხი ათწლეულის განმავლობაში საბაზისო სცენარში, დასაქმების, პროდუქტიულობის და ინფლაციის გათვალისწინებით.

დიაგრამა 1: ნომინალური მშპ-ს ზრდა, საბაზისო სცენარი



წყარო: გაერო -Population Projection; მსოფლიო ბანკი - World Development Indicators ; ფინანსთა სამინისტრო.

საბაზისო სცენარის გრძელვადიანი ფისკალური პროგნოზებისთვის, 2026 წლიდან შემოსავლები და პირველადი ხარჯები უცვლელი რჩება ნომინალურ მშპ-სთან მიმართებაში. ანუ, პოლიტიკის პარამეტრები სცენარის მიხედვით რჩება უცვლელი საშუალოვადიანი ფისკალური ჩარჩოს (MTFF) მიმართ. MTFF ითვალისწინებს მთლიანი სალდოს დონის შენარჩუნებას მშპ-ს 1 პროცენტის ოდენობით, გრძელვადიან პერსპექტივაში.

MTFF ვარაუდობს, რომ ფისკალური დეფიციტი ფინანსდება შეწონილი ნომინალური წლიური 4 პროცენტის განაკვეთით. გრძელვადიან პერსპექტივაში, საპროცენტო განაკვეთზე საპირწონე ზეწოლას სავარაუდოდ ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი მოახდენს.


ერთის მხრივ, გრძელვადიან პერიოდში, რეალური საპროცენტო განაკვეთი უნდა აკონტროლებდეს შრომის პროდუქტიულობას. პროდუქტიულობის მაჩვენებლის მიახლოებისას OECD-ს მაჩვენებელთან და მუდმივი ინფლაციის დაშვების გათვალისწინებით, მოსალოდნელია ნომინალური საპროცენტო განაკვეთის შემცირება. მეორეს მხრივ, როდესაც ქვეყანა მიუახლოვდება OECD-ის პროდუქტიულობის დონეს, საქართველოს შეუწყდება შესაძლებლობა, შეღავათიანი სესხების მოზიდვის კუთხით მრავალმხრივი სააგენტოებისგან და პარტნიორებისგან, რაც პირდაპირპროპორციულად გაზრდის ზეწოლის მაჩვენებელს საპროცენტო განაკვეთზე.

საბაზისო სცენარი უშვებს ვარაუდს, რომ ნომინალური საპროცენტო განაკვეთი შემცირდება პროდუქტიულობის ზრდის შესაბამისად 2040-იანი წლების ბოლომდე და დარჩება უცვლელი 2.8 პროცენტის მაჩვენებელზე. ეს დაშვება აბალანსებს ზემოხსენებულ ვარაუდებს.

მშპ-ს სავარაუდო ნომინალური ზრდის ტემპით, ნომინალური საპროცენტო განაკვეთით და მთლიანი სალდოს დადგენილი დონით, შესაძლებელია გამოვთვალოთ სახელმწიფო ვალის ტრაექტორია მშპ-სთან მიმართებით დროის კონკრეტულ პერიოდში. დიაგრამა 2 გვიჩვენებს ვალის მშპ-სთან თანაფარდობას 2062 წლამდე საბაზისო სცენარში. ამ სცენარში, 2030-2040 წლებში თანაფარდობის პროგნოზირებული შემცირება ასახავს საპროცენტო განაკვეთის შემცირებას. 2040 წლიდან, ვალი იზრდება მშპ-სთან შედარებით, რადგან პროდუქტიულობის ზრდის ტემპი ნელდება, ხოლო

საპროცენტო განაკვეთი უცვლელი რჩება. საბაზისო სცენარში, ვალის მშპ-ზე თანაფარდობა რჩება ფისკალური წესის - 60 პროცენტის ქვემოთ მომდევნო ოთხი ათწლეულის განმავლობაში.

დიაგრამა 2: ვალის მშპ-თან თანაფარდობა, საბაზისო სცენარი



წყარო: გაერო - Population Projection; ფინანსთა სამინისტრო

კლიმატის ცვლილების სცენარები

კლიმატის ცვლილებამ შესაძლოა გამოიწვიოს რთულად პროგნოზირებადი გლობალური კომპლექსური მაკროეკონომიკური ზემოქმედება, რასაც შესაძლოა მოჰყვეს არსებითი ფისკალური შედეგები პოტენციურ ეკონომიკური ზრდაზე, შემოსავლებსა და ხარჯებზე ზეგავლენის შედეგად, ასევე, შესაძლოა გამოიწვიოს სახელმწიფო საწარმოებთან, ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებებსა (PPA) და საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტებთან (PPP) დაკავშირებული ფისკალური რისკების გადახედვა. აღნიშნული საკითხები თვისებრივად განხილულია 2021 წლის ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტში. მოცემულ თავში წარმოდგენილია კლიმატის 4 სხვადასხვა სცენარის გათვალისწინებით პოტენციური ფისკალური გავლენების რაოდენობრივი შეფასება.⁶

ანალიზის მიზნებისთვის გამოყენებული კლიმატის ცვლილების 4 სცენარია:

- პარიზის შეთანხმების სცენარი - გულისხმობს, რომ 2015 წლის პარიზის შეთანხმების ფარგლებში განსაზღვრული ვალდებულებები შესრულებულია. გაეროს კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი პანელი (IPCC) მოცემულ სცენარს აღწერს, როგორც RCP2.6-ს⁷, რომლის მოდელებიც ვარაუდობენ გლობალური ტემპერატურის მაქსიმუმ 2 გრადუს ცელსიუსით გაზრდას ინდუსტრიალიზაციამდე დონესთან შედარებით. აღნიშნული სცენარი საქართველოსთვის ხელსაყრელ სცენარს წარმოადგენს.

⁶ ანალიზისთვის გამოყენებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტექნიკური მხარდაჭერის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგია: Harris J et al (2022), Updating the Balance Sheet and Quantifying Fiscal Risks from Climate Change in Georgia: <https://www.imf.org/-/media/Files/Publications/CR/2022/English/1GEOEA2022001.ashx>

⁷ RCP - Representative Concentration Pathway

- *შეუმსუბუქებელი და გაუარესებული კლიმატის ცვლილების სცენარი* -სადაც პარიზის შეთანხმების ვალდებულებები არ არის შესრულებული და სათბურის გაზების ემისიები იზრდება გლობალური მწარმოებლურობის ზრდის შესაბამისად. გაეროს კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი პანელი (IPCC) მოცემულ სცენარს აღწერს, როგორც RCP8.5-ს, რომლის მოდელებიც ვარაუდობენ საშუალო გლობალური ტემპერატურის დაახლოებით 4 გრადუსით გაზრდას ინდუსტრიალიზაციამდე დონესთან შედარებით.
- *არამდგრადი, ცვალებადი სცენარი* - მოცემულ სცენარში კლიმატის გაზრდილი ცვალებადობით გამოწვეული ეკონომიკური გავლენები მოდელირებულია RCP8.5-ის სცენარით განსაზღვრულ საშუალო ტემპერატურის ზრდის ეფექტებთან ერთად. არამდგრადი სცენარი მიზნად ისახავს არამხოლოდ უფრო ცხელი პლანეტის ეფექტების განსაზღვრას, არამედ ასევე, ამინდის მაღალი ცვალებადობის (მაგალითად, არასეზონური თოვა) და ექსტრემალური მეტეოროლოგიური მოვლენების (უფრო ცხელი ზაფხული და უფრო ცივი ზამთარი) გაზრდილი რაოდენობის გამოვლენას, რასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს კლიმატის ცვლილების პირობებში.
- *ექსტრემალური სცენარი* - მოიცავს არამდგრადი სცენარის ეფექტებს და დამატებით ითვალისწინებს უფრო ხშირი, მკაცრი და მასშტაბური წყალდიდობებისა და გვალვების მაკროეკონომიკურ ეფექტებს. ნავარაუდევია, რომ წყალდიდობები მოხდება 2030 და 2050 წლებში, ხოლო გვალვები - 2040 და 2060 წლებში.


თითოეული სცენარი ითვალისწინებს დაშვებას შრომის პროდუქტიულობაზე კლიმატის ცვლილების გავლენის შესახებ. კლიმატის ცვლილების ეფექტის სიმულაციის მიზნით გამოყენებულია Kahn et al-ის (2021) ემპირიული შეფასებები პარიზის, შეუმსუბუქებელი და საბაზისო სცენარებისთვის.⁸

გაუარესებული კლიმატის ცვლილების სცენარშიც კი პროდუქტიულობის ზრდის ყოველწლიური შენელება შეადგენს მშპ-ს 0.2%-ს 2060 წლისთვის. ანუ, ყოველწლიურად, კლიმატის ცვლილებით გამოწვეული მშპ-ს შენელება შეიძლება არ იყოს საკმარისად შესამჩნევი და არსებითი ბიუჯეტის პროცესზე გავლენის მოსახდენად. ამდენად, კლიმატის ცვლილების თითოეულ სცენარში, ნავარაუდევია, რომ ხარჯების პირველადი დონე გამოსახული ლარში რჩება უცვლელი საბაზისო მაჩვენებელთან მიმართებით და გულისხმობს ხარჯების მშპ-სთან თანაფარდობის კოეფიციენტის თანდათან ზრდას. აღნიშნულის საპირისპიროდ, თითოეულ სცენარში შემოსავლის მშპ-სთან თანაფარდობის კოეფიციენტი რჩება უცვლელი საბაზისო მაჩვენებელთან მიმართებით. შესაბამისად, ნავარაუდევია, რომ მშპ-ს ზრდის მცირე შენელებაც კი გამოიწვევს შემოსავლების იმავე დონით შენელებას. დროთა განმავლობაში, რადგან მშპ არის შემცირებული შეუმსუბუქებელ, არამდგრად და ექსტრემალურ სცენარებში საბაზისო სცენართან შედარებით, შემოსავალიც ნაკლებია ხარჯების უცვლელი მაჩვენებლის დასაკმაყოფილებლად. შედეგად, უარესდება პირველადი დეფიციტის მაჩვენებელი.

ვინაიდან კლიმატის ცვლილება ეტაპობრივი პროცესია, ნავარაუდევია, რომ დაფინანსების საჭიროებების ყოველწლიური ზრდა არ მოახდენს გავლენას ფინანსურ ხარჯებზე. ასევე, ნავარაუდევია, რომ ინფლაციის და საპროცენტო განაკვეთის მაჩვენებლები უცვლელი დარჩება. მიუხედავად ამისა, შენელებული ეკონომიკური ზრდისა და უფრო დიდი პირველადი დეფიციტის მაჩვენებლის კომბინაცია შედეგად იწვევს უფრო მაღალ ვალის მშპ-თან თანაფარდობის კოეფიციენტს. აღნიშნული ნაჩვენებია დიაგრამაზე:

⁸ Kahn, M., Mohaddes, K., Ng, R., Pesaran, M., Raissi, M., & Yang, J. (2021). Long-term macroeconomic effects of climate change: A cross-country analysis. *Energy Economics*, 104 (105624), 105624-105624. <https://doi.org/10.1016/j.eneco.2021.105624>

დიაგრამა 3: ვალის მშპს-სთან თანაფარდობის კოეფიციენტი, საბაზისო სცენარი



წყარო: გაეროს მოსახლეობის პროგნოზები; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კალკულაციები

როდესაც გაზრდილი კლიმატის არამდგრადობისა და უფრო ხშირი და მკაცრი სტიქიური მოვლენების ეფექტები მკაფიოდაა მოდელირებული ტემპერატურის მატების ფაქტორთან ერთად (მოსალოდნელია ადგილი ჰქონდეს შეუმსუბუქებელ და გაუარესებულ კლიმატის ცვლილების სცენარის შესაბამისად), ნავარაუდევია, რომ დაირღვევა ვალის მშპს-სთან თანაფარდობის 60%-იანი ზღვარი 2050 წლიდან ათ წელიწადში.

აღნიშნულ პროგნოზებს თან ახლავს არსებითი განუსაზღვრელობა. კლიმატის ცვლილებამ შრომის პროდუქტიულობაზე გავლენა შეიძლება მოახდინოს შემდეგი გზებით: სახელმწიფო და კერძო კაპიტალის ნაშთის უფრო მაღალი გაუფასურება, შემცირებული ძალისხმევა და ნამუშევარი საათები, ფირმების დონეზე პროდუქტიულობის საერთო დონის შემცირება. ერთი მხრივ, აღნიშნული გზების უფრო სრულყოფილმა შეფასებამ შესაძლოა მოახდინოს ეკონომიკაზე კლიმატის ცვლილების უფრო დიდი გავლენის იდენტიფიცირება, ზემოთ წარმოდგენილ ანალიზთან შედარებით. მეორე მხრივ, თითოეული წარმოდგენს გზას, რომლითაც მთავრობას შეუძლია ადაპტაციის ღონისძიებების გატარება.

კლიმატის ცვლილების მიმართ უფრო სწრაფი ადაპტაცია მოითხოვს მნიშვნელოვან საჯარო და კერძო ინვესტიციებს. საერთაშორისო ანალიზი მიუთითებს, რომ ადაპტაციისთვის განხორციელებული ინვესტიცია შესაძლოა იყოს უფრო ძვირადღირებული ტრადიციულ საჯარო ინვესტიციასთან შედარებით, მაგრამ გრძელვადიან პერიოდში მას შეუძლია შეამციროს სტიქიური მოვლენების ფისკალური ეფექტები ქვეყნის მდგრადობის გაზრდის გზით.⁹

⁹ Duenwald et al, 2022, *Feeling the Heat: Adapting to Climate Change in the Middle East and Central Asia*, IMF Departmental Paper, DP/2022/08.

ამასთან, ადაპტაციის ყველა ღონისძიება არ გულისხმობს სახელმწიფო ხარჯების გაწევას. მაგალითად, სამუშაო საათების ცვლილება, რათა თავიდან იქნას აცილებული ექსტრემალური სიცხის პერიოდი, შეიძლება მიღწეული იყოს რეგულაციების საშუალებით. 2021 წლის ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტის სტიქიური მოვლენებიდან და კლიმატის ცვლილებიდან მომდინარე ფისკალური რისკების თავში განხილულია საქართველოში კლიმატის ცვლილების მიმართ ადაპტაციის საკითხი.

ზემოაღნიშნული პროგნოზები ეფუძნება მტკიცე ვარაუდს, რომ კლიმატის ცვლილების სცენარების მიხედვით ხარჯები რჩება საბაზისო სცენარით განსაზღვრულ დონეზე. აღნიშნული დაშვება გულისხმობს, რომ მთავრობა არ აკორექტირებს ფისკალურ პარამეტრებს კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ეკონომიკის შენელების საპასუხოდ. აღნიშნული შესაძლოა გადაჭარბებით აფასებდეს ფისკალურ მდგრადობასთან დაკავშირებით კლიმატის ცვლილების ეფექტებს, რადგან პირველადი დანახარჯები შეიძლება სათანადოდ გადაიხედოს და დაზუსტდეს ეკონომიკური ზრდის შენელებისა და შემოსავლების შემცირების გათვალისწინებით.

ფისკალური პარამეტრების ასეთი გადახედვა და დაზუსტება შეიძლება გამოიწვიოს საგარეო და მონეტარულ სექტორებზე არახელსაყრელმა ზემოქმედებამ. პროდუქტიულობის ზრდის ეტაპობრივ შესუსტებასთან ერთად, კლიმატის ცვლილებამ საქართველო შესაძლოა უფრო მოწყვლადი გახადოს საგარეო და მონეტარულ სექტორში არსებული დისბალანსების მიმართ. მაგალითად, ქვეყნის რისკის პრემია შეიძლება გაიზარდოს კლიმატის გაზრდილ ცვალებადობასთან ერთად, რაც გავლენას მოახდენს ქვეყნის კაპიტალის ანგარიშებსა და გაცვლით კურსზე. ამასთან, კლიმატის ცვლილების გამო მიწოდების ჯაჭვის შეფერხება და დაზიანება განაპირობებს ინფლაციას, რაც გამოიწვევს გაცვლითი კურსის გაუფასურების ტენდენციას.

შესაძლოა არსებობდეს ეკონომიკაზე სხვა უფრო გრძელვადიანი გავლენებიც. გარდა ზემოთ აღწერილი გავლენებისა, კლიმატის ცვლილებას შესაძლოა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურაზე ზემოქმედებაც. მაგალითად, შედარებით გაუარესებული კლიმატის ცვლილების სცენარში ნავარაუდევია, რომ ნაკლებად მოსალოდნელია გარკვეული ინდუსტრიების, კერძოდ, მაღალი დამატებითი ღირებულების შემქმნელი სოფლის მეურნეობის ან ნიშური ტურიზმის განვითარება. გარდა ამისა, კლიმატის ექსტრემალურმა ცვალებადობამ და არამდგრადობამ შესაძლოა გააძლიეროს დემოგრაფიული ზემოქმედება მაღალკვალიფიციური მოსახლეობის ემიგრაციის გამო.


ზემოთ აღწერილი მაკროეკონომიკური ხასიათის ფისკალური რისკების გარდა, ცალკეული ფისკალური რისკები შეიძლება წარმოიშვას კლიმატის ცვლილების სახელმწიფოს აქტივებსა და კონტრაქტებზე პირდაპირი ზემოქმედების შედეგად. არსებობს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ორი ზოგადი ტიპის ფისკალური რისკი: 1) აქტივებზე პირდაპირი ფიზიკური ზემოქმედების რისკი (ტემპერატურის მატება, ნალექებისა და წყლის ნაკადების შემცირება, ხშირი სტიქიური მოვლენები); 2) გარდამავალი, ტრანზიციული რისკები (უკავშირდება პოლიტიკის, ტექნოლოგიის, საერთაშორისო ვალდებულებების ცვლილებას), რაც გავლენას ახდენს აქტივებისა და კონტრაქტების სიცოცხლისუნარიანობაზე.

საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტები (PPP), სახელმწიფო საწარმოები, სახელმწიფო გარანტიები, სახელმწიფო პროექტები წარმოადგენენ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული აღნიშნული ტიპის ფისკალური რისკების პოტენციურ წყაროს. საქართველოში აქტივები და კონტრაქტები განიცდიან ორივე აღნიშნული ტიპის რისკის ზემოქმედებას, თუმცა, განსაკუთრებით, ფიზიკური რისკების, ძირითად სახელმწიფო საწარმოებსა და PPP პროექტებზე უფრო მაღალი და ცვალებადი ტემპერატურის, სტიქიური მოვლენებისა და შემცირებული ნალექების ზეგავლენის გათვალისწინებით.

დემოგრაფიული ფისკალური რისკები

საქართველოსთვის კლიმატის ცვლილება არ არის ერთადერთი გრძელვადიანი ფისკალური რისკი. ასევე დემოგრაფიული ცვლილებებიც იწვევენ არსებით ფისკალურ რისკებს გრძელვადიან პერიოდში. კონკრეტულ სცენარში დემოგრაფიული ცვლილების მაკროეკონომიკური ეფექტები - შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის შემცირება გაეროს მოსახლეობის საშუალო მოდიფიკაციის შესაბამისად - ასახულია კლიმატის ცვლილების საბაზისო ფისკალური რისკების შეფასებაში მოცემულ თავში. თუმცა, საბაზისო სცენარის დაშვების თანახმად, პირველადი დანახარჯები რჩება უცვლელი მაშინაც კი, როდესაც დროთა განმავლობაში იზრდება ასაკოვანი მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობაში. ეს არ არის რეალური პროგნოზი, რადგან მოსახლეობის დაბერება უკვე ახდენს გავლენას ხარჯების ამსახველ პროფილებზე. მაგალითად, 2002-2019 წლებში საერთო სახელმწიფო ხარჯები იზრდებოდა ყოველწლიურად 16 პროცენტით, მაგრამ ჯანდაცვაზე გაწეული საერთო ხარჯები წლიურად - 22 პროცენტით. შედეგად, ჯანდაცვის წილი მთლიან ხარჯებში 2002-2021 წლებში 5 პროცენტიდან 13 პროცენტამდე გაიზარდა (სურათი 4).

დიაგრამა 4: სამთავრობო სექტორის დანახარჯების სექტორული განაწილება, 2002 – 2021 წლები



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გამოთვლები, შიდა რგოლი წარმოადგენს 2002 წლის მონაცემებს, ხოლო გარე რგოლი 2021 წლის.

საკანონმდებლო ცვლილებების გარეშე, დემოგრაფიული ცვლილებები გაზრდის ჯანმრთელობის, მოხუცთა მოვლისა და საპენსიო ხარჯებს, აღნიშნული ეფექტები სამომავლოდ გამოქვეყნდება.

ჯანდაცვის დანახარჯები

დროთა განმავლობაში, ჯანდაცვაზე გაწეულ საჯარო დანახარჯებზე აისახება ჯანდაცვის მიმართულებით სამთავრობო პოლიტიკის გადაწყვეტილებები, არადემოგრაფიული ფაქტორები, როგორცაა ახალი ტექნოლოგია, პრევენციების შეცვლა, შემოსავლების ზრდა და დემოგრაფიული ფაქტორები. ჩვეულებრივ, გრძელვადიანი ფისკალური შეფასებები ტარდება დაშვებით, რომ

ჯანდაცვის პოლიტიკა უცვლელია. ამიტომ, ჯანდაცვაზე გრძელვადიანი დანახარჯების პროგნოზშიც ეს დაშვება შენარჩუნებულია

ტექნოლოგიური წინსვლა საქართველოს აძლევს საშუალებას ისარგებლოს ჯანდაცვის სერვისებით, რომლებიც აქამდე მიუწვდომელი იყო. ტექნოლოგიებს შეუძლიათ გაზარდონ ჯანდაცვის სერვისების მიწოდება და მოთხოვნა. ამავე დროს, შემოსავლის დონის ზრდა ბევრ ასეთ მომსახურებას უფრო ხელმისაწვდომს ხდის. საერთაშორისო დონეზე, ეროვნული შემოსავლის ცვლილება ჯანმრთელობისთვის გაწეული ხარჯების რაოდენობის მთავარი განსმზღვრელი ფაქტორია.

ამრიგად, ჯანმრთელობის დანახარჯები შეიძლება დროთა განმავლობაში გაიზარდოს მოსახლეობის დაბერებისგან დამოუკიდებლად. თუმცა, მოსახლეობის დაბერება ამ ტენდენციას გაამძაფრებს. ხანდაზმულებს სჭირდებათ მეტი ჯანდაცვის სერვისით სარგებლობა, ამიტომ მოსახლეობის დაბერებით ჯანდაცვის ხარჯები აუცილებლად იზრდება.

მაგალითისათვის ავიღოთ ქრონიკული დაავადებების ტენდენციები. ისეთი ქრონიკული დაავადებების გავრცელება, როგორცაა ართრიტი, ზურგის ტკივილი, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, დიაბეტი და ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა, თანდათან უფრო ხშირი ხდება და ასაკთან ერთად უფრო ვლინდება. შესაბამისად მოსახლეობის ასაკის მატებასთან ერთად, ქრონიკული დაავადებები უფრო და უფრო გავრცელდება, რაც ჯანმრთელობის მთლიან დანახარჯებზეც აისახება. საავადმყოფოებზე გაწეული კაპიტალური დანახარჯები, კიდევ ერთი მაგალითია იმისა, რომ დაბერებული მოსახლეობა ზრდის ჯანმრთელობაზე გაწეულ ხარჯებს.

ჯანმრთელობის დანახარჯების შეფასების მიზნით, გრძელვადიან პერიოდში მოსახლეობის დაბერების პარალელურად, საჭიროა ორი სახის ინფორმაციის ანალიზი. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა შეფასდეს ახალგაზრდა (65 წლამდე) მოსახლეობისთვის საყოველთაო ჯანდაცვის ხარჯების მოცულობა, თითოეული მოქალაქისათვის. მეორე ეტაპზე მნიშვნელოვანია, არსებული მონაცემის დადარება, ხანდაზმული (65 წლის ზემოთ) ერთი მოსახლის მიერ ჯანმრთელობაზე გაწეულ ხარჯებთან. საერთაშორისო დონეზე ჩატარებული შეფასებების მიხედვით, საშუალოდ ერთი ხანდაზმული ადამიანის ჯანმრთელობის ხარჯები დაახლოებით 3,5-ჯერ აღემატება ახალგაზრდის მიერ გაწეულ ჯანმრთელობის ხარჯებს.

საერთაშორისო შეფასებებისა და Covid-19-მდე საქართველოს ხარჯების მონაცემებზე დაყრდნობით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ჩატარებულმა ანალიზმა განსაზღვრა, რომ დაბერებამ, მომდევნო ათწლეულების განმავლობაში, შესაძლოა გაზარდოს ჯანმრთელობის დანახარჯები მშპ-ს 0.5-დან 1 პროცენტამდე. ხარჯების დეტალური ისტორიული ტენდენციების გამოყენებით და ჯანდაცვის დანახარჯებზე დემოგრაფიის გრძელვადიანი ეფექტების მონაცემების საშუალებით, შესაძლებელია მოცემული ანალიზი კიდევ უფრო დაიხვეწოს.

საპენსიო რისკები

საპენსიო სისტემები ხშირად არის ფისკალური რისკის უდიდესი წყარო მაღალი სოციალური წნეხის გამო, რის გამოც შესაძლოა მთავრობებს მოუწიოთ დამატებითი მხარდაჭერის აღმოჩენა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული საპენსიო სქემისთვის, რომელიც ხდება არამდგრადი ან ინარჩუნებს დაბალ ნიშნულს. ეს მხარდაჭერა შესაძლოა გამოიხატოს გარანტიებით, სესხების მიცემით (რომელთა გადაფარვა მაღალი ალბათობით არასდროს მოხდება) და პირდაპირი წლიური სუბსიდიებით. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სხვა საპენსიო სქემები (სხვა პილარები) რომლებიც დაფინანსებულია დამსაქმებლებისა და დასაქმებულების მიერ, ასევე, ზოგჯერ სახელმწიფოს

მხრიდან თანამონაწილეობით, სხვადასხვა შოკების ან უარყოფითი დემოგრაფიული ტენდენციების გამო პენსიების შემცირების შემთხვევაში, არსებობს, რისკი, რომ გაიზრდება სახელმწიფოზე ზეწოლა მისგან დამატებითი დაფინანსების მოთხოვნის სახით. ეს სცენარი შესაძლოა განვითარდეს დამატებითი ნებაყოფლობითი შენატანების მქონე საპენსიო სქემისთვისაც, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს არა მხოლოდ იგივე შოკებით, არამედ პოლიტიკური ზეწოლით გამარტივდეს საპენსიო ფონდში შეტანილი თანხების წინასწარ გამოტანა, რაც სავარაუდოდ გაზრდის წნეხს საბაზისო პენსიის სქემაზე. მაგალითად, ლათინური ამერიკის ზოგიერთ ქვეყანაში სრულად დაფინანსებული საპენსიო სქემების სანდოობა კითხვისნიშნისქვეშ დადგა (ზედმეტად ბევრი გაკოტრებული დამსაქმებელი, გამოცხადებულზე დაბალი პენსიები), ყოველივე ამან გამოიწვია მანამდე არარსებული საბაზისო საპენსიო სქემების შექმნა. ფისკალური რისკის მატერიალიზაციის ყველაზე მძიმე სცენარია გარკვეული შოკის მიზეზით გაკოტრების პირას მყოფი დაფინანსებული საპენსიო ფონდის სახელმწიფოს მიერ გადარჩენა (bailout)

საპენსიო სისტემა საქართველოში დაფუძნებულია 3 ძირითად სვეტზე (პილარზე):


- სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული საბაზისო პილარი, რომელიც უზრუნველყოფს პენსიების დონის შენარჩუნებას სიღარიბის ზღვარს ოდნავ ზემოთ; ბოლო პერიოდში განხორციელდა პენსიის ინდექსირება, რომელმაც სულ მცირე უნდა უზრუნველყოს პენსიის მსყიდველობითი უნარის შენარჩუნება. ასევე, ეს შეიძლება ქმნიდეს გარკვეულ ზეწოლას ბიუჯეტზე.
- სრულად დაფინანსებული მეორე პილარი: 2018 წლის საპენსიო რეფორმის შედეგად შექმნილმა საპენსიო სააგენტომ სავალდებულო დაგროვებითი საპენსო სქემის მონაწილეთა სახსრების შეგროვება და ადმინისტრირება 2019 წლის 1 იანვრიდან დაიწყო. დაგროვებითი საპენსიო სქემა ეფუძნება 2% + 2% + 2% დაგროვების პრინციპს. დამსაქმებელი დასაქმებულის სახელით გადარიცხავს დასაქმებულის ხელფასის დაუბეგრავი თანხის 2%-ს დასაქმებულის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე. იგივე ოდენობას გადარიცხავს თავად დამსაქმებელიც. დასაქმებულის ხელფასის ზღვრების გათვალისწინებით 2%-მდე თანხას გადარიცხავს სახელმწიფოც. საპენსიო სააგენტო განსაზღვრავს საინვესტიციო პოლიტიკას. ეროვნული ბანკი არეგულირებს და ზედამხედველობას უწევს სააგენტოს საინვესტიციო (და არა ადმინისტრაციულ) ნაწილს.
- სრულად დაფინანსებული მესამე პილარი - არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევა. საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი მომზადებულია და უახლოეს პერიოდში უნდა დამტკიცდეს. სქემიდან მომდინარე ფისკალური რისკი არ არის არსებითი, აღნიშნულზე ფინანსთა სამინისტრო შემდგომ საანგარიშო პერიოდებში განაგრძობს მუშაობს.

ფისკალური რისკების შეფასება ძირითადად ფოკუსირებულია საბაზისო პენსიაზე (საბაზისო პილარი), რაც განპირობებულია ინდექსაციის შესაძლებლობისა და სავარაუდო არახელსაყრელი დემოგრაფიული ევოლუციის გათვალისწინებით (მსოფლიო ბანკის კვლევა ითვალისწინებს მოსახლეობის შემცირებას 2050 წლისთვის და გაეროს განვითარების პროგრამის კვლევა ასევე მიუთითებს მოსახლეობის შემცირებაზე), თუმცა, ცხადია დანარჩენი პილარები არ შეიძლება სრულად გამოირიცხოს ფისკალური რისკების შეფასების არეალიდან. ნებისმიერ შემთხვევაში, სრულად დაფინანსებული სქემები მაინც რჩება ერთ-ერთ სასურველ გზად შეარბილოს ფისკალური რისკები პენსიებიდან.

ჩვენი შეფასებით საბაზისო ეკონომიკის საბაზისო ზრდის პირობებში საბაზისო პენსიო არ გადააჭარბებს მშპ-ს 4.1%-ს (დიაგრამა 5) მოსახლეობის ზრდის ნებისმიერი სცენარის (გაეროს

მოსახლეობის ზრდის სტატისტიკა - High, Medium და Low სცენარები). თუმცა, ცხადია, ეს მაჩვენებელი შესაძლოა შეიცვალოს მშპ-ს შოკის შემთხვევაში.

დიაგრამა 5: საპენსიო ხარჯები



ზემოთ წარმოდგენილ დიაგრამაში გათვალისწინებულია პენსიის ინდექსირების ამჟამინდელი სქემა, რაც უზრუნველყოფს მშპ-სთან პროცენტული შემცირების ტენდენციას.

რაც შეეხება მეორე პილარს, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მოსახლეობასთან დაკავშირებული ფისკალური რისკები ფაქტობრივად რეალიზდეს, რადგან ეს არის სრულად დაფინანსებული განსაზღვრული შენატანების სქემა ყოველგვარი გარანტიის გარეშე, როგორც დაგროვების, ისე გადახდის ფაზებში. თუმცა, ფისკალური რისკები შეიძლება რეალიზდეს ისეთი ფაქტორების შედეგად, როგორცაა მნიშვნელოვანი შოკი და/ან სოციალური ზეწოლა.


სტიქიური მოვლენებიდან მომდინარე ფისკალური რისკები

სტიქიური მოვლენები საქართველოში

საქართველო მნიშვნელოვნად დაზარალდა წყალდიდობებითა და მიწისძვრებით. 2015 წელს თბილისში მომხდარ წყალდიდობას¹⁰ 55 მილიონი ლარის ღირებულების ფიზიკური ზიანი და 10 მილიონი ლარის ფინანსური ზარალი მოჰყვა, რაც უახლეს ისტორიაში ყველაზე დიდი მაჩვენებელია. ბოლო რამდენიმე ათწლეულის მანძილზე ყველაზე დიდი მიწისძვრა მოხდა თბილისში 2002 წელს, რომლის ზარალი 703 მილიონ ლარამდეა¹¹ შეფასებული. სხვადასხვა ტიპის სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ადამიანების რაოდენობის შესახებ ისტორიული მონაცემები (სტიქიური მოვლენების საერთაშორისო ბაზიდან - EM-DAT12) მოცემულია დიაგრამა 1-ში.

¹⁰ Tbilisi needs assessment, 2015
¹¹ https://www.preventionweb.net/files/54533_drrstrategy2017annex1eng.pdf
¹² სტიქიური მოვლენების საერთაშორისო ბაზა: EM-DAT მოიცავს მონაცემებს მსოფლიოში 1900 წლიდან დღემდე 22 000-ზე მეტი მასობრივი სტიქიური მოვლენის მოხდენისა და მათი ზეგავლენის შესახებ.

დიაგრამა 1 საქართველოში სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ადამიანთა რაოდენობა



წყარო: EM-DAT

როგორც დიაგრამიდან ჩანს, საქართველოსთვის ყველაზე ხშირ საფრთხეს წყალდიდობის რისკი წარმოადგენს - 2011 წლიდან ყოველწლიურად ხდებოდა სულ მცირე 1 წყალდიდობა, რაც გავლენას ახდენდა მოსახლეობაზე. სტიქიური მოვლენებით გამოწვეული ზიანის მხოლოდ ისტორიულ მონაცემებზე დაკვირვება სრულად არ წარმოაჩენს ზიანის ალბათობას, რასაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს საქართველოში. საქართველოსთვის პოტენციური ზიანის ყველა ალბათობის გათვალისწინების მიზნით, მნიშვნელოვანია სტიქიური მოვლენების რისკების მოდელირება¹³, რომელიც საფრთხეებს განიხილავს ინდივიდუალურ ჭრილში და უზრუნველყოფს მოსალოდნელი ზიანის მოცულობისა და მათი მოხდენის ალბათობების იდენტიფიცირებას. 2021 წლის ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტში წარმოდგენილია ანალიზი სტიქიური მოვლენების რისკის მოდელირების საფუძველზე, რომელიც აფასებს წყალდიდობისა და მიწისძვრით გამოწვეულ შესაძლო ზიანს საქართველოსთვის.


მონაცემთა ბაზა შედგენილია სხვადასხვა წყაროდან, მათ შორის, გაეროს სააგენტოების, არასამთავრობო ორგანიზაციების, სადაზღვევო კომპანიების, კვლევითი ინსტიტუტებისა და პრესის სააგენტოების მონაცემებისგან.

¹³ სტიქიური მოვლენების რისკების შეფასების სხვადასხვა მოდელებმა შეიძლება განსხვავებულდ განსაზღვრონ მოსალოდნელი ზიანი. აღნიშნული შესაძლოა განპირობებული იყოს ისეთი ფაქტორების სიმრავლით, როგორებიცაა: ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია, დაშვებები მოწყვლადობასა და საფრთხეების (წყალდიდობა, მიწისძვრა და ა.შ) მოდელირებასთან დაკავშირებით.

მთავრობის დანახარჯები

საქართველოს ცენტრალური მთავრობა რეგიონული ფონდიდან გამოყოფს სახსრებს სტიქიური მოვლენებით გამოწვეული შედეგების სალიკვიდაციოდ. აღნიშნული მიზნით, საქართველოს მთავრობამ მთლიანი დანახარჯების საშუალოდ 0.08 % დახარჯა 2012-2021 წლებში, რაც უმთავრესად მოიცავდა კომპენსაციებსა და ფისკალურ ტრანსფერებს (დიაგრამა 2). ბიუჯეტიდან დახარჯული თანხა არ არის დიფერენცირებული სტიქიური მოვლენების ტიპების მიხედვით და შესაძლოა არ იყოს კორელაციაში ამ სტიქიური მოვლენების შედეგად გამოწვეულ ზიანთან და ეკონომიკურ დანაკარგებთან. აღწერილი დანახარჯები შესაძლოა არ მოიცავდეს სტიქიური მოვლენებით გამოწვეულ ყველა ხარჯს, მაგალითად, მომდევნო წლებში საჯარო აქტივების აღდგენისთვის საჭირო ხარჯებს.

დიაგრამა 2 საქართველოს მთავრობის სტიქიური მოვლენებით გამოწვეული დანახარჯები



მიუხედავად იმისა, რომ წარსულში სტიქიურ მოვლენებთან დაკავშირებული ხარჯები მშპ-ს მცირე წილს შეადგენდა, არსებობს რამდენიმე მიზეზი, რის გამოც მთავრობა შეიძლება აღმოჩნდეს უფრო დიდი პირობითი ვალდებულებების წინაშე, ვიდრე ეს შეფასებული იყო 2021 წლის ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტში. აღნიშნული მოიცავს: 1) სტიქიური მოვლენების ისტორიული მონაცემები არ მოიცავს ძალიან დაბალი სიხშირის მოვლენებს. როგორც რისკების მოდელი აჩვენებს, მათ შეიძლება გამოიწვიონ მასშტაბური ზიანი და გაზარდონ მთავრობის პირობითი ვალდებულებების მოცულობა. 2) რეგიონული ფონდიდან ასიგნებები შესაძლოა სრულად არ ასახავდეს სტიქიურ მოვლენებთან დაკავშირებულ დანახარჯებს, რადგან არ მოიცავენ სხვადასხვა მუნიციპალიტეტებისა და დარგობრივი სამინისტროების მიერ გაწეულ ხარჯებს (იმ შემთხვევებში, როდესაც ცენტრალური მთავრობის მხარდაჭერა არ არის მოთხოვნილი). ამასთან, კლიმატის ცვლილების გათვალისწინებით, არსებობს სტიქიური მოვლენებით გამოწვეული დანახარჯების გაზრდის მაღალი ალბათობა.

მთავრობის მიერ სტიქიური მოვლენის შემდგომი დაფინანსების ინსტრუმენტები მოიცავს: მთავრობის სარეზერვო ფონდს; საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელ პროექტების ფონდს (რეგიონული ფონდი); ადგილობრივი თვითმმართველობისა და სამინისტროების ბიუჯეტებს. რეგიონული ფონდის გარდა, სტიქიური მოვლენის შემდგომი მთლიანი დაფინანსება არ შეიძლება აღემატებოდეს მთლიანი წლიური ბიუჯეტის ასიგნების 2 პროცენტს, გარდა იმ შემთხვევისა როცა ბიუჯეტში შეტანილი ცვლილება დამტკიცებულია პარლამენტის მიერ. (ცხრილი 1)

ცხრილი 1. სახელმწიფო ბიუჯეტიდან სტიქიური მოვლენის შემდგომი ხელმისაწვდომი დაფინანსება ათასი ლარი

	2021		2022	
	ბიუჯეტით გათვალისწინებული	ფაქტი	ბიუჯეტით გათვალისწინებული	ფაქტი
მთავრობის სარეზერვო ფონდი	900.0	900.0		
რეგიონული ფონდი	29,325.4	27,521.4	45,327.9	20,561.9

სტიქიური მოვლენების გავლენის შეფასება მუნიციპალიტეტების დონეზე

მოცემულ ქვეთავში შეფასებულია სტიქიური მოვლენების გავლენა მუნიციპალიტეტების დონეზე, კერძოდ, ანალიზი ეყრდნობა 41 მუნიციპალიტეტის¹⁴ მიერ მოწოდებულ ინფორმაციას სტიქიური მოვლენებით გამოწვეული ზიანის სალიკვიდაციოდ გაწეული ხარჯების შესახებ. ცხრილი 2-ში მოცემულია 2017-2022 წლებში სტიქიური მოვლენებით გამოწვეული ზიანის ასანაზღაურებლად თითოეული მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული ხარჯების პროცენტული წილი აღნიშნული მიზნით ყველა მუნიციპალიტეტის მიერ გაწეულ ჯამურ ხარჯებთან მიმართებით. ცხრილში წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, პირველი ოთხი მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული ხარჯების მოცულობა ჯამური ხარჯების 60%-ზე მეტს შეადგენს. ცხრილში მოცემული მონაცემები არ მოიცავს ცენტრალური მთავრობის ასიგნებებიდან მუნიციპალიტეტების მიერ გაწეულ ხარჯებს.

ცხრილი 2 მუნიციპალიტეტების მიერ გაწეული ხარჯები 2017-2022¹⁵ წწ

მუნიციპალიტეტი	პროცენტული წილი მუნიციპალიტეტების მიერ გაწეულ ჯამურ ხარჯებში
თბილისი	27%
ლანჩხუთი	18%

¹⁴ ყველაზე მსხვილი მუნიციპალიტეტები მოსახლეობის რაოდენობის, სტიქიური მოვლენებით გამოწვეული ზიანისა და გაწეული ხარჯების მოცულობის მიხედვით.

¹⁵ 2022 წლის სექტემბრის მდგომარეობით

ქობულეთი	10%
ხელვაჩაური	10%
საჩხერე	7%
ბათუმი	6%
აბაშა	5%
ხარაგაული	4%
მესტია	2%
სამტრედია	2%
თიანეთი	2%
ბორჯომი	1%
შუახევი	1%
ამბროლაური	1%
საგარეჯო	1%
სხვა	3%
ჯამი	100%

ასევე მნიშვნელოვანია კორელაცია სტიქიურ მოვლენებზე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაწეულ ხარჯებსა და ცენტრალური ხელისუფლებისგან მოთხოვნილ დაფინანსებას შორის. მაგალითად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს 2017 წლიდან გაწეული აქვს 18 მილიონ ლარზე მეტი ხარჯი, ამასთან, არ მოუთხოვია მხარდაჭერა ცენტრალური მთავრობისგან. აღნიშნულის საპირისპიროდ, მაგალითად, ონის მუნიციპალიტეტმა იმავე პერიოდში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გასწია ხარჯი 750 ათასი ლარის ოდენობით, თუმცა ცენტრალური მთავრობისგან მოითხოვა მხარდაჭერა 25 მლნ ლარზე მეტი აღნიშნულ პერიოდში. მთლიანობაში, ცენტრალური მთავრობისგან მოთხოვნილი დახმარების მოცულობა შეადგენს ყველა მუნიციპალიტეტის მიერ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სტიქიურ მოვლენებთან დაკავშირებით ჯამურად გაწეული ხარჯის დაახლოებით 100%-ს. თუმცა აღნიშნული მაჩვენებელი მნიშვნელოვნად განსხვავდება მუნიციპალიტეტების მიხედვით, როგორც ეს მოცემული ცხრილი 3-ში.

ცხრილი 3 მუნიციპალიტეტების მიერ ცენტრალური მთავრობისგან მოთხოვნილი დაფინანსების წილი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაწეულ ხარჯებთან მიმართებით

მუნიციპალიტეტი	ცენტრალური მთავრობისგან მოთხოვნილი დაფინანსების პროცენტული წილი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაწეულ ხარჯებთან მიმართებით
თბილისი	56%
ლანჩხუთი	0%
ქობულეთი	0%
ხელვაჩაური	0%
საჩხერე	0%
ბათუმი	0%

აბაშა	110%
ხარაგაული	0%
მესტია	291%
სამტრედია	104%
თიანეთი	146%
ბორჯომი	84%
შუახევი	0%
ამბროლაური	0%
საგარეჯო	0%

ცხრილი 4-ში წარმოდგენილია მონაცემები 41 მუნიციპალიტეტის მიერ 2017 წლიდან სტიქიურ მოვლენებთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების შესახებ.

ცხრილი 4 მუნიციპალიტეტების მიერ გაწეული ხარჯები წლების მიხედვით (ლარი)

წელი	მუნიციპალიტეტების მიერ სტიქიურ მოვლენებზე გაწეული ხარჯები
2017	20,142,664
2018	18,190,882
2019	8,025,627
2020	10,043,066
2021	25,281,413
2022	23,827,651
ჯამი	105,511,303
საშუალოდ 2017-2022*	18,908,976
* 2022 წ. სექტემბრის მდგომარეობით	

მუნიციპალიტეტის მიერ წლიურად გაწეული საშუალო ხარჯი შეადგენს დაახლოებით 19 მილიონ ლარს, რაც ემატება რეგიონული ფონდიდან წლიურად გამოყოფილ რესურსს, 32.2 მილიონ ლარს. აღნიშნული მიუთითებს, რომ სტიქიურ მოვლენებზე გაწეული ხარჯების ანალიზი მუნიციპალიტეტების მონაცემების გათვალისწინების გარეშე არასათანადოდ შეაფასებს გაწეული ხარჯების მოცულობას (50%-ზე მეტად). ზემოთ წარმოდგენილი მონაცემები არ მოიცავს დარგობრივი სამინისტროების მიერ სტიქიურ მოვლენებზე გაწეულ ხარჯებს.

განახლებადი ენერჯის მხარდაჭერა

წინამორბედი ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტები

გასული წლების ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტ(ებ)ში შეფასებულია ფისკალური ხარჯები და ელექტროენერჯის შესყიდვის ხელშეკრულებების რისკები (PPA). ეს არის კონტრაქტები,

რომლებსაც ხელს აწერს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ელექტროენერჯის სისტემის კომერციული ოპერატორი (ESCO) კერძო ინვესტორებთან ერთად, რათა წახალისონ ისინი და განახორციელონ ინვესტიციები ელექტროენერჯის წარმოების ახალ ობიექტებში, განსაკუთრებით ჰიდროელექტროსადგურებში. PPA-ები მოითხოვს, რომ ESCO-მ ელექტროენერჯია შეიძინოს ინვესტორებისგან, მაშინაც როცა PPA ფასები საბაზრო ფასზე მაღალია.

ამჟამინდელ რეგულირებულ ბაზარზე PPA-ები თანაარსებობენ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ენჯურისა და ვარდნილის ჰესების ჰიდროელექტროსადგურებთან. პრაქტიკაში, არსებობს ჯვარედინი სუბსიდირება დაბალ ღირებულების გენერაციის პროექტებსა (ე.ი. ენჯურსა და ვარდნილს) და მაღალი ღირებულების გენერაციის პროექტებს შორის (PPA). შედეგად, მაშინაც კი, როდესაც PPA-ის მიერ განსაზღვრული ელექტროენერჯის ფასები იმპორტის ფასებზე მაღალი იყო, საქართველოში ელექტროენერჯის მომხმარებლებმა გადაიხადეს იმპორტის ფასებთან შედარებით დაბალი ტარიფი. ჯერჯერობით, ჯვარედინი სუბსიდირების გზით, მთავრობამ თავიდან აიცილა ის ფისკალური ხარჯები, რომლებიც წარმოიქმნება ელექტროენერჯის მომხმარებლების დაცვისთვის PPA-ების ხარჯებისგან, რომლებიც ბაზარზე არსებული იმპორტის ფასებზე მაღალია.

ნებისმიერი მთავრობა მთელს მსოფლიოში ხშირად განიცდის ზეწოლას ელექტროენერჯის ფასების სუბსიდირებასთან დაკავშირებით. თუმცა, ელექტროენერჯის ფასების სუბსიდირება არის ძალზედ არაეფექტური გზა სოციალურად დაუცველი ოჯახების მხარდასაჭერად და ამახინჯებს ეკონომიკას. მართლაც, ეს ნათლად ჩანს სვანეთისთვის მიწოდებულ სუბსიდირებულ ელექტროენერჯიაში, რამაც ხელოვნურად გაზარდა ელექტროენერჯის მოთხოვნა, მათ შორის კრიპტო-მინერების მხრიდან, რომლებიც მთელ მსოფლიოში ეძებენ ყველაზე იაფ ელექტროენერჯიას.

საქართველო ვალდებულია მოახდინოს ელექტროენერჯის ბაზრის დერეგულირება. ეს არის ევროკავშირთან ურთიერთობის გაძლიერების მოთხოვნა. საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ დერეგულაცია ამცირებს ელექტროენერჯის ფისკალურ რისკებს, რადგან მომხმარებლები იღებენ საბაზრო რისკებს, როგორც მათი ეკონომიკური გადაწყვეტილებების ნაწილს, ყოველ შემთხვევაში, მაშინ, როდესაც ბაზარი არ განიცდის მაღალ ცვალებადობას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. გამოცდილება გვიჩვენებს, როდესაც მთავრობა არ ახდენს გავლენას ფას-წარმოქმნაზე, სწორედ მაშინ არის ნაკლები წნეხი, მთავრობის მიერ სუბსიდირების განხორციელებაზე.

ამ ფონზე, საქართველოს წინა ფისკალური რისკების დოკუმენტში იყო ვარაუდი, რომ ელექტროენერჯის ბაზარი უახლოეს მომავალში იქნებოდა დერეგულირებული. ამის საფუძველზე შეფასდა, რომ მთავრობის ფისკალური წნეხი უნდა განისაზღვროს, როგორც სხვაობა PPA-სა და ელექტროენერჯის საპროექტო საბაზრო ფასებს შორის. ამ წლის ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტი მოიცავს დამატებით ელემენტს, ენერჯეტიკის მხარდაჭერის ახალი სქემების პოტენციური ფისკალური გავლენის შესახებ.

ელექტროენერჯის ნაწილობრივ დერეგულირებული ბაზრის მოსალოდნელი ახალი სტრუქტურა

2021 წლის ფისკალური რისკების ანალიზის გამოქვეყნების შემდეგ, მნიშვნელოვანი ინფორმაცია გამჟღავნდა მომავალი დერეგულირებული ელექტროენერჯის ბაზრის მოსალოდნელი სტრუქტურის შესახებ. ფაქტობრივად, ის სავარაუდოდ დარჩება ნაწილობრივ რეგულირებული და PPA-ების გარდა მოიცავს ფასთა სხვაობის ხელშეკრულებას (CfD) და პრემიალურ ტარიფს (FiPs). CfD გავს PPA-ს, თუმცა, PPA-სგან განსხვავებით CfD ორ-მხრივი მიმართულებით მოიაზრებს ანაზღაურებას. ანუ, თუ ESCO CfD ინვესტორის მხარე, ESCO იღებს შემოსავალს, როდესაც CfD ფასი

დაბალია საბაზრო ფასებზე და პირიქით ახორციელებს გადახდებს, როდესაც CfD ფასები საბაზრო ფასებზე მაღალია. FiP არის დამატებითი თანხა, რომელსაც იღებს ელექტროენერჯის გენერატორი ყოველ წარმოებულ და გაყიდულ 1 კვტ სთ-ზე.

დროთა განმავლობაში, მოსალოდნელია, რომ ელექტროენერჯის ბაზარმა მხოლოდ FiP-ების საფუძველზე დაიწყო მუშაობა, თუმცა ეს სავარაუდოდ შეუძლებელია, სანამ ბაზარს არ ექნება საკმარისი გამოცდილება. მანამდე კი მოსალოდნელია:

- ახალი PPA-ების ნაცვლად გაიცეს CfD-ები;
- არსებული PPA-ები, რომლებსაც ჯერ არ განუხორციელებელია ინვესტიცია გენერაციის ახალ წყაროებში, გაუქმდება ან ჩანაცვლდება CfD-ებით;
- არსებული PPA-ები, რომლებიც ამ ეტაპზე ოპერირებენ, გაგრძელდება მათი ვადის ამოწურვამდე.

CfD-ების ფასები დადგინდება აუქციონის წესით. გარდა ამისა, მოსალოდნელია, რომ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრები ოჯახებისთვის ელექტროენერჯის ფასები კვლავ დარეგულირდეს, ხოლო ოკუპირებული აფხაზეთისთვის ელექტროენერჯის ნულოვანი ფასით მიწოდება გაგრძელდეს. აქედან გამომდინარე ESCO:

- გადაიხდის FiP-ებს;
- განახორციელებს ნებისმიერ გადახდებს, რომლებიც დაკავშირებულია არსებულ PPA-ებთან;
- განახორციელებს ნებისმიერი გადახდას, რომელიც დაკავშირებულია CfD-ებთან;
- განახორციელებს გადახდებს, მიიღებს ქვითრებს უნივერსალური სერვისის პროვაიდერებისგან, რათა დაფაროს სხვაობა საბაზრო ფასსა და რეგულირებად საყოფაცხოვრებო არსებულ ფასს შორის.

ამ მიზნების განხორციელების მიზნით, ESCO გამოიყენებს ახალ ფონდს, სახელწოდებით საბითუმო საჯარო მომსახურების ორგანიზაცია, შემდგომში WPSO, როგორც ახალი ენერგეტიკული მხარდაჭერის სქემის ნაწილს. WPSO-ს ფულადი შემოღინება ძირითადად სამ წყაროს მოიცავს: 1) CfD-ის კონტრაქტებთან დაკავშირებული შემოღინება (ანუ უარყოფითი განსხვავება CfD ფასებსა და საბაზრო ფასებს შორის) 2) განსხვავებები ენგურჰესისა და ვარდნილის ჰესების რეგულირებულ და საბაზრო ფასებს შორის; 3) დადებითი სხვაობა საბაზრო ფასსა და უნივერსალური სერვისის პროვაიდერებისთვის რეგულირებულ ფასებს შორის. WPSO-ს გადინება ასევე სამმაგი იქნება. პირველი, CfD-ის კონტრაქტებთან დაკავშირებული (ანუ დადებითი განსხვავება CfD-ის ფასებსა და საბაზრო ფასებს შორის). მეორე, ნეგატიური სხვაობა საბაზრო ფასსა და უნივერსალური სერვისის პროვაიდერებისთვის რეგულირებულ ფასებს შორის¹⁶. და მესამე, ESCO-ს მიერ ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მოხმარებისთვის შეძენილი ელექტროენერჯის ღირებულება. თუ WPSO-ში დაგროვილი სახსრები არასაკმარისი იქნება, მოსალოდნელია დადგეს აღნიშნულის სახელმწიფო ბიუჯეტიდან შევსების საჭიროება.

ფისკალური ხარჯებისა და რისკების მენეჯმენტი

მიუხედავად იმისა, რომ ენერგეტიკული მხარდაჭერის სქემიდან წარმოშობილი ფისკალური ხარჯები და რისკები უცვლელი რჩება, მათი მენეჯმენტი, სავარაუდოდ, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება. ამის ძირითადი გამომწვევი ფაქტორები მოიცავს შემდეგს:

- ელექტროენერჯის მოთხოვნისა და საბაზრო ფასების ცვლილება;

¹⁶ ენგურჰესისა და ვარდნილის ჰესების პროდუქცია საბაზრო ფასებში გაიყიდება, მაგრამ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (GNERC) დაარეგულირებს ფასებს, რომლებსაც ეს ჰესები რეალურად მიიღებენ მომხმარებლებისგან.

- კონტრაქტით დადებული პროექტების მოცულობა PPA-ების, FiP-ების და CfD-ების სახით;
- PPA-ების, FiP-ებისა და CfD-ებისთვის შეთანხმებულ ფასები;
- ენგურისა და ვარდნილის წილის კლება მთლიან გენერაციაში, რომელიც ხელმისაწვდომია შინამეურნეობების ფასების ჯვარედინი სუბსიდირებისთვის, PPA-ების, FiPs და CfD-ების ხარჯები;
- ელექტროენერჯის მოხმარების ცვლილება ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე.

WPSO, რომელიც დაინერგება ენერგეტიკული მხარდაჭერის ახალი სქემით, იქნება შერბილების მექანიზმი, რაც ხელს შეუწყობს ფისკალური რისკების უფრო ეფექტურ და გამჭვირვალე მართვას. არსებულ ვითარებასთან შედარებით, ფისკალური გამჭვირვალობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება WPSO-ს მოსალოდნელი და რეალური შემოდინებისა და გადინების უბრალოდ გამოვლენით. უფრო მეტიც, პოტენციური ფისკალური ხარჯებისა და რისკების მართვა გაძლიერდება WPSO, როგორც საბიუჯეტო ფონდის განხორციელებით, საერთაშორისო კარგი პრაქტიკის შესაბამისად¹⁷. როგორც საბიუჯეტო პროცესის ნაწილი, WPSO-სთვის საბიუჯეტო ასიგნებები დაფუძნებული იქნება მთლიანი ენერგეტიკული ბაზრის პროგნოზებზე (ანუ ფასები, მოთხოვნა და ა.შ.), ხოლო ბიუჯეტის ასიგნება იქნება საჭირო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფისკალური რისკები მატერიალიზდება (ე.ი. საბაზრო პირობებისთვის ფონდი ამოწურულია და სახელმწიფო ბიუჯეტის მხარდაჭერა საჭირო).

მხარდაჭერის ენერგეტიკული სქემის ფისკალური ხარჯებისა და რისკების შეფასება

მხარდაჭერის ენერგეტიკული სქემიდან წარმოშობილი ფისკალური დანახარჯებისა და რისკების შეფასება მოიცავს საბაზისო სცენარს შემდეგი დაშვებებით:

- მთელი გამოუმუშავებული ელექტროენერჯია არის ათვისებული;
- საბაზრო ფასები შეფასებულია ელექტროენერჯის მიმდინარე იმპორტის ფასების საშუალო შეწონილის გათვალისწინებით, დოლარში 2 პროცენტით კორექტირებული;
- CfD-ების ე.წ. strike ფასი არის 0,07 აშშ დოლარი;¹⁸
- WPSO აგროვებს სახსრებს 2023 წლიდან მოყოლებული ფასების პროგნოზების საფუძველზე;
- ჩართული პროექტები ეფუძნება MOESD-ის მიერ მოწოდებულ PPA, CfDs და FiP პროექტების არსებულ სიას, მათ შორის სტრატეგიულ პროექტებს;¹⁹
- მომხმარებელთა მიერ გადახდილი რეგულირებადი ფასი სტაბილური რჩება 2022 წლის მიმდინარე დონეზე;
- ახალ ბაზარზე გამოუმუშავებული ელექტროენერჯის 20 პროცენტს მოიხმარს აფხაზეთის ტერიტორია;

ამ საბაზისო სცენარის მიხედვით, ენერჯის მხარდაჭერის სქემის ღირებულება იქნება მშპ-ს 3% წმინდა დღევანდელი ღირებულებით (NPV), PPA-ების, FiPs და CfD-ების გათვალისწინებით (ცხრილი 1, პირველი რიგი, პირველი სვეტი). ამ სცენარში, საბოლოო მომხმარებლები²⁰ სრულად

¹⁷ გადაწყვეტილება, თუ როგორ განხორციელდეს WPSO ფონდი, ჯერ კიდევ მოლოდინშია.

¹⁸ საქართველოს 2020 წლის ენერგეტიკული პოლიტიკის მიმოხილვის, IEA (2020) ანგარიშში აღნიშნულია, რომ 0,06 აშშ დოლარის ზღვარი არამიმზიდველი იყო ინვესტორებისთვის.

¹⁹ 2022 წლის სექტემბრის მდგომარეობით.

²⁰ საბოლოო მომხმარებლებში შედიან: (i) პირდაპირი მომხმარებლები, რომლებიც არიან მსხვილი მომხმარებლები, იხდიან საბაზრო ფასებს; (ii) სადისტრიბუციო კომპანიები, რომლებიც არიან საშუალო და მცირე მომხმარებლები, იხდიან რეგულირებულ ფასებს და (iii) აფხაზეთის ტერიტორია, რომელიც გათავისუფლებულია გადახდისგან.

იხდიან ელექტროენერჯის გამომუშავების სავარაუდო ღირებულებას (მეორე სვეტი),²¹ ყოველგვარი ზემოქმედების გარეშე სახელმწიფო ბიუჯეტზე ან WPSO-ში დაგროვილი სახსრების მოსალოდნელი კონკრეტული გამოყენების გარეშე (მესამე სვეტი).

ცხრილი 1. ენერგეტიკული მხარდაჭერის სქემის ჯამური ხარჯებისა და ფისკალური ზემოქმედების ალტერნატიული სცენარები

	PPAs+CFDs+FIPs+სტრატეგიული პროექტები			
	სქემის მთლიანი ღირებულება(NPV %GDP)	მომხმარებელთა გადახდები	სხვა შემოსავლები/WPSO ფონდი(NPV%GDP)	გადაეცემა
საბაზისო სცენარი		3,0%	0,0%	100,0%
BS-ერთი სტანდარტული გადახრის (SD) ენერჯის ფასები (EP)	5,2%	4,7%	0,4%	93,1%
BS-ერთი (SD) EP + 10% CFD ფასის გაზრდა	5,5%	4,7%	0,7%	89,6%
BS-ერთი (SD) EP + 10% CFD ფასის გაზრდა + აფხაზეთის მოხმარება 30%	5,5%	4,2%	1,3%	79,4%
BS-ერთი (SD) EP + 10% CFD ფასის გაზრდა + აფხაზეთის მოხმარება 40%	5,5%	3,6%	1,9%	67,6%
BS-ერთი (SD) EP + 20% CFD ფასის გაზრდა	5,8%	4,8%	1,0%	86,6%
BS-ორი SD ენერჯის ფასები	7,4%	5,6%	1,8%	78,5%
BS-ორი (SD) EP + 10% CFD ფასის გაზრდა	7,7%	5,6%	2,1%	76,2%
BS-ორი (SD) EP + 10% CFD ფასის გაზრდა + აფხაზეთის მოხმარება 30%	7,7%	4,9%	2,8%	66,1%
BS-ორი (SD) EP + 10% CFD ფასის გაზრდა + აფხაზეთის მოხმარება 40%	7,7%	4,1%	3,6%	56,0%
BS-ორი (SD) EP + 20% CFD ფასის გაზრდა	8,0%	5,6%	2,4%	74,3%
BS-ორი (SD) EP + 20% CFD ფასის გაზრდა + აფხაზეთის მოხმარება 30%	8,0%	4,9%	3,1%	64,4%
BS-ორი (SD) EP + 20% CFD ფასის გაზრდა + აფხაზეთის მოხმარება 40%	8,0%	4,1%	3,9%	54,5%


თუმცა, უფრო პესიმისტური სცენარის პირობებში, ენერჯის მხარდაჭერის სქემის მთლიანი ღირებულება შეიძლება გაორმაგდეს. ალტერნატიული პესიმისტური სცენარები შესაძლოა მოიცავდეს შემდეგ კომბინაციებს:

- ელექტროენერჯის ბაზარზე ფასების ვარდნა (საბაზისოზე სცენარზე დაბალი ფასები);
- ფასთა სხვაობის ხელშეკრულებებში (Cfd) აუქციონის შედეგად შეთანხმებული არახელსაყრელი ფასები (საბაზისოზე სცენარზე მაღალი);
- გაზრდილი მოთხოვნის წილი აფხაზეთის ტერიტორიიდან

მაგალითად, თუ ენერჯის ფასი დაეცემა დაახლოებით 35 პროცენტით (2 სტანდარტული გადახრა), და ფასთა სხვაობის ხელშეკრულებების აუქციონის ფასი 20 პროცენტით მეტია საბაზისო ნიშნულზე, ელექტროენერჯის მხარდაჭერის სქემის სავარაუდო ღირებულებამ შეიძლება მიაღწიოს მშპ-ს 8.0 პროცენტს NPV-ში. (ცხრილი 1, ბოლო 3 სტრიქონი). ყოველი აღნიშნულიდან, ენერგეტიკული მხარდაჭერის სქემის სავარაუდო ჯამური ღირებულება დამოკიდებულია ფუნდამენტურ დაშვებებზე, როგორც ეს ნაჩვენებია ზოგიერთი ალტერნატიული სცენარისათვის გრაფიკ 1-ში.


გრაფიკი 1. ელექტროენერჯის მხარდაჭერის მთლიანი ხარჯები სხვადასხვა ალტერნატიული სცენარისათვის

²¹ 1 ცხრილში, ბოლო სვეტში, 100% გადარიცხვა ნიშნავს, რომ ბაზრის ამჟამინდელი სტრუქტურის მიხედვით, საბოლოო მომხმარებლებისგან გადახდები საკმარისია ელექტროენერჯის წარმოების ხარჯების სრულიად დასაფინანსებლად.




აღსანიშნავია, რომ პესიმისტური სცენარების პირობებში, საბოლოო მყიდველებმა შეიძლება ვერ უზრუნველყონ ელექტროენერჯის ის ღირებულება, რომელიც ახალი ბაზრის პირობებში წარმოიქმნება. თუ მყიდველი მზად იყო გადაეხადა ელექტროენერჯიაში დაახლოებით იგივე თანხა რასაც დღეს იხდის, ყველაზე პესიმისტური სცენარის პირობებში გადახდის თანამონაწილეობა იქნება დაახლოებით 50%. შედეგად, ელექტროენერჯის დარჩენილ ფასის ღირებულებას უზრუნველყოფს WPSO, ან სახელმწიფო ბიუჯეტი, თუ ფონდში საკმარისი თანხები ვერ აკუმულირდა. 50%-იანი დაფინანსების შემთხვევაში, ფისკალურმა წნეხმა შეიძლება მიაღწიოს მშპ-ს 4.0 %-იან ნიშნულს NPV-ში. გრაფიკი 2 გვიჩვენებს პოტენციურ ფისკალურ გავლენას, იმ შემთხვევაში თუ ღირებულებას ვერ ფარავს საბოლოო მყიდველი.

გრაფიკი 2. ელექტროენერჯის მხარდაჭერის ალტერნატიული სცენარების ფისკალური გავლენა



გრაფიკი 3 ასახავს ელექტროენერჯის მხარდაჭერის იმავე სქემის ჯამურ ხარჯებს აშშ დოლარში (NPV-ს ნაცვლად) ყველაზე უარესი სცენარის პირობებში.

გრაფიკი 3. ჯამური ხარჯები ელექტროენერჯის მხარდაჭერის სქემისათვის, 2022-2042 (მლნ აშშ დოლარი)



სტრატეგიული პროექტების გავლენა მიმდინარე შეფასებებზე

სტრატეგიული პროექტებია: ნამახვანი, ნენსკრა და ხუდონი. ზემოთ მოცემული შეფასებები ეყრდნობა მათ მონაცემებს. თუ მოცემულ სამ პროექტს გამოვრიცხავთ ანალიზიდან, სხვა თანაბარ პირობებში, ენერგეტიკული მხარდაჭერის სქემის ღირებულებების შეფასებები შეიცვლება შემდეგნაირად:

საბაზისო მონაცემებში მთლიანი ღირებულება იქნება მშპ-ს 1.6 პროცენტი NPV-ში (3.0 თან შედარებით)

ყველაზე უარესი სცენარის პირობებში

1. მთლიანი ღირებულება იქნება მშპ-ს 5.9% NPV-ში (8.0-თან შედარებით)
2. ფისკალური ხარჯები იქნება მშპ-ს 2.2 პროცენტი NPV-ში (3.9-ის ნაცვლად)

შეფასების ძირითადი დასკვნები

მოცემული შეფასების ძირითადი დასკვნებია:

- აუცილებელია მომავალში გენერაციის პროექტების სიფრთხილით შერჩევა, რათა არ მოხდეს დამატებითი გაზრდილი ღირებულებების ფონზე, გენერირების ნაკადების ზრდა იმაზე უფრო ადრე, ვიდრე საჭიროება მოითხოვს.
- ფასთა სხვაობის ხელშეკრულებების დადების მიზნით ჩატარებული აუქციონები უნდა განხორციელდეს ისე, რომ თავიდან აცილებულ იქნას მანიპულაციები, ან არასაკმარისი კონკურენცია, რომელიც იწვევს გაზრდილ ფასს; და
- მიმდინარე პირობებში, სტრატეგიული პროექტები არსებითად ზრდის ფისკალურ რისკებს.

PPP ვალდებულებების შეფასება

PPP ვალდებულებები 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 384 576 908 ლარს (მათ შორის ნენსკრა - 297 102 908, თბილისის აეროპორტი - 87 474 000). მონაცემი არსებითად დაზუსტდება უახლოეს პერიოდში ნენსკრაში მიმდინარე აუდიტის დასრულებისთანავე.

პანდემიის ფისკალური რისკები

კოვიდ-19 პანდემიამ აამაღლა ცნობიერება არა მხოლოდ პანდემიის დადგომის გაზრდილი ალბათობის, არამედ ჯანდაცვის სექტორის ფისკალური ხარჯებისა და სხვა პანდემიის მართვის თუ შერბილების ღონისძიებების გატარების შესახებ. არსებულ მდგომარეობაში, ჯანდაცვის სექტორის მიერ ინფიცირებულთა მკურნალობაზე გაწეულმა ხარჯებმა და პანდემიის გავრცელების შემცირების მიზნით განხორციელებულმა სხვადასხვა ზომებმა, სამომავლოდ შესაძლოა გაზარდოს სახელმწიფო ხარჯები. გარდა ამისა, პანდემიის გავრცელების შესამცირებლად ეკონომიკური აქტივობების შეზღუდვამ დასაშვებია გამოიწვიოს მშპ-სა და შემოსავლების შემცირება.

გაზრდილი ცნობიერების ფონზე, 2021 წლის ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტში დაემატა პანდემიით გამოწვეული ფისკალური რისკების შესახებ ქვეთავი. ვაქცინების შექმნასა და ვირუსის მუტაციიდან გამომდინარე, შეგვიძლია გამოვთქვათ ვარაუდი, რომ COVID 19-ის პანდემიის ყველაზე ცუდი ნაწილი წარსულს ჩაბარდა, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ვირუსის შემდგომი მუტაცია სადმე ვაქცინა რეზისტენტული არ აღმოჩნდეს. გარდა ამისა, კლიმატის ცვლილებამ შესაძლოა საქართველოს მოსახლეობა გახადოს მგრძობიარე იმ დაავადებების მიმართ, რომლებიც ქვეყანაში ახალია. ეს კიდევ უფრო მეტად მნიშვნელოვანს ხდის პანდემიით გამოწვეული ფისკალური რისკების შეფასების გამოქვეყნებას.

2021 წლის ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტში, საქართველოს ისტორიული (პანდემიამდე) ანგარიშებისა და ფისკალური ინდიკატორებისათვის, პანდემიით გამოწვეული რისკების შეფასების მიზნით, გამოყენებულ იქნა საერთაშორისო სავალუტო ფონდის პანდემიისა და ბუნებრივი კატასტროფების შეფასების ინსტრუმენტი (PANDA-T). 2022 წლის ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტი შინაარსობრივად უფრო ვრცელს ხდის შეფასებას.

ამ ეტაპზე არსებული შეფასებების შედეგების მიხედვით, სამომავლოდ, პანდემიის შედეგად თუ სჭირო გახდის ხანგრძლივი ლოკდაუნის გამოცხადება, ეს სახელმწიფო ვალის მშპ-სთან თანაფარდობას გაზრდის დაახლოებით დამატებითი 25 პროცენტით.


საბოლოო შედეგების აღწერამდე, ქვემოთ შეჯამებულია საქართველოს მაკროეკონომიკური და ფისკალური გამოცდილება COVID-19 პანდემიის დროს.

საქართველოს მაკრო-ფისკალური გამოცდილება COVID-19-ის პანდემიის დროს.

2010-2019 წლებში საქართველოს ეკონომიკა წელიწადში საშუალოდ 4,7 პროცენტით გაიზარდა. 2020 წელს 6,8 პროცენტით შემცირდა, მაგრამ 2021 წელს 10,4 პროცენტით გაიზარდა. საშუალოვადიანი ფისკალური ჩარჩოს პროგნოზების მიხედვით, 2026 წლამდე საქართველოს ეკონომიკა წელიწადში 5 პროცენტზე მეტით გაიზარდება. როგორც დიაგრამაზე 1-ზეა ნაჩვენები, MTFF-ის პროგნოზების რეალიზების შემთხვევაშიც კი,

საქართველოს ეკონომიკა 2026 წელს, უფრო ნაკლებია, ვიდრე ეს ჰიპოთეტური ანუ არა პანდემიური სცენარის შემთხვევაში იქნებოდა, რომლის წლიური ზრდა 4.7 პროცენტია.

დიაგრამა 1: რეალური მშპ საქართველოში, 2019-2026



წყარო: MTFF. ჰიპოთეტური სცენარი მოიცავს მშპ-ს ზრდას 4.7 პროცენტით.

მიუხედავად ძლიერი აღდგენის უნარისა, პანდემიამ საშუალოვადიან პერიოდში საგრძნობი კვალი დატოვა საქართველოს ეკონომიკის განვითარების ხარისხზე. პროდუქციის დანაკარგის პარალელურად შემცირდა მთავრობის შემოსავალიც. ამასობაში პანდემიის დროს გაიზარდა ხარჯები, ამრიგად ყოველივე ზემოაღნიშნული ნეგატიურად აისახა სახელმწიფოს აკუმულირებული ფინანსების რაოდენობაზე.

2020 და 2021 წლებში ჯანდაცვის ხარჯები გაიზარდა მთლიანი შიდა პროდუქტის 2.6 პროცენტით. მოცემული ზრდა განპირობებული იყო ჯანდაცვის საქონლისა და მომსახურების, ტესტირებისა და მკურნალობის, ვაქცინების შესყიდვისა და COVID-19-თან დაკავშირებული ჯანმრთელობის აღჭურვილობის ხარჯების ზრდის გამო. გარდა ამისა, პანდემიასთან დაკავშირებული დამატებითი არა ჯანმრთელობის ხარჯებს წარმოადგენდა: კომპენსაცია კერძო სექტორის თანამშრომლებისთვის, რომლებმაც დაკარგეს სამუშაო; პირდაპირი ტრანსფერები სოციალურად დაუცველ ოჯახებზე და მძიმე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე; პირდაპირი ტრანსფერები ბავშვების მქონე ოჯახებზე; უნივერსიტეტის სწავლის საფასურის სუბსიდიები; სუბსიდიები ოჯახებისთვის კომუნალური გადასახადებისთვის (ელექტროენერგია და წყალი); გადასახადები და ტარიფების ზრდა; სუბსიდიები სურსათის მწარმოებლებისათვის; საპროცენტო განაკვეთების სუბსიდიები; ფინანსური მხარდაჭერა მიზნობრივი სექტორებისათვის; მიკროგრანტები და დაკარგული შემოსავლები; საშემოსავლო და ქონების გადასახადის შეღავათები. ყოველივე ზემო აღნიშნულმა ხარჯმა შეადგინა მშპ-ს 4,5 პროცენტი.

2020 წელს ეკონომიკური კლებისა და წმინდა სესხების მოთხოვნის გაუარესების ერთობლიობამ გამოიწვია ვალის მშპ-სთან თანაფარდობის 20 პროცენტიდან 60.2 პროცენტამდე ზრდა. MTFF-ის პროგნოზით, 2026 წლისთვის სახელმწიფო ვალი შემცირდება მშპ-ს 41.4 პროცენტამდე, რაც ახლოსაა პანდემიამდე არსებული მაჩვენებლის დონესთან. რა თქმა უნდა, პანდემია რომ არ ყოფილიყო, საქართველოს გაცილებით მეტი ფისკალური სივრცე ექნებოდა. მაგალითად, მშპ-ს ნომინალური

ზრდა, საპროცენტო განაკვეთები და წმინდა პირველადი სესხი, რომ დარჩენილიყო 2010-იანი წლების საშუალო მაჩვენებლების ციფრზე, ვალის მშპ-სთან თანაფარდობა 2019-2026 წლებში მშპ-ს მხოლოდ 15 პროცენტით შემცირდებოდა.

ყოველივე აღნიშნულიდან, უნდა ითქვას, რომ პანდემიამ საქართველოს ფისკალურ სივრცეზე საგრძნობი გავლენა მოახდინა.

PANDA-T -ის მოდულის განახლება არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული პანდემიისა და ბუნებრივი კატასტროფების შეფასების ინსტრუმენტი (PANDA-T) იყენებს პარამეტრის მნიშვნელობებს, რომლებიც აკავშირებს ერთმანეთთან სექტორულ დონეზე არსებული შედეგების ტრენდების გადახრებს პანდემიის სხვადასხვა შეზღუდვების პირობებში. 2021 წლის ანალიზში გამოყენებულ იქნა მოდულის მუდმივი პარამეტრის მნიშვნელობები, რომლებიც ასახავს საერთაშორისო სავალუტო ფონდის სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებების კვლევებს COVID-19 პანდემიამდე. ამ პარამეტრების მნიშვნელობები განახლდა საქართველოს ეკონომიკის სექტორული დონის შედეგებზე დაყრდნობით 2020 და 2021 წლებში.

პარამეტრის განახლებული მნიშვნელობებით PANDA-T მოდულის სიმულაცია ვარაუდობს, რომ პანდემიით გამოწვეული ჩაკეტვის პირობებში, რაც 2020 წელს განვიცადეთ, რეალური მშპ შეიძლება შემცირდეს 8,6 პროცენტით (წელი 1), სანამ დაჯდურუნდებით საბაზისო სცენარს (პანდემიის აკრძალვების დაწყებამდე მე-3 წელი). ამკარაა, რომ მოდულის სიმულაცია ხარისხობრივად მსგავსია რეალურ გამოცდილებასთან, თუმცა ეკონომიკური გავლენა უფრო მკვეთრია, ხოლო აღდგენის პროცესი რაოდენობრივად უფრო ძლიერი.

მოდული ასევე აგენერირებს პანდემიის აკრძალვებით გამოწვეულ ფისკალურ შედეგებს, რომლებიც რაოდენობრივად უფრო მძაფრია, ვიდრე მათ შედეგად მიღებული გამოცდილება. იმიტირებულ სცენარში ვალის მიმართ მშპ-ის თანაფარდობა 2020 წლის 20 პროცენტისანი ფაქტიური ზრდის ნაცვლად, იზრდება 25 პროცენტული ერთეულით.

პანდემიები, როგორც საქართველოსთვის, ასევე დანარჩენი მსოფლიოსთვის მნიშვნელოვანი გამოწვევა და ფისკალური რისკია.

დანართები

დანართი 1

სახელმწიფო საწარმოები

	საწარმოს დასახელება	სახელმწიფოს წილი %	დამფუძნებელი	PC/GG	დარგი	ბრუნვა 2021 (ათასი ლარი)
1	სს ელმავალმშენებელი	13	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	სხვა	დამამუშავებელი მრეწველობა	2 083
2	შპს ვარდების რევოლუციის პარკი	100	თბილისის მუნიციპალიტეტი	PC	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	50
3	სს რემშენი	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	13
4	შპს საქექსპერტიზა	100	საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა	GG	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	140
5	შპს ქ. თბილისის N3 სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრი	100	თბილისის მუნიციპალიტეტი	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	205
6	სს მშენებელი	51	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	მშენებლობა	-
7	სს ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი	92	თბილისის მუნიციპალიტეტი	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	543
8	შპს ვ. სანიკიძის სახელობის ომის ვეტერანთა კლინიკური ჰოსპიტალი	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	81
9	შპს რეაბილიტაცია-ადაპტაციის ეროვნული ცენტრი	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	დამამუშავებელი მრეწველობა	107
10	შპს მოზრდილთა და ბავშვთა პათოლოგიის პათოლოგანატომიური სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	-
11	შპს ირმა ჭანტურიას სახელობის ღვინის ლაბორატორია	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	PC	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	2 069
12	სს საქართველოს რკინიგზა	100	სს საპარტნიორო ფონდი	PC	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	499 078
13	შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია	100	თბილისის მუნიციპალიტეტი	PC	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	145 736
14	სს ნ. მახვილამის სახელობის შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	-

	საწარმოს დასახელება	სახელმწიფოს წილი %	დამფუძნებელი	PC/GG	დარგი	ბრუნვა 2021 (ათასი ლარი)
15	შპს სისხლის გადასხმის საქალაქო სადგური	100	თბილისის მუნიციპალიტეტი	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	17
16	შპს ჰერმესი	100	თბილისის მუნიციპალიტეტი	PC	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	5 373
17	შპს ქართული ბაზარი	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	-
18	შპს საქართველოს ტელერადიოცენტრი	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	PC	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	5 018
19	შპს საქართველოს ფოსტა	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	PC	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	93 919
20	სს საქპრესა	15	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	სხვა	ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	-
21	სს საქართველოს ტუნგო და ეთერზეთი	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	-
22	შპს გაზეთი გურჯისტანი	51	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	-
23	სს კახეთის ენერჯოდისტრიბუცია	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	-
24	შპს მარაბდა-კარწახის რკინიგზა	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	სხვა	მშენებლობა	3 780
